

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XXXIX

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მასალები

ზუგდიდი, 2019 წლის 15-16 ნოემბერი

ემღვნება თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლმოსილი
თანამშრომლის **თამარ ბეროზაშვილის**
ხსოვნას

თბილისი
2019

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2019 წლის 15-16 ნოემბერს** შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14)

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **ნანა მაჭავარიანი, თეონა ხუფენია,
მაკა ლაბარტყავა**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN

სამეცნიერო სესიის მუშაობის განრიგი

მისაღება – 3-5 წუთი
მოხსენება – 10-15 წუთი
შეკითხვა – 2 წუთი
პასუხი – 2-3 წუთი
მსჯელობა – 5 წუთი
გამოსვლა – 5 წუთი

15 ნოემბერი

ლონისძიების გახსნა – 12:00 სთ
პლენარული სხდომა – 12:00-12:30
შესვენება – 12:30-13:00
სექციური სხდომები (I, II, III, IV, V) – 13:00-16:00 სთ
იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა
სექციურ სხდომათა შეჯამება – 16:15
ოფიციალური ვახშამი – 18.00

16 ნოემბერი

სექციური სხდომები (I, II, III, IV, V) – 10:00-12:00 სთ
შესვენება – 12:00-13:00
სესიის შეჯამება და დახურვა – 13:30 სთ

15 ნოემბერი, 12:00 სთ.

კონფერენციის გახსნა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი სიტყვა – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი – **თეონა ხუფენია**

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ი:

ალექსანდრე მოწერელია – სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი

გიორგი შენგელია – ქ. ზუგდიდის მერი

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის დირექტორი

I სექცია

10:00-12:00 სთ, 112-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **თეონა ხუფენია, მანანა ზუკია**

ომარ მემიშიში (ბათუმი), ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები სარფულში – II

ელზა ფუტკარაძე (ბათუმი), დიალექტიზმები ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში

ასმათ შონია (ზუგდიდი), სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართული ენის დიალექტებსა და მეგრულ მეტყველებაში (დანიშნულების სახელები)

ლუიზა ხაჭაპურიძე (ქუთაისი), **თეონა ხუფენია** (ზუგდიდი), ვულგარიზმთა ევფემიზაცია ქუთაისურ და ზუგდიდურ მეტყველებაში

მაკა ლაბარტყავა (თბილისი), *მთის* აღმნიშვნელი ლექსიკისათვის იდიომებისა და ქართული ენის დიალექტებში

მანანა ზუკია (თბილისი), მწყემსური ლექსიკა მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში

მარინა ჯღარკავა (თბილისი), ნურდოდან დემირ აბაშიშის „ლაზური გამოთქმები (ანდაზები, იდიომები, მეტაფორები)“

II სექცია

13:00-16:00 სთ, 128-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **ნანა მაჭავარიანი, გიორგი გოგოლაშვილი**

ნოდარ არდოტელი (თბილისი), დიდოური ლექსიკური ნასესხობანი თურ შურ დიალექტში

მაკა ზერიძე (სამცხე-ჯავახეთი), ხალხური ლექსის ჯავახური ვარიანტის ბგერითი სემანტიკა

გიორგი გოგოლაშვილი (თბილისი), ხოლმეობითის ფორმები ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ პერსონაჟის მეტყველებაში

სოფიო კეკუა (თბილისი), ტოპონიმთა ცვლილებისათვის გალის რაიონში /სოფელ ლუმურიშის მიხედვით/

ქეთევან მარგიანი (თბილისი), სვანეთის წერილობითი ძეგლების ენობრივი თავისებურებანი

ნანა მაჭავარიანი (თბილისი), მყოფადის ფუნქციით უწყვეტლის გამოყენების შემთხვევები ზემოიმერულში („ყოფნა“ ზმნა)

III სექცია

13:00-16:00 სთ, 105-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **სალომე ომიაძე, მერაბ ჩუხუა**

ნინო ხახიაშვილი (თბილისი), კონტრადიქტორული ხასიათის ცნებათა როლის გაძლიერებისათვის სალიტერატურო ენაში

ლია ზაკურაძე (თბილისი), ერთი ქართული დასახლების სხვადასხვა სახელწოდებისათვის ფერეიდანში – ფერეიდუნშაჰრი/მარტყოფი/სოფელი/ახორა/აკურა

მანანა კელენჯერიძე (თბილისი), თამარ ბეროზაშვილის ნათელ ხსოვნას

ლამზირა კობაიძე (სამცხე-ჯავახეთი), კაუზატივი მესხურ დიალექტში

სალომე ომიაძე (თბილისი), კონცეპტ „ქერის“ ენობრივი ობიექტივაცია დიალექტურ დისკურსში

მანანა ჩაჩანიძე (თბილისი), ზმნურ ფორმათა აქტივაცია და იდიოსტილის საინტერესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოეზიიდან

მერაბ ჩუხუა (თბილისი), -არა სუფიქსიანი წარმოებისათვის მეგრულში

IV სექცია

13:00-16:00, 103-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მერაბ ზერიძე, მერაბ ნაჭყეზია**

რევაზ აბაშია (თბილისი), დიალექტურ თავისებურებათა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენობრივ ერთეულთა ჩამოყალიბების პროცესში

დიანა ანფიშიაძი (თბილისი), დიალექტის თარგმანის საკითხი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის უახლესი თარგმანები

მარიამ კობერიძე (გორი), ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართულურში

ლევან კოჭლამაზაშვილი (თბილისი), ქართველურ ენა-კილოთა ინგლისურენოვანი სახელდების პრინციპები

მერაბ ნაჭყეზია (თბილისი), ზანიზმები ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ტერმინოლოგიაში (საწყაოს//ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში)

თამარ ნინიძე (ქუთაისი), სახელური ევფემიზმები ქართული ენის დიალექტებში

V სექცია

13:00-16:00, 104-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **ომარ მემიშიში, ტარიელ ფუტკარაძე**

ეკა დადიანი (ქუთაისი), *ინა, მიდა/მუდა* ნაცვალსახელები (ფილერები) მეგრულში

ნათელა მელიქიძე (სამცხე-ჯავახეთი), ტოლოშელ მელიქიძეთა შტო-გვარები (ასპინძის მუნიციპალიტეტი)

ციალა ნარაკიძე (ბათუმი), მეზღეობის (მეხილეობა) ამსახველი ლექსიკიდან ლაზურში

ნანული ნოღაიდეი (ბათუმი), ზანიზმებისათვის აჭარულ დიალექტში

ტარიელ ფუტკარაძე (თბილისი), **საიდ მულიანი** (ქუთაისი), ფერეიდნული მეტყველების სახესხვაობებისათვის

ნინელი ჭოხონელიძე (თბილისი), „კატის [Felis]“ და „კნუტის“ აღმნიშვნელი სინონიმური სიტყვები ქართულ ენაში

16 ნოემბერი

I სექცია

13:00-16:00 სთ, 118-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **მარინა ბერიძე, მაკა ლაზარტყავა**

მედეა საღლიანი (თბილისი), ჰიბრიდულ ტოპონიმთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზისათვის სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში

ეთერ შენგელია (თბილისი), საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში

რევაზ შეროზია (ზუგდიდი), სალიტერატურო და დიალექტურ ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

მიხეილ ლაშაძე (თბილისი), ლაზთა გვარ-სახელების წარმოების თავისებურებანი

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი (თბილისი), რომელი მცენარის სახელი უნდა ყოფილიყო ჭყორი? (ახალი დიალექტური მასალის მიხედვით)

მარინა ბერიძე (თბილისი), პარადიგმული სტერეოტიპი და ლინგვისტური რეალობა (ფერეიდნული სახელური ფორმაწარმოების ზოგი საკითხისათვის – ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება)

II სექცია

10:00-12:00 სთ, 218-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **ნინო შარაშენიძე, მედეა დლონტი**

- ამირან ხასილაშვილი** (თბილისი), კახური დიალექტური ლექსიკიდან
სალომე გუმბერიძე (ქუთაისი), ზოგი საწესჩვეულებო ლექსიკა როზა თავ-
დიდიშვილის ერთი ხელნაწერის მიხედვით
ელენე ნაპირელი (თბილისი), კვლავ კახური დიალექტური ლექსიკისთვის
(ქდვ-ის ტექსტების მიხედვით)
ჭაბუკი ქირია (თბილისი), გრამატიკული „ომონიმის“ ერთი შემთხვევა თა-
ნამედროვე სალიტერატურო ქართულსა და ზანურში
მედეა დლონტი (თბილისი), წარ „წესი, რიგი“ ლექსემისათვის ქართულ დი-
ალექტებში
ნინო შარაშენიძე (თბილისი), მოდალობის კატეგორია, ნაწილავ-მორფემოი-
დები და მათი სემანტიკური ფუნქციები ქართული ენის დიალექ-
ტებში

III სექცია

10:00-12:00 სთ, 115-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **ნინო ჭუმბურიძე, რევაზ აბაშია**

- ნარგიზ ახვლედიანი** (ბათუმი), სამოსთან დაკავშირებული ლექსიკა აჭარაში
სოფიკო ჭაავა (სოხუმი), საქართველოს საქმისწარმოებისა და სასაუბრო ენე-
ბი 1926-1927 წლებში (ერთი საარქივო დოკუმენტისა და მოსახ-
ლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით)
იგორ კეკელია (მარტვილი), აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სა-
ლექსიკონო მასალის გამოცემისათვის
ხათუნა ყანდაშვილი (თბილისი), პირის ნიშანთა გამოყენების თავისებური
შემთხვევები დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში
ნატო შავრეშიანი (თბილისი), გენეტიურ მსაზღვრელიანი ტოპონიმები
სვანურში
ნინო ჭუმბურიძე, მარინე კიკონიშვილი (თბილისი), კინობითი სახელების
წარმოების თავისებურებანი რაჭულ დიალექტში

IV სექცია

10:00-12:00 სთ, 113-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **შუშანა ფუტკარაძე, სოფიკო ჭავჭავაძე**

მაია ბარისაშვილი (თბილისი), Y ბგერის ადგილი ინგილოური დიალექტის ფონოლოგიურ სისტემაში

ნინო ზედგინიძე (სამცხე-ჯავახეთი), საკულტო ადგილთა სახელებთან დაკავშირებული ტერმინები ქართულსა და გერმანულში

ნაილე მიქელაძე (ბათუმი), ზემო აჭარის რელიგიური ხასიათის რამდენიმე ტოპონიმისათვის

ფიქრია ჭანტურია (ქუთაისი), თხილთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში

ნინო ჯორბენაძე (თბილისი), პრესის ენისა და სასაუბრო მეტყველების ურთიერთგავლენის შესახებ თანამედროვე ქართულში

შუშანა ფუტკარაძე (ბათუმი), ქართული სამწიგნობრო ენისათვის ტაოკლარჯულ კილოებში შემონახული ლექსიკის მნიშვნელობის თაობაზე

იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა

10:00-12:00 სთ, 105-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **რამაზ ქურდაძე, ნანა მაჭავარიანი**

მანანა ზუკია, იოსებ ყიფშიძე – მეგრულის მკვლევარი და მოამაგე

მერაბ ბერიძე (სამცხე-ჯავახეთი), სამცხე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

ნინო რუხაძე (თბილისი), რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკა უდიურ ენაში

კესო გეჯუა (ზუგდიდი), მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით

რამაზ ქურდაძე (თბილისი), ერთი ნასესხები სიტყვის შესახებ დიალექტებსა და თანამედროვე ქართულ პოეზიაში

მერაბ ჩუხუა (თბილისი), ქართველური **თობელ**- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

გამოსვლა: გიორგი გოგოლაშვილი, ზეინაბ სარია, რევაზ აბაშია, ნათელა ჭინჭარაული

სესიის შეჯამება და დახურვა, 12:00-13:00 სთ. სააქტო დარბაზი

სტუმრების გაცილება, 13:15

რევაზ აბაშია

დიალექტურ თავისებურებათა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენობრივ ერთეულთა ჩამოყალიბების პროცესში

საერთოქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციისა და ქართველური ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბების პროცესში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიალექტურმა მოვლენებმა, რომელიც საერთო ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ იზოგლოსებთან ერთად თავისებურ, მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ენობრივ ფაქტებს გულისხმობს. ქართველურ ენებს ფუძე-ენიდან მოყოლებული დღემდე სტრუქტურული ყალიბი საერთო აქვთ, განსხვავებები კი – ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და განსაკუთრებით ლექსიკაში – ძირითადად სწორედ დიალექტური მოვლენების შედეგია. საერთოქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის სქემა, რომელიც გერჰარდ დეეტერსს ეკუთვნის და ფართოდაა გავრცელებული ქართველოლოგიაში, როგორც ცნობილია, ფუძე-ენიდან სვანურის ადრე გამოყოფის თვალსაზრისს ასახავს. ეს თვალსაზრისი კი, მეორე მხრივ, სვანური ენობრივი მასალის ქართულ-ზანურ მონაცემებთან თვალსაჩინო განსხვავების არსებობას ეყრდნობა. არც გ. დეეტერსს, არც მ. ჯანაშვილს, რომელსაც მანამდე ჰქონია ასეთივე მოსაზრება გამოთქმული, არ მიუძმართავთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდისთვის, რომელიც აუცილებელი იყო ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესის გასარკვევად და ამასთანავე სვანური არ უკვლევიათ შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, რაც ასევე აუცილებელი იყო ამ ენის თავისებური ენობრივი მოვლენების საანალიზოდ. ვფიქრობთ, სვანურის ასეთი განსხვავებულობა ფუძე-ენიდან მის ადრე გამოყოფაზე კი არ მეტყველებს, არამედ საკუთრივ სვანურში ისტორიულად განხორციელებული დიალექტური ტრანსფორმაციების შედეგია. გვიანდელია ამ ენაში არსებული ის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური მოვლენები, რაც მას ქართულ-ზანურისგან აშკარად განასხვავებს და ქმნის „თავისებურ ენობრივ ტიპს“.

საერთოქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველსავე ეტაპზე, როგორც ჩანს, მოქმედებდა გარკვეული დიალექტური

პროცესები. ეს პროცესები ძირითადად ფონოლოგიური ხასიათისა იყო და გამოიხატა საწარმოთქმო ადგილის, ერთი მხრივ, შენარჩუნებით აღმოსავლურ დიალექტურ არეალში (ქართულში), ხოლო, მეორე მხრივ, წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ გადაწევით (სპირანტებსა და აფრიკატებში) დასავლურ დიალექტურ არეალში (ზანურ-სვანურში). შემდგომ ქრონოლოგიურ ეტაპზე ქართული კვლავაც ინარჩუნებს ფუძე-ენასთან საერთო ფონოლოგიურ და სხვა სახის იზოგლოსებს, ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა კი აგრძელებს ცვლილებებს ხმოვანთა უკან გადაწევით (ზანურში) და თანხმოვანთა სისტემაში განხორციელებული ფონეტიკური პროცესებით (სვანურში), რაც საბოლოოდ მიზეზი ხდება შესაძლო ზანურ-სვანური ენობრივი ერთობის დაშლისა ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენობრივ ერთეულებად.

დი ა ნ ა ა ნ ფ ი მ ი ა დ ი

დიალექტის თარგმანის საკითხი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის უახლესი თარგმანები

ლიტერატურული თარგმანი არა მხოლოდ ტექსტის, არამედ ენობრივი კონცეფციის, კულტურული კონტექსტის, ეთნოსოციალური თვითმყოფადობის, მხატვრული რეალობის სხვა ენაზე გადატანის ცდაა, შესაბამისად, ყოველი ახალი თარგმანი ახალი ენობრივი სინამდვილის შექმნაა.

მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას მრავალი სირთულე იჩენს თავს, იქნება ეს მწერლის ენისა და სტილის მაქსიმალურად სრულყოფილად შენარჩუნება, ენობრივი სისტემის ცვლა, ფრაზეოლოგიზმებისა თუ სხვადასხვა ტროპული ერთეულებისათვის საუკეთესო ეკვივალენტის მოძებნა და ა.შ. ერთ-ერთი ასეთ პრობლემათაგანი ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნისას დიალექტისა და სოციოლექტის სხვა ენაზე გადატანაა. როგორ ვთარგმნოთ დიალექტი? რა საშუალებები და მიდგომები არსებობს, როგორია საუკეთესო გამოსავალი რთული და თავისებული ენობრივი რეალობის სხვა კულტურულ კონტექსტში თარგმანებისას, თანაც ისე, რომ ნა-

წარმოების აზრი, ის კონცეფცია არ დაიკარგოს, რასაც ავტორი გულისხმობს ტექსტში დიალექტური რეალობის ასახვისას.

დიალექტი და სოციოლექტი ხშირად მხოლოდ პერსონაჟის იდენტიფიკაციის ან გეოგრაფიული კუთვნილების მაჩვენებელი კი არა, უმთავრესი მხატვრული საშუალებაა. მეტიც, დიალექტის გამოყენებამ პოეზიაში შესაძლოა ცალკე მიმართულებაც კი წარმოშვას, ქართული თარგმანის მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია, რასაკვირველია, გულისხმობს დიალექტის თარგმანისადმი განსხვავებული დამოკიდებულებების არსებობას. სხვადასხვა დროს ქართულ ენაზე თუ ქართული ენიდან ითარგმნებოდა ისეთი მხატვრული ტექსტები, სადაც დიალექტური მეტყველება ავტორის სტილის, ნაწარმოების ჟანრისა თუ სტილისტიკის, პერსონაჟის თავისებურებების, ლიტერატურული ტოპოსის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. როგორ ვთარგმნით დიალექტს? ვპოულობთ მის მსგავს დიალექტს იმ ენაში, რომელზეც ვთარგმნით? ვთარგმნით სალიტერატურო ენაზე მცირედი სტილისტური დაკონკრეტებებით თუ ვქმნით ახალ, ხელოვნურ დიალექტს?

დიალექტის სხვა ენაში გადატანის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგება, სხვა ენის ეკვივალენტის შერჩევას ლინგვისტური ნიშნების გარდა კულტურული კონტექსტი, ტემპერამენტი, ეთნო თავისებურება, სოციალური ხასიათი და სხვა მეტალინგვისტური ნიშნები უნდა განაპირობებდეს. ძალიან ხშირად, დიალექტური თავისებურებები არ ითარგმნება, ამიტომ, ჩვენ, როდესაც სხვა ენაზე თარგმნილ ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტს ვკითხულობთ, ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ორიგინალში დიალექტური მეტყველებაა. როგორ იქცევა მთარგმნელი, რა გზას ირჩევს?

როგორი მდგომარეობაა ქართული ლიტერატურის უცხოურ თარგმანებში? როგორ გადადის დიალექტური მახასიათებლები? იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთარგმნელები ტექსტის დიალექტური შეფერილობის სხვა ენაზე რეპრეზენტაციას ვერ ახერხებენ ან სხვა საშუალებებით ცდილობენ ამის მიღწევას.

თუ უახლეს ქართულ ლიტერატურას გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ტექსტის სტილისტური გაფორმების საშუალებად, მხატვრულ ხერხად ან პერსონაჟის მეტყველების მახასიათებლად სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება დიალექტი. დიალექტური მეტყველების თარგმნისას იკვეთება მთარგმნელთა გადაწყვეტილების ორი ძირითადი მიმართულება:

1. დიალექტი გადადის დიალექტით, თუნდაც მხოლოდ ლექსიკურ ან ფონეტიკურ დონეზე;

2. დიალექტი ითარგმნება სალიტერატურო ენით, თუმცა მეტყველების გარკვეული მახასიათებლების საშუალებით, ინარჩუნებს მცირე განსხვავებას და სტილისტურ შეფერილობას.

ნოდარ ანდოტელი

დიდოური ლექსიკური ნასესხობანი თუშურ დიალექტში¹

1. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია თუშთა და დიდოთა მრავალსაუკუნოვანი მეზობლობისა და ხანგრძლივი ისტორიული კონტაქტების შესახებ, რამაც ფართო ენობრივი ასახვა ჰპოვა თუშური კილოს ლექსიკურ საგანძურში. არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, საყურადღებოა დიდოური ენიდან ნასესხები სახელების გავრცელების, ფონეტიკური ადაპტაციისა და სემანტიკური გადააზრიანების თავისებურებანი, ზოგადად, ქართული ენის მთის დიალექტებში, კონკრეტულად კი - თუშურში.

2. დიდოური ენიდან უნდა იყოს ნასესხები შემდეგი სახელები: თუშ. და-**ჟეკ**-ად (შდრ. ხევს. გა-**ჟეკვ**-ა „id.“) <- საკ. დიდ. **ჟეკ**-ა (შდრ. ჰინ. **ჟეკუ**-ა : ხვარშ. **ჟიკუ**-ა : ბეჟ. **ზუკ**-ალ „id.“) „ცემა“, „დაჟეკვა“, თუშ. **წორტაცუ** „ძლიერ მახვილი, წვეტიანი რქა“ <- დიდ. **წოყი**-**აუ** (შდრ. ხუნდ. **წერ** „ყინული“) „მახვილი, წვეტიანი“, თუშ. **ჭაჭი** < საკ. დიდ. **ჭიჭი** (შდრ. ხვარშ. **ჭეჟე** // **ჭიჟე** : ბეჟ. **ჭიჟე** „id.“) და ა. შ.

3. ყურადღებას იქცევენ დიდოური ენიდან შეთვისებული ექსპრესიულობის გამომხატველი ისეთი ელემენტები, რომლებიც ადამიანის გრძნობებს, განცდებსა და სულიერ მდგომარეობას გამოხატავენ, მაგ.: საკ. დიდ. **ელე-ლე!** „ჰეი-ჰეი!“ „ვაი-ვაი!“, შდრ. თუშ. **ელელე** „ვაი-ვაი“; საკ. დიდ. **ჭადადაა!** „ვაიმე!“ (**ჭადადაა-ჭაბაბაა!** „ვაიმე-

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-072).

ვაიმე!“), შდრ. თუშ. **ადადაი** („მეტისმეტ შელონებას, წუხილს გამოხატავს“ – გ. ცოცანიძე); საკ. დიდ. **ყეჩ!** ზედმიწ. „მოიცა!“ (**ყეჩ-ა** „მოცდა, გაჩერება“), შდრ. თუშ. **ეჩ!** „ბიჭოს!“

4. სათანადო ლექსიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართულიდან (თუშურიდან) ნასესხები მასალა მეტია, შედარებით მცირეა დიდოური ენიდან შეთვისებული ლექსიკა. ამასთანავე, საკვლევ ენობრივ ერთეულებში დასტურდება ძველი, საშუალო და ახალი ნასესხობანი, თუმცა ხშირად მათი რელატიური ქრონოლოგიის დადგენა, დიდოურ ენათა დამწერლობისა და წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, საკმაოდ გაძნელებულია. მიუხედავად ამ სიძნელისა, მოხსენებაში წარმოდგენილია ნასესხობათა ქრონოლოგიისა და მიმართულებათა დადგენის ცდა.

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

სამოსთან დაკავშირებული ლექსიკა აჭარაში

ტანსაცმელი მატერიალური კულტურის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც პრაქტიკული დანიშნულების გარდა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სოციალურ და ქონებრივ საქმიანობას, გამოხატავს ეროვნულ, სქესობრივ, ასაკობრივ თავისებურებებს და ესთეტიკურ გემოვნებას.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით 1935-36 წლებში შეკრებილი შინამრეწველობის მასალები, რომლებიც 1983 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. წარმოდგენილ მოხსენებაში განვიხილავთ წლების განმავლობაში (1958 წლიდან) ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივში დაცულ სამოსსა და მასთან დაკავშირებულ მასალას. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შემდეგი ლექსიკური მასალა: **ბადურა, დოლაზი, ეგრიახა, თორი, კარაჭინი, მესტი, მეში, პაიჭი, პრუნჭულა, საცვეთები, ფრული, შალაქია, ჩალარდანი, ჩაფულია, ჩაფრასტი, ჩალატანი//ჩილატანი, ჩაქურა, ჭახრაკი, ჭუჭნია** და სხვ.

ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

ერთი ქართული დასახლების სხვადასხვა

სახელწოდებისათვის ფერეიდანში

/ფერეიდუნშაპრი/მარტყოფი/სოფელი/ახორა/აკურა¹

ქართული დასახლებების ერთი ნაწილი ფერეიდანში რამდენიმე სახელითაა ცნობილი. ზოგიერთ მათგანს გარკვეულ პერიოდში პარალელურად ორი ან მეტი სახელითაც მოიხსენიებდნენ. სახელწოდებათა სიუხვის მხრივ გამოსაყოფია დღეს უკვე ქალაქის სტატუსის მქონე დასახლება, რომელსაც 1965 წლიდან ოფიციალურად **ფერეიდუნ შაპრი** ჰქვია. იქ მცხოვრები ქართველები მას **სოფელს** უწოდებენ და საკუთარ თავს **სოფლიველებს**. რამდენიმე ქართული სოფელი: თორელი, ბოინი, დაშქესანა, ახჩა **მარტყოფად** მოიხსენიებს მას. ძველი ცნობებით ის ორ ნაწილად იყოფოდა: **ზემო ახორა (ახორა ბალა)** და **ქვემო ახორა (ახორა ფაინი)**, იგივე **ზემო მარტყოფი და ქვემო მარტყოფი**. ამავე დასახლებას უნდა უკავშირდებოდეს მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელის ათამ ონიკაშვილის მიერ დასახელებული ტოპონიმები: **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა**.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ახორა/ახორეს** განსხვავებულ ეტიმოლოგიას ვხვდებით:

1. ერთი ვერსიით **ახორე** ეტიმოლოგიურად ახერიდან მომდინარეობს, „ახერ“ სპარსულია და ქართულად ბოლოს, კიდეს ნიშნავს [რაზმარა, ჭიპაშვილი, კუტალაძე, რაზვანი].

2. „ახორა ... არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბაგას“ [აღნიაშვილი].

3. **ახორას** ერთ-ერთი ვერსიით უკავშირებენ მდინარე **ახორი**-ანს, რომლის ნაპირებზეც განლაგებულია ძველი ქალაქი ანი, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ადგილობრივების თქმით, ეს ტოპონიმი წარმოდგება სპარსული სიტყვიდან ახარე (Akhare) (ბოლო პუნქტი, ბოლო ნაწილი) ან ა(ბ) ხორედან (A (b) khore) (სასმელი წყალი); სტატის ავტორი უშვებს კიდევ ერთ ვერსიას: თუ ხორრე (to Khorre (or Farre)), რაც ღვთაებრივ კურთხევას ნიშნავს [რაზვანი].

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი 217438].

ვფიქრობთ, ტოპონიმი **ახორა** არ არის სპარსული ან თურქული წარმომავლობის და ის ტოპონიმ **აკურას** ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს.

ზემო და **ქვემო აკურა**, როგორც ფერეიდნის ქართული სოფლის სახელწოდება პირველად გვხვდება ზაქარია ჭიჭინაძესთან ჩაწერილი 1871 წელს საქართველოში ჩამოსული ფერეიდნელი ქართველის ათამ ონიკაშვილისგან. ლადო აღნიაშვილი 1894 წელს ეძებს და ვერ ადასტურებს **ზემო** და **ქვემო აკურას** არსებობას ფერეიდანში. **აკურას** მცდარ ფორმად მიიჩნევს ამბაკო ჭელიძეც.

ვფიქრობთ, ათამ ონიკაშვილის მიერ ნახსენები **აკურა** არ უნდა იყოს შეცდომა. ჩვენი აზრით, **ზემო** და **ქვემო ახორა** და **ზემო** და **ქვემო აკურა** ერთი და იმავე დასახლებების სინონიმური სახელწოდებები იყო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებისათვის ფერეიდანში. ანალოგიური სურათია საქართველოში შუა საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით: **აკურა** და **ახურა/ახორა** სინონიმური სახელწოდებებია ერთი და იმავე დასახლებისა.

შუა საუკუნეებისათვის ცნობილია რამდენიმე სოფელი საქართველოში **აკურას** სახელწოდებით.

1. სოფელი **აკურა**, თელავის რაიონში. შუა საუკუნეების დოკუმენტებში ამ სოფლის სახელად **აკურას** პარალელურად გვხვდება **ახურა**. დოკუმენტებიდან პირველი დათარიღებულია 1597 წლით, „**აკურა** 1711 - ჯანდიერიშვილები, ვაჩნაძენი და **ახურელნი** საჯნავს მიწებზედ შეცილდნენ... [საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში I, გვ. 27].

2. **აკურისი** მდებარეობდა ქვემო ქართლში, ნასოფლარი: „აკურისი (1654) ...ესე წყალობის წიგნი... გიბომეთ ... **აკურელს** ამბალაშვილს ზურაბასა... [საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში I, გვ.29].

3. **აკრიანი**, სოფელ მარტყოფის ძველი სახელწოდება, ეს სოფელი მდებარეობდა 5-6 კილომეტრის დაშორებით ახლანდელი მარტყოფიდან და ლეკიანობის გამო მოსახლეობა ბარისკენ ჩამოსახლდა.

აკურისი და **აკრიანი** – ორივე ერთი ძირიდან შეიძლება იყოს ნაწარმოები: **აკურა**. აკურისის მაცხოვრებლები მოხსენიებულნი არიან როგორც აკურელნი; აკრიანის ძირად გამოყოფენ **აკარ**-ს და მას ქვას, კლდეს უკავშირებენ [უ. სახლთხუციშვილი].

ვფიქრობთ, ორივე შემთხვევაში ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ **აკურ.**

საქართველოში **აკრიანი** და **მარტყოფი** ერთი დასახლებული პუნქტის სახელებია, ისევე, როგორც ფერეიდნის **ახორა/აკურა** და **მარტყოფი**. შესაძლებელია სწორედ **აკურას/აკურისის** მოსახლეობა იყო გადასახლებულთა შორის, ამდენად დასახლების ორი სახელით მოხსენიება: **აკურა/ახურა** ქართული ტრადიციის გამოძახილი ჩანს. ამ სინონიმური წყვილიდან მეტად გამძლე აღმოჩნდა **ახურა/ახორა** (უ-ო მონაცვლეობა ფერეიდნულისთვის ბუნებრივია, შდრ. გურჯიგორჯი). **ახორას** შენარჩუნებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ის გაიგივდა არაბული ან თურქული წარმოშობის ახორასთან: ახორა – ბოლო, კიდე; ახორა – ბაგა და თავად ქართველებისთვისაც ეს ტოპონიმი უკვე სპარსულად გაიაზრებოდა. ამიტომაც უწოდებს სეიფოლა იოსელიანი მას სპარსულ სახელს: „მარტყოფი, რომელსაც სპარსელნი ახორას ეძახიან“.

ფერეიდნელი მარტყოფელები თავიანთ დასახლებას სოფელს უწოდებენ, თავს კი სოფლიველებად აცნობენ სხვებს. ისევე როგორც საქართველოში, სადაც XVII-XVIII საუკუნეებში აკრიანის (მარტყოფის), ბარისაკენ გადაწევით გაჩნდა ახალი დასახლება, რომელსაც თავად მარტყოფელებმა **სოფელი / სოფლისუბანი** უწოდეს, აქაურ მაცხოვრებლებს კი **სოფლელები / სოფლისუბნელები**, სპარსეთში გადასახლებულმა ქართველებმა იქაც ახლადდარსებულ დასახლებას **სოფელი** უწოდეს, მაცხოვრებლებს კი **სოფლიველები**.

შესაძლებელია, მარტყოფი იყო ერთი დიდი დასახლების საერთო სახელწოდება, იგი იყოფოდა პატარა დასახლებებად, რომელთაგანაც თითოეულს ჰქონდა თავისი სახელი, უბნები, რომელთაგანაც ყველაზე დიდი იყო ზემო ახორა და ქვემო ახორა, პარალელური სახელებით **ზემო აკურა** და **ქვემო აკურა**. დროთა განმავლობაში **ახორამ** განიმტკიცა პოზიციები და შეავიწროვა **აკურა**, რომელიც ბოლოს საერთოდ დაიკარგა. **ახორა** – ასე მოიხსენიებდა მას არაქართული მოსახლეობა, ადგილობრივი ქართველები უწოდებდნენ **სოფელს**, დანარჩენი ქართული სოფლების მოსახლენი კი (იგულისხმება დაშქესანა, ახჩა ბოინი, თორელი) **მარტყოფად** მოიხსენიებენ, ოფიციალურად კი ეს ქალაქი დღეს **ფერეიდუნ შაჰრია**.

მ ა ი ა ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი

Y ბგერის ადგილი ინგილოური დიალექტის ფონოლოგიურ სისტემაში

ინგილოური დიალექტი, მისი გეოგრაფიული, სოციოლინგვისტური თუ კულტუროლოგიური თავისებურებების გამო, განსაკუთრებით საინტერესო ენობრივ სურათს ქმნის. ენობრივი გავლენების თუ ინტეგრაციის ახალი პროცესების კვალდაკვალ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დიალექტის ფონეტიკური თუ ფონოლოგიური სურათის დაფიქსირება. ამ მხრივ, ქართულ ენათმეცნიერებას მდიდარი ისტორია აქვს, ფონოლოგიური სისტემა შესწავლილი აქვთ გრიგოლ იმნაიშვილს, როგნედა ღამბაშიძეს, ბესარიონ ჯორბენაძეს და სხვ.

ჩვენი ინტერესის საგანია Y ბგერა, რომლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

დასახელებული ბგერა გვხვდება გრიგოლ იმნაიშვილისა და როგნედა ღამბაშიძის მიერ გამოცემულ ტექსტებში. გრ. იმნაიშვილი ამ ბგერის შესახებ წერს:

„ბგერითი შედგენილობით ინგილოური საგრძნობლად განსხვავდება სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის სხვა კილოებისაგან. ცალ-ცალკე აღებული არც ერთი კილო არ შეიცავს იმდენ ბგერით თავისებურებას, რამდენსაც ინგილოური. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ინგილოურში გვაქვს უმლაუტები, დიფთონგები, გემინატები, რბილი ლ. გარდა ამისა რიგი ბგერები (ზ, ყ, ო, უ, რ, ჰ) ზოგჯერ ძირითადი ბგერისაგან (ფონემისაგან) განსხვავებულ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას იძლევა, თავისებურ ფონეტიკურ ელფერს ატარებს და გვევლინება როგორც ერთისა და იმავე ფონემის ვარიანტები. დასახელებულ ბგერათაგან ზოგი ფონემას არ წარმოადგენს, გარდამავალი ხასიათის მატარებელია. ზოგჯერ შეინიშნება აგრეთვე არაფონემური ბგერა Y – აზერბაიჯანულიდან (ან აზერბაიჯანულის გზით) შემოსულ სიტყვებში. (შეიძლება შეგვხვდეს ქართულ სიტყვებშიც)“.

დასახელებული ბგერის შესახებ ავტორი აღნიშნავს: რ-სა და ჰ-ს პარალელურად ინგილოურში თითქოს გვესმის ერთგვარი ბგერა, რომელსაც აკუსტიკური შთაბეჭდილებით საშუალო ადგილი

უჭირავს მათ შორის. ხშირად სავსებით ემთხვევა ერთ-ერთ მათგანს. იგი მიიღება დასუსტებული თავკიდური რაესაგან ხმოვნის წინ; მაგ: Yაშ გინდა? (რაში გინდა?) Yაი გინდა? (რა გინდა?) Yაბე არ გააკეთი? (რაბე [რატომ] არ გააკეთე?) Yოგო მოუდა? (როგორ მოვიდა?)

სხვა ავტორების მიერ ჩაწერილ ტესტებში დასახელებული ბგერის ნაცვლად გვაქვს **რ** და **ჰ** ფონემა, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ინგილოური დიალექტის ფონოლოგიურ სისტემაში პრობლემურია მისი მარკირების საკითხი.

ინგილოური დიალექტის ძველ და ახალ მასალებზე დაყრდნობით, სხვადასხვა დროს ჩაწერილი და დამუშავებული ტექსტების, ქართული დიალექტური კორპუსის მდიდარი ინგილოური მასალის ანალიზისას გამოიკვეთა ჩვენთვის საინტერესო ბგერასთან დაკავშირებული რიგი ფონოლოგიური საკითხებისა და ამოცანებისა.

დასტურდება თუ არა Y ბგერა ინგილოურ დიალექტში, როგორია მისი მარკირება, პოზიცია თუ ფუნქცია, ფონეტიკური დახასიათება თუ ფონოლოგიური თვისებები. სწორედ ამ საინტერესო საკითხზე ვისაუბრებთ მოხსენებაში.

ამირან ხასილაშვილი

კახური დიალექტური ლექსიკიდან

დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი) გავრცელებული იყო ავსულთაგან დამცავი თილისმა – ხის ჯვარი, რომელსაც პაპაჯვარს უწოდებდნენ. ელიაობის წინა დღეს გააკეთებდნენ 1-1.5 მეტრი სიგრძის მაღალ სარს, ააჭრებდნენ ალაგ-ალაგ დანით. სარის ჩაჭრილ თავზე ამაგრებდნენ ჯოხს, ასე ეძლეოდა პაპაჯვარს ჯვრის ფორმა. პაპაჯვარს არჭობდნენ ეზოს, ყანის, ბოსტნის, საფუტკრის შუაგულში და თან მღეროდნენ: „ჯვარი აქე, ჯვარი აქე, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე. ჰაუ, ჰოუ!“ ხალხის რწმენით, პაპაჯვარი მათ ქონებას ავი სულისგან იცავდა (ანთელავა 2017; ბერიძე 1986; შარაშიძე 2014).

ასეთი რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოში თითქოს არ უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ენციკლოპედიურ ნაშრომებსა და

დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში არ ჩანს), მაგრამ კახური კილოს მონაცემებით ამ რიტუალის არსებობა აქაც დასტურდება. კახური დიალექტის გარეკახურ და შიგნიკახურ კილოკავებში ფიქსირდება ლექსიკური ერთეულები: **გაპაპაჯვრება** (გარეკახ.)/**გაპაპაჯორება** (შიგნიკახ.) „ფეხმორთხმით ჯდომა, ადგილიდან დაუძვრელობა“; **გადატ.** „განებივრება, გაბატონება“, **გაპაპაჯვრებული** (გარეკახ.)/**გაპაპაჯორებული** (შიგნიკახ.) „გათამამებული, ნებიერი, ვინც ფეხს არ მოიცვლის ადგილიდან“ (სახლთხუციშვილი 2003; ბასილაშვილი 2016). თუკი გარეკახურ **გაპაპაჯვრება**-ში **ჯვარი** რედუცირებული სახით მაინც ფიგურირებს, შიგნიკახურში გარეკახურის **ვა** კომპლექსი **თ**-დ არის შეცვლილი (რაც ასე დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია ქართული ენა-დიალექტებისთვის) და ამის გამო, საანალიზო სიტყვათა წარმომავლობა კიდევ უფრო გაბუნდოვანებულია. კახურ **გაპაპაჯვრება/გაპაპაჯორება**-ს კავშირი დასავლურ ქართულ **პაპაჯვართან** უნდა ჰქონდეს. როგორც ჩანს, კახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში **პაპაჯვარი** და მასთან დაკავშირებული რიტუალი დაიკარგა, მაგრამ მისი კვალი შემორჩა სემანტიკურად გაბუნდოვანებული ლექსიკური ერთეულების სახით.

მ ა კ ა ბ ე რ ი ძ ე

ხალხური ლექსის ჯავახური ვარიანტის ბგერითი სემანტიკა

პოეტური, იგივე მხატვრული ენა განსაკუთრებით ავლენს შემოქმედებით პოტენციალს. მხატვრული ქმნილების ენაში აღმნიშვნელი და აღსანიშნის ურთიერთმიმართება ყველაზე აქტიურია. მკითხველზე იგი რამდენიმე სახით ზემოქმედებს: გავლენას ახდებს აღმქმელის აზროვნებაზე, მოქმედებს წარმოსახვაზე და ამავედროულად მოიცავს მის სმენით შეგრძნებებს. მაღალმხატვრული ღირებულების პოეტური ქმნილება არ ექვემდებარება ერთჯერადი წაკითხვით სრულ აღქმას. პირველი წაკითხვისას იბადება ემოცია, მხოლოდ რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ იხსნება შრეების წყება და

მკითხველი უახლოვდება იმ შემოქმედებით სიღრმეს, რომელიც ტექსტის მიღმა არსებობს.

ენათმეცნიერები ხაზს უსვამენ ქართული ენის დიდ ბგერწერით შესაძლებლობებს, განსაკუთრებით თანხმოვნებთან მიმართებით, რაც გამოწვეულია ენაში ხშულთა სამეულებრივი სისტემის, ნაპრალოვანთა და აფრიკატთა დიფერენცირებული სისტემების, სისინა და შიშინა ფონემათა დაპირისპირების არსებობით. ყოველივე ეს კონსონანტური ბგერწერის მაქსიმალურ შესაძლებლობებს ქმნის.

მოხსენებაში განხილულია ჯავახურ დიალექტზე შექმნილი ერთი ლექსის ბგერითი სემანტიკა. არსებობს ლექსის „რძალდედამთილიანი“ ვარიანტები, რომლებიც გარკვეულად ეხმიანება ბესიკის ამავე სახელწოდების პოემას.

ლექსის ბგერწერის დახასიათებისას განხილულია როგორც ხმოვანთა, ისე კონსონანტთა სემანტიკა. გაანალიზებულია ბგერწერის ორი ძირითადი წყარო: ხმაბაძვა და მასთან დაკავშირებული სინესთეზია (გრძნობადი აღქმების: ბგერითი, ფერის, სინათლის... შთაბეჭდილებათა ურთიერთშესაბამისობა) და კინემიკა. გამოკვეთილია ლექსის ბგერითი დომინანტა, რომელიც ორგანულად უკავშირდება და სრულ შესაბამისობაშია ნაწარმოების შინაარსთან.

მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

პარადიგმული სტერეოტიპი და ლინგვისტური რეალობა (ფერეიდნული სახელური ფორმაწარმოების ზოგი საკითხისათვის – ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება)¹

სახელური მორფოლოგია დიალექტური დიფერენციაციის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია. სხვადასხვა ლინგვისტური ფაქტორების მოქმედების შედეგად სწორედ ამ უბანზე იქმნება შთამბეჭდავი მრავალფეროვნება, რომელიც ქართული დიალექტებისა და მათი შიდა ქვესისტემების გამონაწევრების საშუალებას იძლევა.

ფერეიდნულიც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი 217438].

დიალექტის თავისებურებების შესწავლისას დავეყრდნით ყველა არსებულ გამოკვლევას. საანალიზოდ გამოვიყენეთ გამოქვეყნებული და ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტური და საანკეტო მასალა.

მასალის მოპოვების პროცესში გათვალისწინებული იყო ქართული დიალექტოლოგიის გამოცდილება და ქართულ დიალექტებში სახელური მორფოლოგიის სფეროში გამოვლენილი თავისებურებები. საჭირო ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ ანკეტირების სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, რამდენიმე ტიპის ფოტოკოლაჟი და სიტუაციური ამოცანა, რომელსაც რესპონდენტები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად წყვეტდნენ. ასეთი გზით ვცდილობდით თემატური სიტუაციის სიმულირებას და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაკვირვების დამატებით შესაძლებლობას ვქმნიდით.

სახელთა ბრუნების მხრივ დიალექტებში გამოვლენილ მრავალფეროვნებას განაპირობებს როგორც მორფოლოგიური ელემენტების – ბრუნვის ნიშნების ფონეტიკურ ნაირსახეობათა სიმრავლე, ისე ამ ნიშანთა გამოვლენისა და მათთან დაკავშირებული მორფოლოგიური ცვლილებების სრულიად განსხვავებული სურათი დიალექტებში. მაშინაც კი, როცა დიალექტები არ სხვაობენ ერთმანეთისგან მორფოლოგიური ინვენტარით, განსხვავება ბრუნების თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ განსხვავებას ქმნის სახელთა ბრუნების კომპლექსურ მახასიათებელთა (ფუძის ფონეტიკური ბუნება, ალომორფებისა ფონეტიკური ვარიანტების რანჟირების წესი, სახელის პოზიციური სტატუსი შესიტყვებაში, სემანტიკური ჯგუფი, პაუზა, ინფორმაციის სტრუქტურირების მოდელი) სხვადასხვაგვარი კომბინირება.

ფერეიდნულ დიალექტში სახელთა ბრუნების თავისებურებები სისტემურად არავის აღუწერია, თუ არ ჩავთვლით ბატონი გიორგი გოგოლაშვილის ინიციატივით დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ შედგენილ პარადიგმებს.

კორპუსული მასალის კვლევამ, აგრეთვე ანკეტურმა გამოკითხვამ, აჩვენა, რომ სახელთა ბრუნების არსებული პარადიგმა დასაზუსტებელია.

წარმოდგენილ მოხსენებაში დეტალურად შევხებით ხმოვან-ფუძიან სახელთა ბრუნების თავისებურებას ფერეიდნულ დიალექტში. წარმოვადგენთ ვრცელი მასალის ანალიზის აღწერილ თავისებურებებს, რომლებიც მხოლოდ ფრაგმენტულად აისახა ან საერთოდ არ მოხვდა დიალექტის შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ მიმოხილ-

ვებში, მეტიც – ზოგი მათგანი რადიკალურად ეწინააღმდეგება არსებულ აღწერას. საბოლოო ჯამში იქმნება ფერეიდნული სახელური ფორმაციონების დღემდე არსებულისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი:

- ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის (!)
- ხმოვანფუძიანი სახელი მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში **უპირატესად** უკვეცელია
- ხმოვანფუძიანი სახელი ნათესაობით ბრუნვაში უკვეცელია და დაირთავს -ს (და არა -ის //-ის !) ბრუნვის ნიშანს
- ხმოვანფუძიანი სახელი მოქმედებით ბრუნვაში უკვეცელია და უპირატესად დაირთავს **-ით// -ით** ბრუნვის ნიშანს, თუმცა გვაქვს პარალელური წარმოება **-თ** სუფიქსით (დანაით//დანათ)
- კითხვითი ნაცვალსახელი **რა** ნათესაობითსა და მოქმედებითში უკვეცელია და დაირთავს ხმოვანი ბრუნვის ნიშნებს: **-ის, -ით**. თანდებულებიან ნათესაობითში **რა** ნაცვალსახელი **-ს** ალომორფით არის წარმოდგენილი (რასთი, რასათი).
- **-ა** ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობითში იკვეცება ყველა ბრუნვაში: ყანები... თუმცა, გვაქვს პარალელური წარმოება უკვეცელი ფუძით: დიკეები (<- დიკაები)...
- ეები დაბოლოება პირველადიცა (ხეები...) და მეორადიცა (ძმეები <- ძმაები)) შეიძლება შეიცვალოს, ოღონდ არა „რეგრესული“ დისიმილაციის გზით, როგორც ეს სხვა დიალექტებში, სახელდობრ, სამცხურ-ჯავახურში გვაქვს (ხეები -> ხიები, *დეები -> დიები...), არამედ „პროგრესული“ დისიმილაციის გზით, როცა წინამავალი ხმოვანი განიმსგავსებს მომდევნოს – ხიები /ხეები, ძმეები / ძმეები...

როგორც ვხედავთ, განსხვავება დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ შედგენილ სახელურ პარადიგმებთან საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს ფაქტი მით უფრო საგულისხმოა, რომ ავტორისეულ აღწერას მის მიერ მოპოვებული და გამოცემული (ან გამოსაცემად მომზადებული) მასალაც არ უჭერს მხარს. მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი „აღდენა“ გამოწვეულია იმით, რომ პარადიგმა აგებულია ქართული დიალექტოლოგიური გამოცდილების სტერეოტიპული განზოგადების საფუძველზე – მოქმედებით ბრუნვაში დადასტურებული და ფართოდ გავრცელებილი – **-ით// -ით** დაბოლოება

უკვეცელ ფუძესთან, ავტორს უბიძგებს „აღადგინოს“ უკვეცელ სახელთა სტერეოტიპული პარადიგმა: სახელობითში -**o**//**-a** და ნათესაობითში -**ს**//**-as** დაბოლოებით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არ ასახავს რეალურ სურათს.

ვფიქრობთ, ფერეიდნული დიალექტი წარმოგვიდგენს კვეცა-უკვეცელობის მოვლენის მორფოლოგიზების არასრულ საფეხურს – როცა დიალექტის შიგნით არის დაშვებული შეკვეცილი და შეუკვეცავი ფუძის ვარიაციულობა. ამასთან, ერთი პარადიგმის ფარგლებში გვხვდება უკვეცელი ფუძის ხმოვნისანი (მოქმედებითი ბრ.) ან უხმოვნო (ნათესაობითი ბრ.) ბრუნვის ნიშნით გაფორმება. ფერეიდნულის ეს ვითარება შესაძლოა მაგალითი იყოს ქართული ენის ქვესისტემებში ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვის პარადიგმათა ჩამოყალიბების დინამიკის გასათვალისწინებლად.

კორპუსული მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე ვეცდებით ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას.

მ ე რ ა ზ ბ ე რ ი ძ ე

სამცხე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ აღწერს სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოსს, კოლას, არტაანს, ტაოს და ახლანდელ ბორჯომის ხეობას ქვიშხეთამდე (ს. ჯიქია). ჩამოთვლილ კუთხეთაგან თითოეული ცალ-ცალკეა შესასწავლი ონომასტიკურად. მიუხედავად ტექსტის სირთულისა, გამომცემელმა დიდი სამუშაო ჩაატარა, რომ გარკვეულიყო სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმია და იქ მცხოვრებთა სახელები. ჩვენი კვლევის მიზანია ონომასტიკურად შევისწავლოთ სამცხე. ვყვრდნობით, რა თქმა უნდა, ს. ჯიქიას კვლევებს და ამოკითხულ მასალას.

რადგან საგადასახადო სისტემა დაკავშირებული იყო ხალხთან, გეოგრაფიულ პუნქტებთან, ფულთან, ტოპონიმებს გაუცხოველდათ მთავარი – საორიენტაციო ფუნქცია, რომელიც მათ მანამდეც ჰქონდათ, ოღონდ, შედარებით „შიდა მომსახურებისათვის“. ამჯერად კი ოსმალთა მოხელისათვის გადასახადის აკრეფა რომ ადვი-

ლი და ზუსტი ყოფილიყო, მას უნდა ჩაეწერა ესა თუ ის სახელი ზუსტად ისე, როგორც ამას ადგილობრივი ქართული მოსახლეობა უწოდებდა. ქართული და თურქული ენების განსხვავებული ფონემატური სისტემების გამო სახელთა (ტოპონიმთა და ანთროპონიმთა) ჩაწერა ხდებოდა შესაბამისი დიაკრიტიკული ნიშნებით.

დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ ტოპონიმთა მთლიანად ქართულია, რადგან ოსმალეთის ხელისუფლების დამყარების პირველი ეტაპია, დასაწყისია და ამიტომ ჯერ კიდევ არ არის სახელმწიფო აქტიურად ჩარეული გეოგრაფიულ სახელთა გადათურქულების პროცესში. სირთულეს ქმნის სახელთა დაწერილობა და არა მათი შეცვლა ან თარგმნა.

ტოპონიმთა იდენტიფიკაციის დროს საქმეს აადვილებდა გეოგრაფიული პრინციპი, რომლითაც ხდებოდა მე-16 საუკუნეში დოკუმენტის შედგენა. ეს პრინციპი ხელსაყრელი აღმოჩნდა საგადასახადო საქმისათვისაც და დღევანდელი მდგომარეობისათვის, რადგან სოფლები დალაგებული იქნა ერთმანეთის სიახლოვეს, იმის მიხედვით, თუ რომელი პუნქტი რომელს ემეზობლებოდა.

მესხეთი ანუ ზემო ქართლი შედგებოდა სხვადასხვა მესხური პროვინციისაგან, რომელთაგან ზოგიერთი (მაგალითად: ჯავახეთი, მესხეთი) ეთნოლინგვისტური წარმონაქმნი უნდა ყოფილიყო, ხოლო ზოგის სახელი მთავარი ქალაქის სახელის, მისი გავლენის სფეროს მიხედვით გადადიოდა პროვინციაზე: არტაანი (ცენტრი) -> არტაანი (პროვინცია), შავშეთი -> შავშეთი, ერუშეთი -> ერუშეთი და სხვ. სამცხე, როგორც ადმინისტრაციული ერთეული კონკრეტულად არის ვახუშტის მიერ შემოსაზღვრული. მისი ძირითადი ნაწილი დღევანდელი საქართველოს ფარგლებშია, ხოლო ფოცხოვის სათავეები თურქეთს უკავია.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით გეოგრაფიული პრინციპით აღწერილ სოფელთა სახელები დავალაგეთ ანბანთრიგზე, აღმოჩნდა, რომ 1595 წელს სამცხეში აღწერილია 372 სოფელი, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია 162-მა. აღწერილ სოფელთა შორის ბევრი უკვე გაუკაცრიელებულია, მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. არის სოფლები, სადაც 2, 3, 5 ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ ამას ჩვენი მიზნებისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი სახელი და ჩვენც ამ სახელს განვიხილავთ ენობრივი კუთვნილების მიხედვით.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

მწყემსური ლექსიკა მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში

სამეგრელოს მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგთან, მესა-ქონლეობასთან დაკავშირებული სიტყვა-ფორმები კარგად აისახა მეგრულთა ხატოვან აზროვნებაში. მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში დიდი ადგილი უჭირავს მწყემსურ ლექსიკას და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ის გამოხატავს:

მოჩვენებითობას:

გაღე შხური დო დანახალე (ნ)გერი „გარეთ ცხვარი და შიგნით მგელი“ = მოჩვენებითი, საშიში ადამიანი. ალბათ გადასახედა სა-მეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი შეფასება „უნებისყოფო, სუსტი ადამიანი“. **შხური** = ცხვარი, **გერი** = მგელი;

გაუგებრობას, გაურკვევლობაში ყოფნას:

ბუყუნს ენოხე „ბუყუნში ზის“ არაფერი გაუგია, არაფერი იცის; ჭურში ზის. **ბუყუნი** = ხისგან საგანგებოდ დამზადებული ჭურჭელი, კასრი, რომელსაც იყენებენ რძის ჩასასხმელად, მაწვნის შესაღებლად.

იღბლიანობას:

ჯოღორიშ ბედი უღუ „ძალის ბედი აქვს“, იღბლიანია; **იშ ბეს ჯოღორი ვეგიოაიანს** „იმის ბედს ძალლიც არ დაჰყევს“. ბედნიერი იქნება; უზრუნველად, გაუჭირვებლად იცხოვრებს. **ჯოღორი** = ძალი.

უსირცხვილობას:

კამბეშიშ ტყები აწაფინგ (|| აწაჭუ) „კამეჩის ტყავი აფენია (აქვს მიკერებული)“, სირცხვილის გრძნობა არა აქვს. **კამბეში** = კამეჩი.

ჯიუტობას, ამპარტავნებას, თავდაჯერებულობას:

კეხიშ(ი) მუნორთინაფა „კეხის გადაბრუნება“, გაჭირვეულება; ამპარტავნება; **კეხი** = კეხი, უნაგირის ხის ჩონჩხი. **ფოფორ ქიჩანუ** „ფაფარი აღმოიცენა“, გათამამდა; **ფოფორი** = ფაფარი.

სიძლიერეს:

კიღეშა ქიგ ლეტყაბარანს კამბეშის „მკლავზე დაიტყავებს კამეჩს“, ღონიერი კაცია.

საქმიდან გასვლას, საქმის დამთავრებას:

ლაბაშაშ მიკობონუა „ხელჯოხის („კომბალი“) მიყუდება“, საქმიდან გამოსვლა; ფარ-ხმლის დაყრა. **ლაბაშა** = წვეტიანი რკინამოც-მული მწყემსების ჯოხი მთაზე სახმარებელი, კომბალი.

მონდომებას:

ნალი დო ფოლოშ შქას გითულა „ნალსა და ფლოქეს შუა გა-ძვრომა“, ნემსის ყუნწში გაძვრომა. ყოველგვარი საშუალების, ღონის გამოყენება მიზნის მისაღწევად. **ნალი** = ნალი, **ფოლო** = ფლოქვი.

აგდებას, არაფრად ჩათვლას:

ჯოღორცალო არდება „ძალლივით აგდება“:

უსაქმურობას, უთავბოლოდ ხეტიანს:

უჭყეშური თხა „უმწყემსარი თხა“. უთავბოლოდ მოხეტიანე. **უჭყეშური** „მოუმწყემსავი“.

თავდაჭერილობას:

შხურ-უღვარუ რე „ცხვარ-დაუბღავლებელია“, თავდაჭერილი, ზრდილი. **შხური** = ცხვარი, **უღვარუ** = დაუბღავლებელი.

შიშს:

კაპუშ დინოცოთამა „კაპუს ჩაგდება“, ხმის ჩაგდება. შიშისაგან ხმის ვერ ამოღება, გაჩუმება; **კაპუ** = ხის აღვირი, ალიკაპი; ღორის, და საერთოდ შინაური საქონლის, ავადმყოფობა. **კაპუ** მძიმე ავადმყოფობად ითვლება, საქონელს ყელი უსივდება და ხმის ამოღება არ შეუძლია. ამიტომ არის წყევლა: **კაპუ** ქირტკოლაფუდასია / ქირდკოლაფუდასია „კაპუ ჩაგვარდნოდეს პირშიო“.

უპატრონობას, უპასუხისმგებლობას:

უჯოღორე ქიანა „უძალლო ქვეყანა“. უპატრონო ქვეყანა, სადაც კანონი და სამართალი არ მოქმედებს, სადაც ადამიანს მფარველი და დამცველი არავინ ჰყავს.

მტკივნეულ, უხერხულ გახსენებას:

ჯოღორიშ ნაჩამინაცადო გოშინა „ძალლის ნაკბენივით გახსენება“; მწარედ, მტკივნეულად გახსენება რაიმესი. **ნაჩამინა** = ნაკბენი.

გამომალვას; მარჩენალს, შემომტანს:

ოჭვალარ ჩხოუ რე „საწველი ძროხაა“; შემომტანი, მარჩენალი. **ოჭვალარი** = საწველი

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

ი. ყიფშიძე – მეგრულის მკვლევარი და მოამაგე

იოსებ ყიფშიძის გამოკვლევები მეგრულ-ლაზურის მიმართულელებით დღემდე შეუცვლელ სამეცნიერო ნაშრომებად ითვლება ქართველოლოგიაში.

ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია მის მიერ 1912 წელს წაკითხული მოხსენება „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, რომელიც ბოლო დრომდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის. მისი ორიგინალი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება, გამოიცა 2015 წელს.

ლექციის ტექსტი მოიცავს 76 ფურცელს, დაწერილია მელნით, მოგვიანებით ჩართული შენიშვნები და შესწორებები შესრულებულია ფანქრით.

ლექციის ავტოგრაფში ჩანს, თუ როგორი რუდუნებით ემზადებოდა მკვლევარი საჯარო გამოსვლისთვის. ავტორი მსჯელობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეგრულის მეცნიერული შესწავლა.

საჯარო გამოსვლის ერთი საინტერესო პასაჟია ი. ყიფშიძის მსჯელობა კვირის დღეების სახელწოდებებთან დაკავშირებით. ლექციის ამ მონაკვეთში მეცნიერი მსჯელობს მონათესავე ენათა მონაცემების მნიშვნელობაზე საერთოქართველური ენობრივი სიტუაციის და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოსადგენად (სტილი დაცულია): „მოგახსენებთ, ქართულში, მიუხედავად იმისა, რო თითქმის 15 საუკ. ლიტერატურა აქვს, დღეების სახელები ნასესხებია: აღებულია ქვაკუთხედათ ებრაული შაბათი და ამას მიჰყვება დღეების სახელები: ერთშაბათი (რაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბერძნულ კვირეთ შეიცვალა...“ ი. ყიფშიძეს მეგრულ ტერმინთა განხილვისას მოჰყავს პარალელური ფორმები ლაზურიდან. სამშაბათის აღმნიშვნელ **თახაშხა** ფორმაზე წერს: „ეთიმოლოგია ამ სიტყვის ჯერჯერობით ბუნდოვანია, შეიძლება *დიხაშხა-ს ნიშნავდეს, მიწის დღეს“. **ჯუმაშხა** (თუ ნასესხები არ არის არაბულ-თათრულიდან, იქნება ნიშნავდეს ძმის დღეს, ლაზურათ ჯუმა, მეგრ. ჯიმა ნიშნავს ძმას... **ოზიშხა** – ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც ბუნდოვანია ჯერჯერობით, სვანურათაც **ოზიშ**, ან **ვებიშ**; პრ. ცაგარელი ფიქრობს, რომ

ობიშხა და **ვებიშ** წარმომდგარია სვანური სიტყვა **ობი, ვები, უები**, რაც ნიშნავს: წერა, ბედისწერა, ხვედრი... “

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლექციის მონაკვეთი, სადაც მეცნიერი მსჯელობს სალიტერატურო ენასა და დიალექტებში შესულ მეგრელიზმებზე: **შუმი** ღვინო, **დედამთილი** / **მამამთილი**, **ზისხა**, **ტყაბუჩა**, **ტყაჩუ**...

გარდა ამისა, მეცნიერი განიხილავს მეგრული კილო-კავების სენაკურის და ზუგდიდურ-სამურზაყანოულის თავისებურებებს, ფონეტიკის, ბგერათშესატყვისობის, მორფოლოგიის საკითხებს, საგულდაგულოდ მსჯელობს მეგრულის ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებასა და მის გამოვლენაზე მეზობელ ქართულ დიალექტებში, ნასესხობებსა და ბარბარიზმებზე, ტაბუს თემაზე მეგრულ მეტყველებაში.

ვრცელი მოხსენება მთავრდება სიტყვებით: **„იცოდეთ, რომ საქართველოს დრო სანატრელი მაშინ ხვდა მხოლოდ, როს შეუერთდა ფარნაოზ ქართლელს ქუჯი მეგრელი“**.

კ ე ს ო გ ე ჯ უ ა

მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ დამუშავებისას, მკვლევართა (ი. ყიფშიძე, ივ. ჯავახიშვილი, მ. ალავიძე, კ. დანელია, თ. ბოლქვაძე, რ. შეროზია, ე. დადიანი) მიერ აქამდე გაანალიზებული ერთეულების გარდა, დამატებით აღმოჩნდა მეგრული წარმომავლობის სიტყვა-ფორმები:

1. **განლიგება** (+ 6, 40 ბარუქ. ZA) გამტერებით უქმოობა ZAB. ლექსიკონში ვხვდებით ამ ერთეულის ძირეულ ფორმასაც **ლიგ-ი** „შტერის“ განმარტებით.

ერთეულისთვის ამოსავალი ფორმაა მეგრული **ლიგ-** ძირი; მისგან ნაწარმოები სიტყვებია: **ლიგვა/ლიგვალი** – მოსულელო; უნიათო; მოდებილი; **ლიგვინი** – გამოშტერებული ყურება **ილიგვინანს**, **ოლიგვინანს** – გამოშტერებული იყურება; საყურადღებოა, რომ მე-

გრულ მეტყველებაში ამავე ძირს **ა** და **ო** გახმოვანებითაც იყენებენ: **ლაგა-ა** ჩლუნგი, უნიათო; ბლაგვი“; **ლაგვალი** უნიათო სიარული, ჩლუნგი კაცის ლაპარაკი, ბოდიალი; **ლოგო** შტერი.

2. სულხან-საბა შენიშნავს ხოლმე, რომ გარჩევა და დაზუსტება სჭირდება ზოგ განმარტებას. მაგ.: **გურიობა** (გვრიობა D) (13, 20 იგავ.) მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა ZA. კიდევ გასინჯე, გარჩევა უნდა არეულობაა თუ მიდევნება.

სულხან-საბასეული **გურიობა** ფორმოზრივ-სემანტიკურად იგივეა რაც მეგრ. **გურიობა/გურობა/გურება** გულისობა, დიდგულობა; გულფიცხოზა; გულობა (ალ. ქობალია, 2010).

განხილული ფორმა არ დასტურდება ქეგლში. ვფიქრობთ, „სიტყვის კონაში“ უშუალოდ მეგრულ-ლაზურიდან მოხვდა.

3. საინტერესო ჩანს ლექსიკონში შესული ერთეული **დაჩინჩე-ბა** სავაჭროზე(დ) შესიტყვა ZABC.

ძირეული ფორმა **ჩინჩ-** მეგრული წარმოშობისაა: **ჩინჩი** – წვრილი; წვრილმანი, ჩია-ჩია (ალ. ქობალია, 2010). მისგან ნაწამოვებია ზმნური ფორმა **ჩინჩოლუა** – крошить; ср. ფუჩხოლუა (ი. ყიფშიძე, 1994); ფშვენა, ფშვენტა, ფშვენა (პ. ჭარაია, 1997).

არნ. ჩიქობავას ეტიმოლოგიის მიხედვით „მეგრ. **ჩიჩ-ოლ** უნდა უკავშირდებოდეს **ქართ. ქურჩ-** (ნა-ქურჩ-ალ-ი) ძირს, ისევე როგორც ჭან. **ქურჩ-ოლ** „სიმინდის დაფშვნა“; **ქურჩ- - ქიჩ-** -> **ჩიჩ-... უ -> ი** მეგრულისთვის ბუნებრივია; **ქ -> ჩ** შეიძლება ასიმილაციის ნიადაგზე წარმომდგარიყოს... რაც შეეხება **რ-ს** (ქურჩ-) უფრო საფიქრებელია ჭანურსა და ქართულში ის განვითარებული იყოს, ვინემ მეგრულს დაჰკარგვოდეს“... (ჩიქობავა, 1938; 2008, გვ. 333).

მ. ჩუხუა კი საანალიზო ერთეულისთვის ფუძე-ენის დონეზე აღადგენს ***ცაც-** არქეტიპს:

ს. ქართვ. ***ცაც** - „მტვრევა, დაშლა, დანამცეცება“ -> ქართ. **‘ცეც-** ნა-მ-ცეც-ი : ზან. **ჩინჩ-|| ჩგ ნჩ-** <- ***ჩოჩ-** : სვან. **ჩჩ- || ჩუნჩ-** <- ***ჩაჩ-** (მ. ჩუხუა, 2003, 331).

4. **კოლომანი** _ მწარე დიდად Z. ნ. მწარე

კოლომანი მეგრულ-ლაზური გახმოვანების ფორმაა. ლექსიკონებში ასეა განმარტებული: **კოლო** – горький – „კოლო-ჭურა“ кубышка (горькая тыква მწარე კვახი); კოლინჯი (< კოლო+ჯინჯი корень) горький корень, кирказонъ (ძირმწარე); კოლომანი весьма горький (ი. ყიფშიძე, 1994); მწარე (მაგ. ქინაქინა), ხოლო პიმპილის

სიმწარეს მეგრულად ჰქვია ნწარე (პ. ჭარაია, 1997). გვხვდება მისგან ნაწარმოები ვაზის ჯიშის სახელები: კოლოში, კოლოშინა, კოლოშონა, კოლოშური (ო. ქაჯაია, 2002).

კოლო სხვა დიალექტებში არ დასტურდება. მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება **კოლო** ფორმით, მისგან ნაწარმოებია ზმნური ფორმა გი-**კოლ**-უ-ან-ს. ქეგლში შესულია **კოლომანი** სულხან-საბასეული განმარტებით.

5. **ნარინ** (+ ქართლის ცხ. Z) მეფის პირი ZAA. ამოსავალია მეგრული **რ-** ძირი, რომლისგანაც ნაწარმოებია **რ-**ე არის, **რ-**ინ-ა ყოფნა, გე-**რ-**ინ-ა (გე-**რ-**ე დგას) დგომა... **ნარინ-**ი ნამყოფს, **გგ -ნარ-ინ-**ი ნადგომს ნიშნავს; აქედან, ვფიქრობთ **ნარინ-**ში იგივე სემანტიკაა შენარჩუნებული, რაც მეგრულში აქვს: მეფის კარზე მდგომი // ნამყოფი. სალიტერატუროში ეს ძირი შემორჩენილია ვ-**ა-რ**, ხ-**ა-რ**, ა-**რ-**ის ფორმებში.

6. **საყუდელო** (4,7 იერემ.) სამყოფი ZA. ნათელია **ყუდე** > **ყუდე**-ე „სახლი“ ძირის მეგრული წარმომავლობა. სალიტ. ქართულში იგივე ძირიდანაა ნაწარმოები **მყუდრო**, **მყუდროება**, **საყუდარი**, **დაყუდება**, **საყდარი** ერთეულები.

7. ლექსიკონში ორჯერ ვხვდებით **ფელიკი** ერთეულს: 1. **ფელიკი** (+36, 9 გამოსლ. ZAB) კარვის ზღუდე ZABCq. ფელიკად ითქმის სიდიდისაგან, რომელი არა იზიდებოდეს, და მოკვეთილად ანუ შეიკრვოდეს, ანუ შეიმზადებოდეს ნაკვეთისაგანი ერთი ანუ ორი (+ და Ca) ათი და ვიდრე მრავალამდე. ზღუდენი კარავთანი, გინა მისთანანი, რაიც რავე იყოს Cab. 2. **ფელიკი** შაშხის ნაკვეთს უწოდენ გლეხნი ZA. შაშხის ნაკვეთს **ფელიკად** უწოდენ გლეხნი B. ღორის ჩამონასხეპი, გინა თევზისა Cb.

ირკვევა, რომ **ფელიკი** განაპობს, ჩამონაჭერს, ჩამონათალს გულისხმობს. ეს ერთეული ფორმოზრივ-სემანტიკურად მეგრულია. დასტურდება ზმნური ფორმა **ფელიკ-**ან-ს ხლეჩს, აპობს, შუაზე ჭრის.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ხოლმეობითის ფორმები ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის მეტყველებაში

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის – ლელთ ღუნიას – საუბარი ენობრივი თვალსაზრისით არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა (ვ. გუგუშვილი, ი. ქავთარაძე, ა. არაბული...). ითქვა, რომ ილიამ „ლელთ ღუნიას აზრს იმისივე ფერი შეუნარჩუნა და სიტყვას იმისივე კილო“ (ი. ქავთარაძე). თუმცა აზუსტებენ, რომ „ლელთ ღუნიას მეტყველება ძირითადად არ ასახავს მოხეური დიალექტის სპეციფიკურ ნიშნებს“ (ა. არაბული), „არ არის მოხეური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა“ (ვ. გუგუშვილი)...

ის ფაქტი, რომ მოთხრობის დამუშავების პერიოდში ი. ჭავჭავაძე დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ და ხშირი კონტაქტი ჰქონდა მთიანეთის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან, არის საფუძველი იმისა, რომ პერსონაჟის მეტყველებაში აისახა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა (მოხეურის, მთიულურ-გუდამაყრულის, ხევსურულის, ფშაურის) თავისებურებანი...

ჩვენ ამჯერად ხოლმეობითის ფორმათა გამოყენების შემთხვევებზე ვისაუბრებთ.

შინაარსობრივად ლელთ ღუნიას საუბარი ისეთია, საჭიროებს მრავალგზისობის გამომხატველ ფორმათა გამოყენებას. ილია ჭავჭავაძეს კარგად აქვს შემჩნეული, რომ ხოლმეობითობის მორფოლოგიური გამოხატვა დამახასიათებელია მთის დიალექტებისათვის; ამიტომაც ამ დიალოგში ხშირად მიმართავს ამ ფორმებს; მრავალგზისობის გამომხატველი ფორმები ფუნქციური თვალსაზრისით დიალოგში ძირითადად სწორად არის მოხმობილი. აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩანს, იმასაც, რომ ილიასდროინდელ კახურ დიალექტში ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება; ამიტომ, ცხადია, ილიასათვის კარგად არის ნაცნობი ამ ფორმის სემანტიკა...

თუმცა ერთი დეტალიცაა: ილია ლელთ ღუნიას საუბარს მოხეურად წარმოგვიდგენს; მაგრამ, როგორც ითქვა, აქ არაა მხოლოდ

მოხეურის ფორმები. დიალოგში გვხვდება ხოლმეობითის როგორც ფშაური ვარიანტი (**შავესწრ-ოდ-ო**), ასევე ხევსურულიც (**ვიხოიშნ-იდ-ნ-ო-თ**); ცნობილია, რომ ფშაური და ხევსურული დიალექტები სხვაობას მხოლოდ I და II სუბიექტურ პირებში ავლენს, მესამე სუბიექტური პირის ფორმები ერთგვარია მთის დიალექტებსა და კახურში (**დაიშალ-ო-ს, მიანიჭ-ო-ს...**) – ძველი ქართულისებური. „მგზავრის წერილებში“ ხშირია III პირის ფორმათა გამოყენება, მაგრამ, ისინი, ცხადია, იმდენადაა მოხეური, რამდენადაც ზოგადად მთის სხვა დიალექტთა დამახასიათებელი.

არის ერთი საინტერესო შემთხვევა: ლელთ ღუნას საუბარში ხშირია ძველი ქართულის ე.წ. აწმყოს ხოლმეობითი: **არ-ნ...** ამგვარი ფორმები არ დასტურდება მთის დიალექტებში ამჟამად; არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იყო XIX საუკუნეში. ვფიქრობთ: ილია ჭავჭავაძე ამჩნევს მთის დიალექტთა არქაულ ხასიათს; იცის, რომ განირჩევა ერთგვისი და მრავალგვისი მოქმედება და საჭიროების შემთხვევაში ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა გამოხატა ამ არქაული ფორმით... ილია ზოგადი აწმყოს სემანტიკის მიმნიჭებლად ამგვარ ფორმებში **-ნ** სუფიქსს მიიჩნევს, ამიტომ ეს **-ნ** სუფიქსი თავს იჩენს I და II პირის ფორმებშიც (**ვარ-ნ, ხარ-ნ, გაქვ-ნ...**). ცხადია, ეს არარეალური ფორმებია, თუმცა საინტერესოა მწერლის მიერ ამ სემანტიკის გააზრების თვალსაზრისით. ზოგჯერ იგივე **-ნ** (გრამატიკულად ზედმეტი ელემენტი) იჩენს თავს II ხოლმეობითის ფორმებშიც: **განიკითხ-ნ-ო-ს, გახშირდ-ნ-ო-ს...** აქაც, როგორც ჩანს, მწერალი მრავალგვისობის სემანტიკას ამ ელემენტთან აკავშირებს...

პერსონაჟის მეტყველებაში არაიშვიათა ე.წ. ილუზიური, ხელოვნური ფორმების გამოყენება (**გამართ-ვ-ო-ნ, იბჭ-ობ-იდ-ნ-ეს, ვაჟ-აბ-დ-ო-ს...**). ილუზიური ფორმების გაჩენის მიზეზი არის ის, რომ მწერალი არ არის ამ დიალექტთა წარმომადგენელი; ფუნქციური თვალსაზრისით საჭიროდ მიიჩნევს ხოლმეობითის ფორმათა გამოყენებას, თუმცა ფორმოზრივად არარეალურ ფორმებს ქმნის; ცხადია, ილია ჭავჭავაძეს ვერ მოვთხოვთ ფორმათა ზუსტ გრამატიკულ ანალიზს... ერთი საინტერესო ფაქტიც: **-იდ/-ოდ** სუფიქსიანი ხოლმეობითი ფშავ-ხევსურულში მხოლოდ I და II პირის ფორმათათვისაა დამახასიათებელი; ილიასთან III პირის ფორმაც არის ამგვარად წარმოდგენილი (**იბჭ-ოდ-ო-ს...**), რაც არარეალურია; მოხდა

„პარადიგმის გასწორება“; მსგავსი შემთხვევა ვაჟა-ფშაველასთანაც დასტურდება („გააფხავ-იდ-ო-ს ხმალია“); ანუ: პარადიგმის I და II პირის რეალურ ფორმათა გავლენით აწარმოა III პირის ფორმა...

ს ა ლ ო მ ე გ უ მ ბ ე რ ი ძ ე

ზოგი საწესჩვეულებო ლექსიკა როზა თავდიდიშვილის ერთი ხელნაწერის მიხედვით

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ხალხურმა სიბრძნემ, ზეპირსიტყვიერებისა თუ ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებმა არაერთი საინტერესო ენობრივი ფორმა თუ ლექსიკური ერთეული შემოგვინახა, რომლებშიც ასახულია მათი მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როზა თავდიდიშვილის ერთი ხელნაწერი „ქუთაისელ ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება“, რომელიც ჩაწერილია ქუთაისში 1925 წელს და დაცულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

მოხსენებაში გავაანალიზებთ აღნიშნულ ხელნაწერში დაფიქსირებულ, სხვადასხვა წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ ლექსიკას (საუჭმელო, პურის ჭამა, სულის ცოდო, პირისსანახავი, კაბის ჭრა...).

ე კ ა და დ ი ა ნ ი

ინა, მიდა/მუდა ნაცვალსახელები (ფილერები) მეგრულში

მეგრულში პაუზის შემავსებლის (ფილერის) ფუნქციით ხშირად გვხვდება ნაცვალსახელი. სენაკურ კილოკავში გავრცელებულია **ინა** „ის“, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანოულში – **მიდა/მუდა** (ინა იშვიათია); **მიდა** ადამიანთან მიმართებით გამოიყენება, ხოლო **მუდა** – სხვა შემთხვევაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ **მიდა/მუდა**

მხოლოდ ფილერის ფუნქციას ასრულებს, პირის ნაცვალსახელის დანიშნულებით ის არ იხმარება (ამ შემთხვევაში **ინა/თინა** გვაქვს). სენაკურში კი **ინა** ორივე ფუნქციით გვევლინება.

მდრ. ქართულ ზეპირმეტყველებასა და დიალექტებში შესაბამის კონტექსტში ძირითადად **ის(ა) / იგი** ნაცვალსახელები იხმარება.

ადრე გამოქვეყნებულ მეგრულ ტექსტებში (ალ. ცაგარელი, 1880; ი. ყიფშიძე, 1914; მ. ხუბუა, 1937) ფილერები ნაკლებად არის ასახული.

ინა, მიდა/მუდა ნაცვალსახელები გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე ზმნასთან კომბინაციაში.

1. დამოუკიდებლად წარმოდგენილი **ინა, მიდა/მუდა** იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით;

როგორც აღვნიშნეთ, ადრინდელ ტექსტებში **მიდა/მუდა** ფილერის ფუნქციით არ ფიქსირდება; **ინა** მ. ხუბუას მეგრულ ტექსტებში ორ შემთხვევაში დასტურდება:

ათე, **ინა** მიორსია, მეზობელიში ოსური (ხუბ., 258) „ეს **ის** მიყვარსო, მეზობლის ქალი“.

ართი ჩე დემი **ინათ** ცუნა, მემარანეთ (ხუბ., 114) „ერთი თეთრი დევი **იმად** ჰყავთ, მემარნედ“.

ამგვარი ფაქტები ბუნებრივია ცოცხალი მეტყველებისათვის. **ინა** ნაცვალსახელი, გარდა სახელობითისა, ორგვარი (სრული და შეკვეცილი) ფორმით გამოიყენება: ინაქ(ი) / იქ(ი), ინას(ი) / ის(ი), ინაშ(ი) / იშ(ი)...

საილუსტრაციო ნიმუშები (წარმოდგენილია წიგნიდან: ე. დადიანი, მეგრული ტექსტები /ხობი, ქვემო ქვალონი/, ქუთაისი, 2015):

ა) ასე სინჯა ოკო მინიონას აშო **იქი**, ზახალქ (273) „ახლა სიმეუნდა შემოიყვანოს აქეთ იმან, მმახალმა“;

იში, მუჯოხო, სკაში შხამი სამკურნალო რე (139) „იმისი, რა ქვია, ფუტკრის შხამი სამკურნალო არის“;

ყუალს შეთმომნახენდით **ითი**, დერგით (379) „ყველს ვინახავდით იმით, დერგით“;

ბ) **ინა** ნაცვალსახელი მრავლობითში **ინეფი** ფორმით იხმარება:

ათეზმა ჭიჭე **ინეფ** ცუნს, სკუალეფი (144) „ამხელა პატარა ისინი ჰყავს, შვილები“;

ირდინასია **ინეფ** გაკეთესია, ბუტკებია (602) „ყველგან ისინი გააკეთესო, ჯიხურებიო“.

ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს **მიდა/მუდა** ნაცვალსახელი:

მიდა მეურსჲ, მეზობელი „ის მიდის, მეზობელი“;

მუდას უჯინექ, მანქანას „იმას ვუყურე, მანქანას“;

მეზობელ ჯგირ **მუდეფს** აკეთენს, ეუდეემსჲ „მეზობელი კარგ იმათ აკეთებს, სახლებს“.

2. **ინა, მუდა** ნაცვალსახელს ხშირად ახლავს ზმნა. მაგ.: **ინას/ის-ორთუ** „იმას-შვრება“, **ინას/ის-ლოლანს** „იმას-იზამს“, **ინა-ლოლუ** „ის(ა)-ქნა“... **მუდას-ორთე, მუდას-ლოლანს, მუდა-ლოლუ**... მსგავსი ფაქტები ცნობილია ქართულ ზეპირ მეტყველებასა და კილოებში. აღნიშნული კომბინაცია ერთიან ყალიბს წარმოადგენს, რაზეც მიუთითებს ზმნური ელემენტების (ზმნისწინები, **ვა/ქო** ნაწილაკები) დართვა.

ზმნასთან კომბინაციაში **ინა, მუდა** ნაცვალსახელი სახელობითსა და მიცემითში დგას, ზმნა კი ჩვეულებრივ იცვლება პირის/რიცხვისა და მწკრივის მიხედვით.

I სერია:

თანდათანობით **ისორთუქ**, შეულოცენქ (460) „თანდათანობით იმასშვრები, შეულოცავ“;

კათეს **ინას ღოლანქ**, ქოდარინუა წყარსი (436) „ამას იმას იზამ, დააყენებ წყალს“;

დოპრიალენდ, **დაინასლოლანდ**, მამორენდ თი მუნტურეფს (148) „დააპრიალებდი, და იმასიზამდი, მოამორებდი იმ მატლებს“;

წანას ადრე **მუდასლოლანს**, დოთასენს „გაისად ადრე იმასიზამს, დათესავს“.

II სერია:

განწყუ, მართალო **გაინალოლუ** (552) „გააწყუ, მართლა გაიმასქნა“;

ჭიჭე ქოჩე ოკო, თიშენ ნამდა მალას ქიდიჭყას თასუა დო **ინა-ლოლას**, მუჯოხო (134) „ცოტა აჭამო უნდა, იმიტომ რომ მალე დაიწყოს თესვა და ისქნას, რა ქვია“.

3. მეგრულში **ინა, მიდა/მუდა** ნაცვალსახელებს უშუალოდ დაერთვის ზმნური აფიქსები (ზმნისწინი, ხმოვანპრეფიქსები, პირის/რიცხვის, მწკრივის ნიშნები...).

I სერია:

ათეს არმას **ინანქ**, ქიგიობუნქ (410) „ამას ყველას იმასიზამ, დაასხამ“;

თეს **დონა**, დოფხაშუ (383) „ამას და იმასვიზამ, მოხზარშავ“;
ასე **მუდანს**, ჭვენსე „ახალ იმასშვრება, წვიმს“.

II სერია:

ათე კისერ **გექთუინუ**, გექთუხიტორუ (566) „ეს კისერი გამოი-
მასქნა, გამოლადრა“;

ოკო **ინუას**, გიწუნონას ოკო ბალანა (539) „უნდა ისქნას, გამოარ-
თვას უნდა ბავშვი“;

იქ საქმეფე მალას **დომუდუ**, გამკისურ „იმან საქმეები იმასქნა,
მოისტუმრა“.

III სერია:

დღას **ვამიინა** მა, მაგადო, ვამლანდუ (157) „არასდროს არ
იმასმიქნია მე, მაგალითად, არ დამილანდავს“;

IV სერია:

თინა მუთუნს **ვანოინებუე**, ვანომუშებუე „ის არაფერს არ
იმასშვრებოდა, არ ნამუშევარა“.

ამგვარი წარმოება სპეციფიკური ჩანს მეგრული მეტყველები-
სათვის.

ზოგადად, მეგრული **ინა**, **მიდა/მუდა** „ის“ ნაცვალსახელი –
ფილერის გამოყენების მხრივ საერთოქართულ კანონზომიერებებს
გვიჩვენებს; არსებული განსხვავება დიალექტის იმანენტური განვი-
თარების შედეგს წარმოადგენს.

ნ ი ნ ო ზ ე დ გ ი ნ ი მ ე

საკულტო ადგილთა სახელებთან დაკავშირებული ტერმინები ქართულსა და გერმანულში

საკულტო სახელთა შესწავლა საქართველოში შედარებით
გვიან იწყება, თუმცა ამ მიმართულებით არაერთი კვლევაა ჩატარე-
ბული. ონომასტიკაში საკულტო ადგილთა სახელებს თავისი ტერ-
მინები აქვს. ეს ტერმინებია:

▪ ინდივიდუალური საკულტო ნაგებობათა საკუთარ სახე-
ლებს მიეკუთვნება ტერმინი **ეკლესიონიმი – *Ekklesionyme*** (ბერძ.
ekklesia 'Versammlungsstätte, Kirche' შეკრების ადგილი, ეკლესია +
-onym სახელი).

▪ **ოიკოდომონიმი – Oikodomonyme** (ბერძ. oikodome 'Gebäude' შენობა/ნაგებობა + -onym სახელი), რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს ნებისმიერი შენობის სახელს, ეს არის მხოლოდ ყველაზე ცნობილი, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე საინტერესო შენობების სახელები. მაგ: წმინდა სტეფანეს ტაძარი, სანსუსის სასახლე, ჩელინ-ჰოფის სასახლე და სხვ. ე. ი გამორჩეული ნაგებობანი, რომელთა შორის შეიძლება აღმოჩნდეს საკულტო ნაგებობაც.

▪ **ნეკრონიმი – Nekronymie** (ბერძ. nekros 'Toter' მკვდარი, გარდაცვლილი + -onym), რომელიც საფლავების სახელების აღმნიშვნელია (კამიანეტსი). საფლავი თავისთავად წმინდა ადგილია გერმანიაში.

▪ **მითონიმი – Mythonymie** (ბერძ. mythos 'Mythos მითოსი, Märchen ზღაპარი' + -onym სახელი), საკუთარი სახელი მოგონილი, არარეალური, სულიერი თუ უსულო ობიექტისა. მათ შორისაა **მითოანთროპონიმი, მითოზოონიმი, მითოტოპონიმი, მითოფიტონიმი, მითოპერსონიმი, თეონიმი – Theonymie** (ბერძ. theos 'Gott ღმერთი' + -onym სახელი), მითონიმის სახეობა, ღვთაების საკუთარი სახელი, მაგ: ზევსი, პოსეიდონი და სხვა (ცხადია, კამიანეტსი).

საკითხის კვლევისას ირკვევა, რომ ტერმინები **ნეკრონიმი** და **ოიკოდომონიმი** ქართულ ონომასტიკაში არ დასტურდება განსხვავებით გერმანულისაგან და ინგლისურისაგან.

საკულტო ადგილთა სახელების კვლევა გვიჩვენებს, რომ ქართულში და გერმანულში სახელების პრინციპი მსგავსია, მითოანთროპონიმებში, მითოპერსონიმებში, მითოტოპონიმებსა და მითოფიტონიმებში.

ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალის გამოცემისათვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტოპონიმის შესწავლის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. 2003 წელს პაატა ცხადაიასა და ვილენა ჯოჯუას ავტორობით გამოიცა „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (318 გვ.). როგორც

წინასიტყვაობაშია აღნიშნული, სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერა განხორციელდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. სავლელ ექსპედიციების გზით მოპოვებულია 11000-ზე მეტი ტოპონიმი. ენობრივი და ონიმური ასპექტებით კვლევისას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ობიექტთა სახელებს, ანუ მიკროტოპონიმებს. სალექსიკონო მასალისთვის შერჩეული ტოპონიმები საინტერესო ჩვენებებს შეიცავს ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, სიტყვაწარმოებისა და მოტივაციის თვალსაზრისით.

ცალკეული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია შ. ინალ-იფას, ხ. ბლაჟბას, ზ. ანჩაბადის, ზ. შარვაშიძის, პ. ცხადაიას, გ. გასვიანის, ვ. ზუხბაიას, თ. მიბჩუანის, თ. გვანცელაძის, ვ. კვარჭიას, ი. კეკელიას, ნ. შონიას და სხვათა მოსაზრებანი და დასკვნები, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერები.

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული „აფხაზეთის ტოპონიმის მასალები“ (იბეჭდება) მრავალწლიანი ძიების შედეგია. მასში შესული მიკროტოპონიმების უმეტესი ნაწილი 1998-2008 წლებში ჩაწერილი გვაქვს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან, რომლებიც ამჟამად სამეგრელოში ცხოვრობენ. სალექსიკონო მასალაში თავმოყრილია 5000-მდე ტოპონიმი – დასახლებული უბნების, სახნავ-საბალახოების, ტყე-ბუჩქნარების, მდინარეებისა და მათი შენაკადების, გზების, ნასახლარებისა და სხვ. მისთ. სახელწოდებანი.

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის (გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, სოხუმის რაიონები, ოჩამჩირის რაიონის ნაწილი) ტოპონიმთა ლექსიკონის აგებულება ასეთია: დასახლებულია სამისამართო ერთეული (სოფელი, ტერიტორიული ერთეული, სატყეო უბანი); მეთაურ სიტყვას – გეოგრაფიულ სახელწოდებას, ტირეს შემდეგ მოსდევს ერთი ან რამდენიმესაფეხურიანი ლოკალიზაცია (ე. წ. მიბმა), ტოპონიმით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის (დენოტატის) ადგილმდებარეობის დადგენა (სადაც ეს შესაძლებელი იყო). თუკი ტოპონიმი მოტივირებულია (ანუ გამჭვირვალე სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით ნომინაციის მოტივის დადგენა შესაძლებელია), ასეთ შემთხვევაში მას ახლავს ენობრივი კომენტარები ქართულ ენაზე თარგმანის სახით, და შენიშვნა: აფხაზურია იგი თუ მეგრული. სალექსიკონო მასალაში წარმოვადგენთ ამოსავალი ფუძის განმარტებას აფხაზურ ლექსიკონებზე (ბ. ჯანაშია, თ. გვანცელაძე), აგრეთვე პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნებზე და-

ყრდნობით, ან ინფორმატორისეული სიტყვებით. ონიმის მოტივაცია გვეხმარება, პასუხი გავცეთ კითხვას – თუ რატომ ეწოდა ამა თუ იმ ობიექტს ესა თუ ის სახელი? ასე, მაგალითად: **ჩიგურნისა** [Чыгурна-ныса ჩეგრნა-ნება] – საბალახო, სალოცავი, დეღე ჩიგურასთან; **ამეიხუა** [Амжыкәхәа ამჟებ^ა] „თუთის მადლობი“ (აფხ.) – მადლობი; **ჟევაკვარა // ჟოეკვარა // ჟოუ იკუარა** [Жәкәкәара ჟჯკ^არა] „ჟოუს დეღე“ (აფხ.) – მდინარე და მდინარისპირა ადგილები. სათავეს იღებს არაბიკის მასივზე, ზ. დ. 2690 მ-ზე და ქალაქ გაგრასთან შერთვის შავ ზღვას; **ყუშვირ** [Кәшәыр ყშ^რ] – დეღე; **ზგააბორთა** [Бгаарборта ზგაარბორთა] – მინდორი; **ანუეფიშ დიხა//ნახვარცამე** (მეგრ.) – სახნავი ღალიძგის მარცხენა ნაპირას, რკინიგზის ხაზთან. რესპ.: „ხვარცამ ხალხი ოხორანდუა“; **როსტომ ნასხაპა** „სადაც როსტომ(ი) გადახტა“ (მეგრ.) – კლდე ღალიძგის მარცხენა ნაპირზე. რესპ.: „აბრაგი როსტომ შერვაშიძე გადახტა აქ“; **ზზანა** [Бзана ბზანა] – დეღე; **ლაზ იკუარა** „ლაზის დეღე“ (აფხ.) [Лаз икәара ლაზ იკ^არა] – დეღე; **ცხუმ** [Цхом//Цхум ცხომ // ცხუმ] – მინდორი ტამიშში; **ხარჩილავა** [Харчлаа ხარჩლაა] – ქალაქ ტყვარჩელის ნაწილი. ხარჩილავა გვარია. აქ ცხოვრობენ აფხაზი ხარჩილავეები; **არაგიდრა კუარა // არაგიდგვარა** [Арагыдра кәара არაგდრა კ^არა] – დეღე; ღალიძგის მარცხენა შენაკადი სოიკვარასა და მაჰმეიხუჰს შუა, ტყვარჩელის სატყეო უბანში; **აპაპ იპაბლა** „მღვდლის დასახლება“ (აფხ.) [Апап иҭабла აპაპ იპაბლა] – დასახლებული უბანი სოფ. ურთაში...

საერთოდ, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ტოპონიმს, როგორც ერთი გარკვეული, კონკრეტული ობიექტის საკუთარ სახელს, თან უნდა ახლდეს მაქსიმალური, ანუ დიაქრონიული და ფუნქციონალური ხასიათის ინფორმაცია. დიაქრონიული ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში სპეციალურ ლინგვისტურ და ისტორიულ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ფუნქციონალურ ინფორმაციაში იგულისხმება გეოგრაფიული სახელწოდების კავშირი ობიექტთან, ობიექტის დამახასიათებელი მონაცემები და სხვა დამატებითი ცნობები მასზე (პ. ცხადაია). საველე მუშაობისას ჩაწერილი მიკროტოპონიმების მართლწერისას შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებდით ინფორმატორთა მეტყველების, სახელწოდებათა მორფოლოგიური გადმოცემის ნიუანსებს და წარმოთქმის თავისებურებებს, აფხაზურ-მეგრულ ფონემათა ქართულ ტრადიციულ ტრანსკრიფციას.

სოფიო კეკუა

ტოპონიმთა ცვლილებისათვის გალის რაიონში /სოფელ ღუმურიში მისხედვით/

სოფელი ღუმურიში მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის რაიონში. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო ღუმურიშად. სოფლის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს ზემო ღუმურიშში. ქვემო ღუმურიშში შედის სოფელი ფართო-დალი. სოფელი გალიდან დაშორებულია 10 კმ-ით.

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში აფხაზეთში მოხდა არამხოლოდ ეთნიკურ-დემოგრაფიული ცვლილება, არამედ შეიცვალა მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაც. მაგალითად, 1991 წლის მდგომარეობით აფხაზეთში იყო ექვსი რაიონი: **გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის**; რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გალისა და ოჩამჩირის რაიონების მომიჯნავე ნაწილთა გაერთიანებით შეიქმნა მეშვიდე – **ტყვარჩელის** – რაიონი. ტყვარჩელის რაიონში შედის გალის შემდეგი სოფლები: **ღუმურიში, პირველი გალი, ოქუმი, რეჩხი, ცხირი, წარჩე I და II, ჩხორთოლი, მუხური, კოხორა**; ამ სოფლების ნაწილს სახელებიც შეუცვალეს, მაგ., სოფელი **ღუმურიში** დღეს იწოდება აფხაზურ ენაზე გადააზრიანებული **გუმრიშ** ვარიანტით. ზოგ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ამ სოფლის აღსანიშნავად იყენებენ **გუმარქეთ** ფორმასაც, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში წერენ **Гумрыш** ვარიანტს.

მ ა ნ ა ნ ა კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე

თამარ ბეროზაშვილის ნათელ ხსოვნას

დიდი გულისტკივილი ახლავს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ქართველ ლექსიკოგრაფთა შემადგენლობას გამოაკლდა თავისი საამაყო წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თამარ ბეროზაშვილი. მით უფრო მწვავეა ეს შეგრძნება, როცა ამ ადამიანთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდი გაკავშირებს.

ქალბატონი თამარი ფეხდაფეხ მოჰყვა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერების ერთ-ერთ კორიფეს აკად. არნოლდ ჩიქობავას მიერ დიდი ეროვნული საქმის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის სამზადისს და ამ ურთულეს პერიოდში ქ-ნი თამარი აქტიურად იყო ჩართული მის დაფუძნებაში. ეს იყო გასული საუკუნის 50-იანი წლები და დღემდე, ახალგაზრდული ენერგიით ემსახურებოდა ამ ჩვენი ეროვნული საუნჯის ახალი, შევსებული გამოცემის გამობრწყინებას. ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი: მთელი სიცოცხლე შესწირაო. ქ-ნ თამარის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის დაწვრილებითი განხილვა ჩემს მიზანს არ წარმოადგენს. ამას ჩემზე უკეთ სხვები იტყვიან, მაგრამ გაკვრით შეიძლება ითქვას მთავარი, რომ მას ჰქონდა უნიკალური ცოდნა არამარტო სალიტერატურო ენისა, მას ასევე ხელეწიფებოდა დიალექტური და ძველი ქართული ლექსიკაც. დახვეწილი პროფესიონალიზმი სხივს ჰვენდა მის ნამუშევარს.

ძალიან საინტერესო ხასიათი ჰქონდა: ბევრი რამით გვაცვიფრებდა, მათ შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ ეს ხანდაზმული ქალბატონი ახალგაზრდულად მარჯვედ და მხნედ დადიოდა სამსახურში. ფეხით გაივლიდა ჩვენს შენობამდე არსებულ, რთულად გასავლელ "ტრასას" (აღმართზე განლაგებულ კიბეებს) და გალიმებული და გახარებული შემოვიდოდა შენობაში, ყველას ოთახ-ოთახ მოიკითხავდა და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდოდა თავის სამუშაო ოთახში, სადაც შვიდი თანამშრომელი ქალი, მათ შორის მეც, სიხარულით ველოდით მის მოსვლას. შემოვიდოდა ხალისიანი, არ ეტყობოდა დაღლის არავითარი ნიშან-წყალი, მოგვიყვებოდა ბევრ რამეს სახალისოს და მხოლოდ ასეთი შემობრძანების შემდეგ მიუჯდებოდა თავის სამუშაო მაგიდას.

კეთილი ბუნების, ადამიანებთან ურთიერთობაში გულგახსნილი ქ-ნი თამარი ყველას მეგობარი იყო და ყველას ახარებდა მასთან ახლოს ყოფნა და გულთბილი დამოკიდებულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თამარის პედაგოგიური მოღვაწეობა. ყველა მოსწავლე, რომელმაც ქართული გრამატიკა ისწავლა მისი ხელმძღვანელობით, მთელი ცხოვრების მანძილზე გამოირჩევა სწორი უბადლო ქართული მეტყველებით.

სხვათა შორის ცალკე უნდა ითქვას ამ ხანდაზმული ადამიანის უნიკალური მეხსიერების შესახებ. ცოცხლად და დეტალურად ახსოვდა თავისი განვლილი ცხოვრების გზა და დიდი ხალისით

იცოდა წარსული ამბების მოყოლა. ნებისმიერი აუდიტორია სიამოვნებით ისმენდა მის მოგონებებს, რომლებსაც ყოველთვის ტაშით აჯილდოებდა.

საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვა თამარზე, როგორც მეოჯახეზე. ჰყავდა ვაჟკაცი მეუღლე, რომელსაც ედგა მხარში და მასთან ერთად ეწეოდა ოჯახურ ჭაპანს. მათ არ ეტყობოდათ, რომ დიასახლისი საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული. ბავშვები (სამი შვილი) იზრდებოდა ისე, თითქოს დედა მუდმივად გვერდით იმყოფებოდა. ღირსეული შვილები და შვილიშვილები დაზარდეს, საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც გულმოდგინედ ემსახურებიან ჩვენს ხალხსა და სამშობლოს.

ვერ ვითმენ, რომ არ აღვნიშნო ქ-ნ თამარის კიდევ ერთი ღირსება, ძალიან უყვარდა სტუმრები და დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მათი მასპინძლობა. თამარი და მისი ქალიშვილები ნანი, ქეთინო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვაჟი არჩილი შესანიშნავი კულინარები არიან. მათ უყვართ წვეულებების მოწყობა და მრავალნაირი საჭმელებით სუფრის გავსება. ერთ-ერთი მასპინძლობა თამარმა თავის სოფელ ბიწმენდში გამართა. ყველას გვიხაროდა, რომ მხარს გვიმშვენებდა ბ-ნი ვანო გიგინეიშვილი. სუფრა სავსე იყო ათასი გემრიელი რამით, მაგრამ ბატონ ვანოს ყველაზე უფრო თამარის ნახელავი ხინკალი მოეწონა. „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ასეთი გემრიელი ხინკალი ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია“-ო, – ხაზგასმით ბრძანა მაშინ ბატონმა ვანომ.

ქალბატონ თამარს მიმდინარე, 2019 წლის აპრილში დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. ჩვენი ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომელთა მთელი კოლექტივი მოწადინებული იყო თავისი ღირსეული წევრისთვის საზეიმო იუბილე გადაეხადა, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. თამარი უეცრად გარდაიცვალა. ამ ელდის გამო იუბილე არ გადაგვიფიქრებია, ჩვენ მას აუცილებლად გადავუხდით საყვარელ კოლეგას, დასანანი ის, რომ მას არ ექნება საზეიმო ელფერი და არ ეყოლება ცოცხალი ადრესატი. გარდაცვალებულზე კი როგორც წესია, უნდა ითქვას: ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ლ ა მ ზ ი რ ა კ ო ბ ა ი ძ ე

კაუზატივი მესხურ დიალექტში

კაუზატივი ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო კატეგორიაა ზმნისა, რომელიც მნიშვნელოვან საკითხებს სვამს არამართო გვართან, არამედ გარდამავლობასთან მიმართებაშიც. კაუზატივის მაწარმოებლებად ქართველურ ენებში საერთო მორფოლოგიური ინვენტარია გამოყენებული.

შუალობითი კონტაქტის წარმოებაში დიალექტების თვალსაზრისით, მთელი რიგი თავისებურებები იჩენს თავს. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს მესხური დიალექტი.

წარმოგიდგენთ რამდენიმე ნიმუშს დიალექტური მასალიდან

1. იძულებული გახდა, **და-ა-ყრ-ევინ-ა** ოცდახუთ უღელა ხა-რიო, იქიდან აჭარლები ისე გიერეკა და ჩამოიყვანა სოფელ დიეხმარა პაპაჩემი

დასახელებულ წინადადებაში კაუზატიური ფორმა **და-ა-ყრ-ევინ-ა**, რომელიც რთული /-ევინ/ მაწარმოებლითაა წარმოდგენილი. გ. ნებიერიძისათვის მსგავსი ტიპის ფორმებში კაუზატიური /-ევინ/ სუფიქსი არის არა კაუზატივის მაწარმოებელი, არამედ ირიბი ობიექტის აქტუალიზატორი, რადგანაც ამ სუფიქსის გარეშე ირიბი ობიექტი ვერ მოგვევლინებოდა ჩართული სუბიექტის როლში

2. მეზობლათ თათრები ქვყავდა, იმათ ვინ **შიატყოზინემდა**, რო ეგებდა იმიზეიდან... შენ ეზოშიგან ვერ ახვიდოდი

ფორმა **შიატყოზინემდა -ინ** მაწარმოებლითაა წარმოდგენილი

3. მე თვითონ შევესწარი, რო ტერ სეროპი, ცხონებული, ღმერთმა აცხონოს, სომხურათ სწირემდა, მერე ეს ღუდელი რო **აგვევინემდა, აწმენდინემდა**, მაგას ასეთი თავკარა სულ სომხური სახარეები გამოიტანა და გვითხრა, რო ეს გინდათ, რო სომხები იყვეთო?!

შიატყოზინებდა → შიატყოზინემდა → შიატყოზინენდა

ამრიგად, კაუზატივის ფორმათა საწარმოებლად მესხურში გამოყენებულია: **-ინ**; **-ევ-ინ**; მსგავსად ქართულისა როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „მაწარმოებლები ფონეტიკურად იცვლება: **-იენ**, თუ ზმნის ფუძე **ნ** სონანტზე ბოლოვდება, მაშინ კაუზატივის **-ინ** სუფიქსის დართვისას ფუძისეული **ნ → გ**: მო-ა-ტან-ინ-ა → მო-ატავინა, ა-რბ-ენ-ინ-ა → არბ-ევ-ინ-ა“.

მარიამ კოხერიძე

ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართულში

როგორც ცნობილია, ქართლური დიალექტის ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებამ განაპირობა მასში რეგიონალურ ნაირსახეობათა გამოყოფა კილოკაური ერთეულების სახით. მათ შორისაა ცენტრალური ანუ შიდა ქართლური მეტყველება, სადაც ხეობებისა და სოფლების მიხედვით დასტურდება მსგავსი და განსხვავებული ფორმები.

ა ხმოვნის გაგრძელებით წარმოთქმას ცენტრალურ ქართლურში, გორის რაიონის სოფელ ატენისა და კასპის რაიონის სოფლების მეტყველებაში, პირველად ყურადღება მიაქცია ალექსანდრე ღლონტმა. მისი დაკვირვებით, გრძელი ა მკაფიოდ ისმის ერთმარცვლიან ზმნებში (განსაკუთრებით მეშველ ზმნებში : ვწრ, ხწრ...), შედარებით უფრო მკვეთრად ისმის მაშინ, როცა ზმნას ერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო ან თქო.

ხმოვნის გაგრძელების ანალოგიური შემთხვევები სხვა ხმოვნებთანაც შენიშნული იქნა ვენერა სომხიშვილის მიერ ცხინვალისა და გორის რაიონების სოფლებში. მან გაარკვია, რომ ერთმარცვლიან სიტყვებში (ზმნებში), როცა წინადადება თხრობითია (ზოგჯერ სხვა სახისაც) დასტურდება ხუთივე ხმოვნის გაგრძელების შემთხვევები (ვწრ, მყწვს, წწვს, თქწვს, წწხს, დწდს, თრვს).

დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს მოგვეცა საშუალება დაკვირვებოდით გორისა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების მეტყველებას (ასევე დავაკვირდით ფრონეს ხეობის მეტყველებასაც). ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით. ცენტრალურ ქართლურში დასტურდება ხმოვნის გაგრძელების შემდეგი შემთხვევები:

1. ერთ ან მეტმარცვლიან სიტყვებში (როგორც ზმნებში, ისე სახელებში) თხრობით წინადადებაში გრძელდება ხმოვანი. მაგ.: ა: „რავა არ არის, სუყველას **წქვს**“ (აღაიანი); „ძირითადად მესაქონლეობა **გყწვ, გწქ** ბოსტანი, სიმინდი, ლობიო, ვაზი“ (მეტეხი); „არა, აი, მეტ-ნაკლებათ რა **წქვთ** ბუდეშური, **წქვთ** კიდე...“ (ოკამი); „ძალიან კარგი, რომ მთელი ქართლი და დასახლებები სუ **ჩწწს**“ (აღაიანი); „მოვიგონო, ნაალიზებესა, მაჭავარიანთ ბაღებსა. კიდე რა გნებავთ

აბა? რავი ქვაბები **პქვთ**, ვითხოვთ ხოლმე და“ (მერეთი); „გასათხოვრები არიან, შენცა საქორწილო **ხნრ**“ (მერეთი); „,არა, **მან** შინაურები არიან“ (დოესი); „,აი, ეს ბინაც იმისია, ისეთი კაი **გოგონ**. მარა რაკი სახში **დარჩა**, **დარჩა** და **დარჩა** (თან ნაცარქათამას აკეთებს)“ (თვალადი).

ბ: „წვიმა ისე **ცრბს**, რო თოვლი მოჰყვება“(დირბი). „ქარი მწართა **ქრბს**“ (ბრეთი).

ქ: „არიან კიდე ზოგიერთები, ზუსტად არ ვიცი, რამდენია აქა **დასიძებული** მარა...“ (მეტეხი); „,არა, არსენას გამოქვაბული არის, აგერ იქით არის, **ვწრწვის** ტყე ჰქვია და იქ არის არსენას გამოქვაბული, სადაც ჩვენ შატალოზეც დავდიოდით“ (ალაიანი).

რ: „ჩვენთან მინდვრის ლობიოა ძირითადათ, **ხრდა** ვენახის ლობიოა, რომელსაც აი ბაღებში რო ვთესამთ და მინდვრის ლობიოს ვთესამთ იმ მინდორში, იქით მინდვრები როა“ (მეტეხი); „გვარი გადაგვიკეთეს, **ხრდა** ეხლა ერთი სამოცი კომლი **ვწრთ** აქ შამანაურები» (ოკამი); „წვირილშვილები **იყრ**“ (ქვემო ჭალა); „ტირილი **დაიწყრ**, **ბატონრ** ნუ გამიწყრებო“ (ქვემო ჭალა).

შ: „როგორც **ქუსხო**, ისე არ **წვიმხო**“ (ტახტისძირი); „ეგ ის **ძბლს**“ (დვანი).

2. ხმოვანი გრძელდება ერთ და ორმარცვლიან სიტყვაში იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნას ერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-ო**. მაგ.: „თქვენ რომ არ იცით ფასი ამ ყველაფრისაო, რა ხალხი **ხართრ**“ (ოკამი). ზოგჯერ თვითონ სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიც გრძელდება. „გექნებათ, მე მგონი **მღეროდნენრ** კაო, კაო, კა და დეერქვა ოკამი“ (ოკამი).

ჩვენი დაკვირვებით, ხმოვანი გრძელდება ემოციურ ფორმებში გაბმული მეტყველების დროს. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ადრინდელ ჩაწერილ ტექსტებთან (ალექსანდრე ლლონტი, ვენერა სომხიშვილი) შედარებით შევნიშნეთ, რომ ხმოვნის გაგრძელება ხდება როგორც ზმნებში, ისე სხვა მეტყველების ნაწილებში. არ შეგვხვედრია ისეთი შემთხვევები, როცა ხმოვანი გრძელდება –მეთქი და -თქო ნაწილაკის დართვისას. შესაძლებელია, სხვა სოფლების მეტყველებაში შეგვხვდეს განსხვავებული ფორმები და ხმოვნის გაგრძელების საფუძველსაც სხვა ენობრივი მოვლენა წარმოადგენდეს.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჯ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ქართველურ ენა-კილოთა ინგლისურენოვანი სახელდების პრინციპები

ქართველურ ენა-კილოთა ინგლისურენოვანი სახელწოდებანი არაერთგვაროვანია: ზოგ შემთხვევაში საზიაროა სუბეთნოსისა და დიალექტის სახელი (მაგალითად, Laz, Svan, Tush), ზოგჯერ აფიქსურ წარმოებას ექვემდებარება (მაგალითად, Meskhian, Khevsurian, Mingrelian...), ზოგჯერ სულაც პირდაპირ გამოიყენება ამა თუ იმ კუთხის მცხოვრების თვითსახელწოდება და მას დაერთვის **-ian** ბოლოსართი (მაგალითად, mokhevian); არსებობს შემთხვევები, როდესაც ეთნოგრაფიული კუთხის ქართული სახელწოდება გამოიყენება საწარმოებელ ფუძედ და მას ერთვის **-ian** დერივატი (მაგალითად, Imeretian, Kakhetian, Ajarian, Mtiuletian...)

ვითარება უფრო ბუნდოვანია კილოკავთა და თქმა-ქცევათა შემთხვევაში, რომელთა სახელდებაც of წინდებულის მეშვეობით ხდება ან უშუალოდ ქართული სახელწოდება გამოიყენება მსაზღვრელად: Subdialect of Lakhamuluri, Choluruli Sub-dialect...).

ქართულ ლინგვონიმთა ინგლისური შესატყვისების საჭიროება საკმაოდ მზარდია მეცნიერებაში. საკითხის შესწავლამ ცხადყო სადღეისოდ არსებული ვითარების ნაკლოვანი და ღირებული მხარეები, რომელთა გააზრებამაც მიზიმა ჩემეული კონცეფციის შესამუშავებლად.

მიდგომა განსხვავებულია ენათა, დიალექტთა, კილოკავთა და თქმა-ქცევებისათვის.

ა) არსებული სახელწოდებებით ენათა დასახელების მაღალმა სიზშირემ ჯეროვნად შეუწყო ხელი სოციალურ სანქცირებას. არსებული ლინგვონიმები მეცნიერების სხავდასხვა დარგში გამოიყენება ქართველური ენების აღმნიშვნელად Georgian (ქართული), Svan (სვანური), Zan // Colchis (ზანური // კოლხური), უხვად გვაქვს მათი სამეცნიერო მიმოქცევაში დამოწმების შემთხვევები, ამდენად, გასათვალისწინებელია მათი დამკვიდრების (resp. სანქცირების) ფაქტორი.

ბ) დიალექტების სახელდება, ვფიქრობ, ერთგვაროვანი იყოს და შემდეგ პრინციპს ეფუძნებოდეს: საწარმოებელ ფუძედ გამოიყენებოდეს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის ქართულ-

ლი ფუძე და მას დაერთოს /-ic/ ბოლოსართი: Kartlic (ქართლური), Kakhetic (კახური), Tushetic (თუშური)...

გ) იმ დიალექტთა შემთხვევაში, რომელთა ქართული საწარმოებელი ფუძეც ბოლოხმოვანიანია, დაერთავდეს მხოლოდ -c ფორმანტს: Rachac (რაჭ[ა]ული), Guriac (გურული), Acharac (აჭარული)...

დ) განსხვავდებოდეს გეოგრაფიული სივრცისა და გეოგრაფიული სახელის განმსხაზღვრელი ტერმინები: ზემო, ზედა, ქვემო, ქვედა... გეოგრაფიული სახელის შემთხვევაში, როცა ხეობისა ან კუთხის სახელწოდება შეიცავს ზემო კომპონენტს, უთარგმნელი დარჩეს და დეფისით იწერებოდეს: Zemo-imeretic (ზემოიმერული), Shida-kartlic (შიდაქართლური)..., ხოლო სამეტყველო თავისებურების სივრცობრივი საზღვრის აღმნიშვნელი ტერმინები ინგლისური upper (ზემო), lower (ქვემო), central (შიდა)... შესატყვისებით შეიცვალოს და დეფისით იწერებოდეს: Upper-Svan (ზემოსვანური), Lower-Svan (ქვემოსვანური), Upper-Rachac (მთის რაჭული), Central-Guriac (შუაგურული)...

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც დიალექტისა და ეთნოგრაფიული ისტორიული მხარის საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს და სახელები ქართულ ტერმინოლოგიაშიც კი განსხვავებულია, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ამ უკანასკნელის გამოცდილება და საწარმოებლად გამოიყენებოდეს მხოლოდ ენობრივი სპეციფიკის თავმოყრელი გეოგრაფიული პუნქტის – ისტორიულ-კულტურული ცენტრის, ადმინისტრაციული დაბა-ქალაქისა თუ თემის) ქართული ფუძე და მას დაერთოს -ic // -c სუფიქსი: Lentekhic (ლენტეხური), Choluric (ჩოლურული), Zemo-Balic (ბალსზემოური)...

ვ) კილოკავის შემთხვევაშიც მსგავსი პრინციპი გამოიყენებოდეს: ქართულ ფუძეს დართვოდეს -ic/-c მაწარმოებელი ნიშანი დიალექტობრივი კუთვნილების აუცილებელი მითითებით – Ksanic subdialect of Central-Kartlic dialect (შიდაქართლურის ქსნური კილოკავი), Machakhelac subdialect of Acharac dialect (აჭარულის მაჭახლური კილოკავი), Senakic subdialect of Megrelian dialect (მეგრულის სენაკური კილოკავი), Hopac subdialect of Laz dialect (ლაზურის ხოფური კილოკავი), Lakhamulac subdialect of Kvemo-Balic dialect (ბალსქვემოურის ლახამულური კილოკავი)...

ზ) თქმის შემთხვევაში მართებულად მიმაჩნია კუთვნილებითი **of** წინდებულთ შეუკავშირდეს კილოკავს სათანადო ლინგვოგეოგრაფიული სივრცე (სოფელი, თემი, ხეობა...). მაგალთად, Bulepi

speech of Atinac subdialect (ათინური კილოკავის ბულეფური თქმა), Martvili speech of Senakic subdialect (სენაკური კილოკავის მარტივლური თქმა), Hashmi speech of outer-Kakhetic subdialect (გარეკახურის ხაშმური თქმა).

წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს გამართული დარგობრივ-ტერმინოლოგიური ბაზის მომზადებას ქართულ დიალექტოლოგიაში. ამდენად, მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით აუცილებელია, რადგან ქართველოლოგიური მეცნიერების კვლევითი ფარგლები საქართველოს საზღვრებს დიდი ხანია სცდება და ლინგვონიმთა გამოყენება გარკვეულ სირთულეებს ხვდება. საკითხის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიმაჩნია დარგის მკვლევართა და ტერმინოლოგთა ფართო წრის შექმნა.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

მთის აღმნიშვნელი ლექსიკისათვის იდიომებსა და ქართული ენის დიალექტებში

ცნობილია, რომ ტერმინი **იდიომი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *idioma*, რაც თავისებურებას ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი.

იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც, რომლებიც ცოცხალი სიტყვებია. იდიომის გვერდით არსებობს მისი ომონიმური თავისუფალი შესატყვისებიც; მაგ., „კოვზის ნაცარში ჩავარდნა“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თავისუფალი შესიტყვება (როდესაც გვინდა აღვნიშნოთ კოვზის ნაცარში ჩავარდნის რეალური ფაქტი) ან როგორც იდიომი – მნიშვნელობით: მარცხის განცდა, წამოწყებული საქმის ჩაშლა, იმედის გაცრუება (ონიანი 1966: 6). იდიომები მზა ფორმით არსებობენ ენაში და ძირითადად ერთნაირად მეორდებიან მეტყველებაში. თავისუფალ შესიტყვებასთან მას აერთიანებს აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა (იქვე: 7).

აღსანიშნავია, რომ „მთა-კლდის“ აღმნიშვნელი ლექსიკა დაიძებნა იდიომებშიც. ყველაზე ხშირად გვხვდება „მთა-ბარის გასწორება“ – ყველას და ყველაფრის გათანაბრება: ლაპარაკობდნენ, კანო-

ნები დაიბეჭდაო, რომ ვეღარც სცემსო, ვეღარც ნამუსს შეურცხვენსო; ერთი სიტყვითა **მთა** და **ზარი** გასწორდაო; ქვეყანას ვინ შესცვლისო, **მთა** და **ზარი** ვის გაუსწორებია მარტოკა, ჩემმა შვილმა რომ გაასწოროსო (ქეგლი IV 1955: 258).

ასევე ხშირად დასტურდება „ცხრა **მთას** იქით“ – ძალიან შორს: ცხრა **მთას** იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან; ცხრა **მთას** იქითაც, თუკი ფეხი დადგა ნადირმა, იგი გუმანით მიუხვდება, ვით გულთმისანი (ქეგლი IV 1955: 258).

მთა გვხვდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: **მთა და ზარი, მთა და ველი** „მთელი ქვეყანა“; **ამ მთის, იმ მთის; იმ მთისა და ამ ზარისა** „ესეც და ისიც; აქაური და იქაური; სხვადასხვა; ყველაფერი“ (ქეგლი V 1958: 246).

ქართული ენის დიალექტებში დასტურდება მთის სახეობათა აღმნიშვნელი სახელები: **ქანჩახი** (ფშ., თუშ., ქიზ.) „ბუჩქნარი, ბუჩქით ან ტყით დაფარული კლდიანი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 254); **კრანჩხი** (ქიზ.) „ღრანტე, კლდე“ (ქეგლი IV 1955: 1366; ფოჩხუა 1987: 89); **კაწაპანია** (რაჭ.) „მაღალი აღმართი“ (ქეგლი IV 1955: 1109); **ზრეკი** (იმერ.) „პატარა გორაკი – ბეკი“ (ქეგლი I 1950: 1131); **წრიაპი** (ზემო იმერ.) „ციცაბო; ციცაბო კლდე“ (ქეგლი VIII 1964: 1172); **კარწახი** (გურ.) „დიდი აღმართი“ (ქეგლი IV 1962: 1089); **კარჩხალი** „კარჩხალი მთა“ (გურ.) – კლდოვანი, ტიტველა მთა (ქეგლი IV 1962: 1088); **ღრიანკელი** (იმერ., გურ.) „კლდოვანი ვიწრო და ღრმა ხეობა, ხრამი“, მაგ., აბდუშაჰილმა გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ **ღრიანკელში** შეიყვანა ჯარი, რომ გაშლა არ შეიძლებოდა და სამრაობა აღარ ჰქონდათო; კაცო, **ღრიანკელში** გვყრიან, კისერს გეტეხენ (ქეგლი VII 1962: 475); **დაყაშებული** (ფშ.) „დამსკდარი (კლდე, მთა)“, მაგ., რაც ერთი იყო, იგივე მეორე: იგივე სალი მკერდი **დაყაშებული** და შიგადაშიგ დახავსებული (ქეგლი III 1953: 203).

ქართული ენის დიალექტებში **მთის** სხვადასხვა ნაწილის აღმნიშვნელი ლექსიკაც დასტურდება: **ფხაწალი** (მთიულ.) „კლდიანი, მიუდგომელი ადგილი მთაში“ (ქეგლი VII 1962: 228); **დალდე** (ფშ.) „კლდეში შეზნექილი ადგილი, სადაც ნადირი დაწვება ან თოვლი შერჩება“ (ქეგლი III 1953: 488); **ბორო** (რაჭ.) „დიდი მთა, მიყრუებული ადგილი მთაში“ (ლლონტი 1974: 81); **ნაური** (ქიზ.) „მთებს შუა ან სერზე სიგრძივ ჩაღრმავებული ადგილი (ხეობაზე უფრო პატარა)“ (ქეგლი V 1958: 1382); **კეტამი** (ფშ.) „კლდის ქიმი“ (ლლონტი, 1974, 282); სვანურში კლდის თავზე იტყვიან **კოჯიშ თხვიმ. კოჯიშ თხვიმ-**

ქი მუს ხაზ „კლდის თავზე თოვლი დევს“ (ჩვენი მასალიდან); **კინწუხი** (ფშ.) „წვერი, წვეტი, კენწერო“ (ქეგლი IV 1955: 1222); **კინწრიხო** (მოხ.) „თხემი, წვერი მთისა, კლდისა“ (ღლონტი 1974: 292); **ღაწვი** (ხევს.) „კლდიანი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 406); **კოდმე** (გურ.) „მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი“ (ქეგლი IV 1955: 1258); **კუჭულა** (ხევს.) „მთის წვერი“: არ ეშვებიან ღრუბელნი მაღლის ჭიუხის წვერსაო, ჭიუხის **კუჭულაზედა** სინდიურისძე წევსაო (იქვე: 1432).

მიხეილ ლაზაძე

ლაზთა გვარსახელების წარმოების თავისებურებანი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლაზეთში გვარსახელთა ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი ფორმანტია **-[ი]ში**, რომელიც დაერთვის შესაბამის ეპონიმს და წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს. გათხოვილი ქალების გვართა წარმოებისას, ეპონიმს დაერთვის იგივე **-[ი]ში** ფორმანტი, რასაც მოსდევს ლექსემა **ფხე**. ამის შედეგადაც ვიღებთ შერწყმულ ფორმას: ***თანალ-იში ფხე** -> ***თანალ-იშ ფხე** -> **თანალ-ი-ფხე**. **ფხე** „ასულის“ აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეა, შდრ. ქართ. **მხეველ**-ი (ქ. ლომთათიძე). ეპონიმის მრავლობითი რიცხვის ფორმა, ჩვეულებრივ, კრებითად, მთელი საგვარეულოს აღსანიშნავად გამოიყენება: **ჭერვათ-ეფ-ე** „ჭერვათიშები“, **თანალ-ეფ-ე** „თანალიშები“ **თანთუ-ფ-ე** „თანთუშები“... ლაზთა ზოგიერთი გვარი ბოლოვდება, აგრეთვე, **-სქირ-** ფორმანტით: **პაპა-სქირ-**ი, **ალე-სქირ-**ი, **პეტე-სქირ-**ი, **სავა-სქირ-**ი... გათხოვილ ქალთა გვარების წარმოებისას, **-სქირ-** ფორმანტი ყოველთვის შენარჩუნებულია: **პაპა-სქირ-**ი-**ფხე**, **ალე-სქირ-**ი-**ფხე**..., ხოლო კრებით გვარსახელთა წარმოებისას, ეპონიმებს ხან სცილდება, ხან - არა: **პაპა-ფ-ე** // **პაპასქირ-ეფ-ე** „პაპასქირები“, **ალ-ეფ-ე** // **ალესქირ-ეფ-ე** „ალესქირები“... აქვე დავსძენთ, რომ **-სქირ-** ფორმანტი ამჟამად მეტისმეტად იშვიათია. იგი მომდინარეობს სიტყვა-ფორმიდან **სქირ-**ი „ძე, შვილი“.

ათინასა და ართაშენის თემებში გვარსახელები, არაიშვიათად, უფორმანტოდაც გვხვდება: **ჩაუშინა**, **ზელენა**, **დავითი**, **მურუცხა**...

გათხოვილ ქალთა გვარების და კრებით გვარსახელთა წარმოების პრინციპები ამ შემთხვევაში სტანდარტულია - ითქმის: **ჩაუშინა-ფხე, ჩაუშინა-ფ-ე, ზელენა-ფხე, ზელენა-ფ-ე** და მისთ. აქვე აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის დროს, ლაზებიც ისევე, როგორც სულთნის ქვეშევრდომი სხვა ქართველები (აჭარლები, იმერხეველები, ნიგალელები...), ოფიციალურად ოსმალურ-თურქულ ყაიდაზე, -**ოღლი** ფორმანტით გაფორმებულ გვარსახელებს (**ლალუბებს**) ატარებდნენ, რომლის ეპონიმიც ან ქართველური იყო (მაგ., **ჭერვათ-ოღლი, მანელ-ოღლი...**), ან მამისა თუ ბაბუის მუსლიმანურ სახელს/მეტსახელს წარმოადგენდა (**ხეიერ-ოღლი, დელახმეტ-ოღლი...**). ოსმალურ-თურქული ყაიდის გვარები თურქეთის ლაზებს უფრო კარგად ახსოვთ, ვიდრე ძველი – ქართველური. 1934 წლიდან მოყოლებული, ისინი ოფიციალურად, ახალ თურქულ გვარებს ატარებენ.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

სვანეთის წერილობითი ძეგლების ენობრივი თავისებურებანი

სვანეთის წერილობითი ძეგლები ქრონოლოგიურად მოიცავს X-XVIII საუკუნეებს; ეს არის სვანეთის ისტორიული საბუთები და საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლები, სულთა მატყანეები, ეპიგრაფიკული ძეგლები – ფრესკული ისტორიული წარწერები, სვანეთის ლაპიდარული, ჭედური და ნაკაწრი წარწერები, წარწერები ზარებზე...

სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ პირველი ცნობები ჩნდება XIX საუკუნის დასაწყისიდან: **მ. ბროსემ, ბართოლომიემ, დ. ზაქრაძემ, ბ. ნიჟარაძემ, ალ. ხახანაშვილმა, ნ. მარმა, ე. თაყაიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ვ. სილოგავამ...** დიდი ამაგი დასდეს მათ შეკრებას, შესწავლას, გამოკვლევასა და გამოცემას. სვანეთის წერილობითი ძეგლები შეიცავენ არაერთ უმნიშვნელოვანეს ცნობას შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიის შესახებ.

ბუნებრივია, არანაკლებ საინტერესოა ეს წერილობითი წყაროები ენობრივი თვალსაზრისით, რამდენადაც საშუალო ქართულის ნორმებით შედგენილ ამ ძეგლებში გარკვეულწილად ასახულია როგორც ძველი ქართულის, ისე სვანურის გრამატიკულ-სტილისტური და ლექსიკური თავისებურებანი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში **სვანიზმებადაა** მიჩნეული: მაგ. „საყურადღებოა ტექსტში ტოპონიმ „მჟალვის“ თანამედროვე „მუჟალის“ დადასტურება. იგი ამავე ეკლესიის X-XI საუკუნების წარწერა-გრაფიტებშიც დასტურდება და სვანურ ტოპონიმთა უძველეს დოკუმენტურ ფიქსაციად უნდა ჩაითვალოს. ასევე საყურადღებოა ტერმინი **თანაფ**, რომელიც ამ შემთხვევაში **სვანიზმად** უნდა მივიჩნიოთ. **სვანიზმები X-XI საუკუნების წარწერა-გრაფიტებში** სხვაც დასტურდება და სხვათა შორის იმავე ჩვაბიანის მეორე, მაცხოვრის ეკლესიაში“ (სილოგავა, 1988: 25).

ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანეთის წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირად გამოვლენილმა და დაფიქსირებულმა ისეთმა ლექსიკურმა ერთეულებმა, როგორიცაა: **მოსკარი/მუსკარი, ლასკარი, დამაჯნება, ღალაბაი, ლელჯგრაგი, ფამელა/ფამელა, სამუქფო, მუქფად, უსგვაშიდი, ბიუსადი, ნაკურეუ, ლაჩოგრაში, ბაღყაჩაერა, ლივლაშ, ხანსარა, ლაყელა, კრლდაში, პუყულდაში, კიდ...** სტრუქტურა-აღნაგობით, მაწარმოებელი აფიქსებით და საკმაოდ გამჭვირვალე სემანტიკით ისინი სვანიზმებად უნდა მივიჩნიოთ. წერილობით ძეგლებში, განსაკუთრებით სვანური ისტორიული საბუთების ტერმინოლოგიაში ფართოდაა ასახული და გამოყენებული სვანური ლექსიკა, რომელიც თანამედროვე სვანურთან მიმართებით ფორმოზრივ, შესაძლოა, რამდენადმე განსახვავებულიც იყოს, ცალკეულ შემთხვევებში კი შეინიშნება სემანტიკური ცვლისა და ამოსავალი ეტიმონის დაბინდვის მაგალითები.

მოსკარი / მუსკარი; ლა-სკარი: (სკარ „რელიგიურ დღესასწაულზე გაერთიანებული რამდენიმე ოჯახის ერთად ლოცვა“. მოსკარ – სკარის დამხვდომი, მასპინძელი“ შდრ. ლისკარაჟლ – სკარში შემოერთება). „ვიდრე ისი არ გარდაიჭადოს, ნუცა ეკლესიასა, ნუცა **ლასკარსა**, ნუცა ანჯუმანსა, ნუცა სადა გამოუშვებთ ძმაი ძმასა (სწმ, I, 218);

დამაჯნება შდრ. სვან. ლი-მჯანი „დაზიანება, დაშავება“ **ლგ-მჯანე** „დაზიანებული, დაშავებული“, **მემჯანი** „დამზიანებელი“. „თქვენი თავი **სამაჯნოდ** არავის მოვანებოთ... ვინცა მთავარმოწამისა კაცი **მოიმაჯნოს**“ (სწმ, I, 112);

ღალაბაი (<- სვან. ლი-ღლბი „მოქიშპართა, მოშულართა მოულოდნელი შეხვედრა, გაუფრთხილებლად დახვედრა“). „ვინცა საქუეცნოისა საქმისათვის გინდა ჩუენ შიგა, გინდა მთასა და გინდა ბარს... **ღალაბაი** და შულლი ქმნას, თავად მთავარანგელოზი და მერმე ერთობილი სოფელი ვართ... პასუხისა გამცემი (სწმ, I, 133);

ლეღჯგრაგი <- ***ლე-ჯგერაგ-ი** „საწმიდაგიორგე“, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კუთვნილი მიწა და სხვა ქონება, წმ. გიორგის სახელზე დაყენებული (ლეღჯენე) ხარი, მოზვერი, ან სხვა ზვარაკი (შდრ. **მოღჯგერაგ** „გიორგობის სკარის მონაწილე, წმიდა გიორგის შემვედრებელი...); **ფამელია, ფამელა** (<- სვან. ლი-ფემალ „მონობა“, ფამლი „მონა, მსახური“, ლეფემალ „დასამონებელი“. „**ფამელას** ყოველსა შეუნდოს ღმერთმან“...(სწმ, I, 283–284); **სამუქფო; მუქფად** (<- სვან. **მგქაფ** „სანაცვლო, სამაგიერო“, **ლიმქაფი** „სანაცვლოს, სამაგიეროს გადახდა“, **მემქაფი**: „სამაგიეროს გადამხდელი“, **ლემქაფი** – „სამაგიეროდ გადასახდელი ნივთი, საგანი“. შდრ. ძვ. ქართ მუქაფა „საპასუხო“, მუქაფა-მ „ნაცვალი“. ეს სიტყვა ქართველურ ენებში ნასესხები უნდა იყოს არაბულიდან. **მუქაფა** გვხვდება ვეფხისტყაოსანშიც. ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში სამუქფო დაიკარგა, უკვე აღარ გვხვდება, მაგრამ ის დღემდე აქტიური ხმარება-გამოყენებისა თანამედროვე სვანურში. აღნიშნული ლექსემა არაერთხელ დადასტურდა სვანეთის წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით კი – იურიდიული საბუთების ტერმინოლოგიაში. „მერმე შენ მალელდიანსა ჯარი წამოგვარე იმისდა **სამუქფოდ**“ (სწმ, I, 186); **უსგავაშიდი** – სვან. უსგვრშიდი „სამოცი“ (სიტყვასიტყვით „ექვსი-ათი“); საინტერესოა, რომ იურიდიულ საბუთებში არ გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორცაა **ჰანდანი, ჰებშიშ, კურთხელანი, ცხვადიშ, ნალჯომ, გეგინალჯომ, ლადლიშ**., რომლებიც სვანეთის სხვადასხვა კუთხეში გამოიყენებოდა საქონებში მიწის გასაზომად (ჩარკვიანი, 1967, 240); **ბიუსადი** (<- **ბუ-სად** „სამყარო, ქვეყანა, საწუთრო, სოფელი“ **ერბუას / ჩებუას / ჩაბუას** „იმ ქვეყნად“ „იმა სოფლად“, **ამებუას / ამებუასდ** „ამქვეყნად“.

სვანურ ისტორიულ საბუთებში ხშირია დალოცვის, პირობის დადების, დაფიცების თავისებური ფორმულები: ღმთისა და მაცხოურისა ჰადიშისა თაუსდებობითა დაუწერეთ ... (სწმ, I, 218);

სვანეთის წერილობით ძეგლებში გვხვდება ასევე ერთგვარად ბუნდოვანი სემანტიკის, მაგრამ აშკარად სვანური ეტიმოლოგიის ტერმინები **ნაკურეუ, ჳიდ** <- ლა-ჳდა „მესაწირი, მისატანი“, **ლაჩოგრაში** და სვანური წარმოების ტოპონიმები: **ბალყაჩაერა** „მურყნარი“ <- ბალყაჩ „თხმელა, მურყანი“, **ლცლაშ** <- *ლიც-ლ-შმ „წყლისა, წყლიანისა“, **ხანსარა** <- სვან. ხანსარ „მყინვარი, წლების განმავლობაში უდნობი ყინული“... **ლაყელა** <- სვან. ლი-ყელი „შედედება“, **ქრლდაში** <- სვან. ქორ-ულდ-აშ-ი <- ქორ „სახლი“, **პუყულდაში, ლასგორელდაში** / ლა-სგორ-ე-ლდ-აშ-ი <- სვან. ლი-სგურე „დაჯდომა“ ... „**ბალყაჩაერისა** ჭალაი თქვენ დაგრჩა-ყე (სწმ, I, 200);

ამრიგად, მოსკარი/მუსკარი, ლასკარი, დამაჯნება, ლალაბაი, ლელჯგრაგი, ფამელია/ ფამელა, სამუქფო, მუქფად, უსგვაშდი, ბიუსადი, ნაკურეუ, ლაჩოგრაში, ბალყაჩაერა, ლიცლაშ, ხანსარა, ლაყელა, ქრლდაში, ჳიდ... სვანეთის წერილობით ძეგლებში, განსაკუთრებით ისტორიული საბუთების ტერმინოლოგიაში საკმაოდ ხშირად დადასტურებული ეს ლექსემები სვანიზმებია, რაც ამ ძეგლების ენობრივი სამყაროს სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მაჩვენებელია და სტილისტური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, უთუოდ, ყურადღებამისაქცევი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სვანეთის წერილობით ძეგლებში **სვანიზმები** ვლინდება ენობრივი იერარქიის ყველა დონისა – ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკურ-სემანტიკური, რაც სავსებით ბუნებრივია და ამ ძეგლებს ლინგვისტურად უაღრესად საინტერესოს ხდის.

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მყოფადის ფუნქციით უწყვეტლის გამოყენების შემთხვევები ზემოიმერულში („ყოფნა“ ზმნა)

ზემოიმერულის ზეპირ მეტყველებაში შენიშნული გვაქვს მყოფადის ფუნქციით უწყვეტლის გამოყენების შემთხვევები „ყოფნა“ ზმნის ხმარებისას:

„მომავალ ზამთარს თუ თოვლი იყო, აქიდან გამიჭირდება სა-
მსახურში სიარული“,

„ბევრი ხალხი თუ იყო, მე ემ ავტობუსში ვერ ავალ“,

„ხვალ თუ კაი ამინდი იყო, გამოვალ თქვენსა“...

ზემოიმერულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ ვერ მოვიძიეთ ასეთი შემთხვევის კვალიფიკაცია.

მოხსენებაში დასმულია საკითხი:

„ყოფნა“ ზმნის უწყვეტლის ფორმით წარმოდგენა მყოფადის ფუნქციით მისი მოხმარების არეალის გაფართოებაა, თუ უძველესი ვითარების ამსახველი იმდროინდელი მოვლენა, ვიდრე ეს ზმნა ფუ-
ძემონაცვლე გახდებოდა?

გავლებულია პარალელები მონათესავე ენებთან.

ნ ა თ ე ლ ა მ ე ლ ი ქ ი ძ ე

ტოლოშელ მელიქიძეთა შტოგვარები (ასპინძის მუნიციპალიტეტი)

1. ოსმალო მოხელეების აღწერილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“ ტოლოშის ვენახების გამოსაღებზე მითითებულია: „ვენახი 1 ნაკვეთი, 3 ქილიანი, ბატატასძის, მურვან აზნაურის, აწ ვარძელ მელიქის მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად წელიწადში 40 ახჩას იძლევა“ (ს. ჯიქია). ინფორმატორთა გადმოცემით, ხერთვისის ციხისთავს ტოლოშის ტერიტორია უნახავს, ვენახის გასაშენებლად მოსწონებია ეს ადგილი, გაუშენებია ვენახი და თითონაც აქ დასახლებულა, შესაძლებელია გვარიც იქიდან

წამოვიდა: „წამოვიდა მელიქ შვილებზე ძედ“. ინფორმატორთა ცნობა საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ XVI საუკუნის ტოლოშში არც პირსახელად და არც გვარსახელად არაა მითითებული **მელიქი**, ხერთვისელთაგან კი სარგის მელიქსა და პაპუ გრიგორისძის ძმა მელიქას ვიცნობთ. შესაძლებელია, სწორედ ვარძელ მელიქი იყოს ხერთვისიდან გადმოსული ის მეიჯარე, რომელიც ამუშავებს ტოლოშელთა ვენახს და შემდგომშიც სათავეს უდებს ტოლოშელ მელიქიძეთა მოდგმას.

2. მელიქიძესა და მელიქიშვილს სამოხელეო ტერმინისაგან მიღებულ გვარებში ასახელებს ზ. ჭუმბურიძე. საკუთარ სახელად ქცეული თანამდებობის ტერმინი მელიქი აღნიშნავს კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველს, გამგებელს (ქეგლ). ქსე-ში ვკითხულობთ: „ისლამის აღმოცენების შემდეგ ტერმინ „მალიქს“ არაბები იყენებდნენ უპირატესად არამუსლიმანი გამგებლების მიმართ (მონარქის მნიშვნელობით). სახალიფოს დაშლის შემდეგ მალიქს უწოდებდნენ სახალიფოს ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერო გამგებლებსაც“.

3. განაყოფი სამცხე-ჯავახეთში ერთი ძირი ოჯახიდან ახალმოსახლედ გამოყოფილნი, ე.ი. ერთი ფუძე/ოჯახის განშტოებანია.

4. ტოლოშის მელიქიძეთა შტოგვარებია: **თურანაანი, კონაანი, კიკოლაანი, მამუდაანი და თემურაანი / თემუაანი**. თითოეული მათგანი წინაპრის სახელს ეყრდნობა, საკუთრივ ანთროპონიმს ან მეტსახელს. კონაანთგან მოდიან: **ოსენი, ლაზოონი და თევდორენი**, იგივე **ქარიმანი**.

5. მუსხის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) მელიქიძეებს **ტოლოშულიენტ** ეძახიან, როგორც ტოლოშიდან გადასულებს.

6. იმ შტოგვარების გარდა, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ტოლოშში, ყოფილან **სეფოონიცი**. „მამაჩემი ამბობდა, სეფოონი მელიქიძეები იყვნენო, გამუსლუმანდნენო. ბუჭო, ბუჭოს ამბობდაო, ქართულადო“. ეს ადასტურებს, რომ მელიქიძეები საერთო გვარია ქრისტიანი და მუსლიმი ქართველებისა, რომლებიც მკვიდრობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტში.

7. სამცხურ-ჯავახურში გვარის განაყოფთა სახელდებისას განსაკუთრებით პროდუქტიულია -(ი)ან სუფიქსი. ტოლოშის **მელიქიძეთა** გვარის განაყოფთა სახელებში -ან მაწარმოებლის ეკონიმიზე დართვით მიღებულია: **თურანაანი, კიკოლაანი, კონაანი, მამუდაანი, თემუაანი, ქარიმანი**.

8. განაყოფთა სახელების ერთი ნაწილი -ეენ-ი და -ოონ-ი და-ბოლოებას გვაძლევს, რაც გრ. ბერიძის აზრით, -ე და -ო ხმოვნებზე გათავებულ სახელებთან -იან სუფიქსისეული -ი ხმოვნის დასუსტებისა და ფუძისეული ხმოვნისაგან სუფიქსისეულის დამსგავსების საფუძველზე ხდება (გრ. ბერიძე): **ოსეენი** < -ოსე-ან-ი <- ოსე-იან-ი, **თევდორეენი** <- თევდორე-ან-ი <- თევდორე-იან-ი; **სეფოონი** <- სეფო-ან-ი <- სეფო-იან-ი, **ლაზოონი** <- ლაზო-ან-ი <- ლაზო-იან-ი.

9. როდესაც სურთ მიგვანიშნონ შტო-გვარის წარმომადგენელზე, განაყოფთა სახელს „თანს“ უმატებენ, მაშასადამე, გვაქვს -აანთ/-ეენტ/-ოონთ/-უანთ რთული სუფიქსები. ამბობენ: **თურანაანთი**, **კიკოლანთი**, **ლაზოონთი**, **ოსეენთი**, **თემუანთი** და ა.შ. როცა შტო-გვარის სახელს პირსახელიც ემატება, მაშინ გვაქვს: ქარიმანთ მიშა, თურანაანთ ნოდარი, კონაანთ რობიზონა...

10. ზ. მელიქიძის წიგნში „ბალანთა“ წარმოდგენილია ამ სოფლის მკვიდრი მელიქიძეების განაყოფთა სახელები. ყველგან -იან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: **ნიკოანი** (<- ნიკო(ი)ანი), **გაბოანი** (<- გაბო(ი)ანი), **ზერგელაანი** (<- ზერგელა(ი)ანი), **ნონეანი** (<- ნონე(ი)ანი), **ოქრუანი** (<- ოქრო(ი)ანი).

ტოლოშელი მელიქიძეების ცნობით, ჯავახეთში მცხოვრები მელიქიძეებიც ტოლოშიდან არიან გადასული.

ო მ ა რ მ ე მ ი შ ი შ ი

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები სარფულში – II

ქართულისაგან განსხვავებით მეგრული და ლაზური გამოირჩევიან თანდებულთა სიმცირით, გამონაკლისს არ წამოადგენს სარფის მეტყველებაც. სარფულში სულ რამდენიმე თანდებული დასტურდება, რომლებიც დაერთვის სხვადასხვა ბრუნვებს. თანდებულის ფუნქციას გამოხატავს მიცემითისა და მიმართებითი ბრუნვის ფორმებიც.

მეტყველებაში რეალიზდება კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, მტკიცებითი, გაძლიერებითი, სხვათა სიტყვის ნაწილაკები.

ნ ა ი ლ ე მ ი ქ ე ლ ა ძ ე

ზემო აჭარის რელიგიური ხასიათის რამდენიმე ტოპონიმისათვის

ონომასტიკა ასახავს მოცემული საზოგადოების ისტორიასა და რწმენა-წარმოდგენებს. რელიგიურ-ისტორიული შინაარსის ტოპონიმთა კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – აჭარის – წარსულის კვლევის თვალსაზრისითაც.

აჭარაში ქრისტიანობა 20 საუკუნეს ითვლის, მუსლიმანობა კი – მაქსიმუმ 4-ს, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ზემო აჭარაში რელიგიური ხასიათის ტოპონიმები ძირითადად ქრისტიანულია. ზემო აჭარის ერთ-ერთი რაიონი, შუახევი მდებარეობს შავშეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონაში. ეს მხარე ოდითგანვე წარმოადგენდა ქრისტიანობის უძველეს კერას, რასაც მოწმობს აქ არსებული ტოპონიმები.

ნაშრომში წარმოდგენილია შუახევის რაიონის მარეთის ხეობაში შემონახულ რელიგიურ ტოპონიმთა ნაწილის ისტორია; კერძოდ, გაანალიზებულია: **წმინდისერი, წმინდისერიდელე, ნაწირვალა (ნაჭარვალა), იორდანა, იორდანასწყარო, ნაბოლოკვართი, საყდარი, საჯვარებო, ცხრამუხლიდელე** და სხვ...

ე ლ ე ნ ე ნ ა პ ი რ ე ლ ი

კვლავ კახური დიალექტური ლექსიკისთვის (ქდკ-ის ტექსტების მიხედვით)

ენა და მისი დიალექტები იცვლება და ვითარდება ისტორიის ყველა ეტაპზე. ქართული სალიტერატურო ენა გავლენას ახდენს დიალექტებზე და იწვევს დიალექტის სპეციფიკური ლექსიკის ნიველირებას. ეს გავლენა ყველაზე ადრე ლექსიკაში იჩენს თავს. გარკვეული დროის შემდეგ ამ ლექსიკის აღდგენა შეუძლებელიც კი იქნება,

მაგრამ ჯერჯერობით მათი თავმოყრა და შენახვა, როგორც ენის ისტორიის არტეფაქტებისა, შესაძლებელი და აუცილებელია.

საკვლევად ავიღეთ ქართულ დიალექტურ კორპუსში გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები, რომლებიც ჩაწერილია სხვადასხვა დროს კახეთის სხვადასხვა რეგიონში.

დღეისათვის ქდკ-ის კახურ ლექსიკონში ინტეგრირებულია სტეფანე მენტეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“. ამჟამად მიმდინარეობს კახური ლექსიკონის დაზუსტება, შეკრება და ლექსიკონის შესვლა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე არ გვაქვს კახური ლექსიკა ერთ ლექსიკონად წარმოდგენილი.

კახური ლექსიკონის მასალების ნაწილი შევუდარეთ არსებულ დიალექტურ ლექსიკონებს, ასევე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს. არაერთი მათგანი აღმოჩნდა სხვა დიალექტების ლექსიკაშიც, მაგრამ განსხვავებული შინაარსით.

წარმოვადგენთ ლექსიკური ერთეულების მცირე ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ დასტურდება ან განსხვავებული შინაარსით გვხვდება.

დატოშვა, დაგვტოშეს = ცემა, გამათრახება (იხ.: ტოში, ტოშოლი – მათრახის ბოლოში მიბმული ბრტყელი ტყავი¹); **დაბრაკება, დაბრაკდა** = გაფუჭება, გაფუჭდა; **გახარდალაგება** = ცხვარ-ბატკნის შერევა და ძუძუს მოწოვებინება; **დაიჰქვითებს, დაიჰქვითებენ** = დაატირებს, დაატირებენ; **ხდომულობს** = იტანს, ეგუება; **იფერებს; გაფადართდება** = აბრეშუმის ჭიის ერთგვარი ავადმყოფობა; **გაჯანდრული** = გაჭიმული, გასწორებული; **ხუსუნა** = მწვანე ბალახი; **ჯინურა** = წკეპლისაგან დაწნული, დაბალი, ერთყურიანი კალათი; **ვაენობა, ვაენიანობა** (война რუს.) = ომი, ომიანობა და მრავალი სხვა.

ამ და სხვა ლექსიკურ მასალას ვრცლად წარმოვადგენთ მოხსენებაში.

¹ ა. ჭინჭარაული - ხევსურული დიალექტის ლექსიკონი

ციალა ნარაკიძე

მებაღეობის (მეხილეობა) ამსახველი ლექსიკიდან ლაზურში

დიალექტური ლექსიკის სათანადო სისრულით გამოვლენისათვის უპირატესობა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის თანმიმდევრულად აღწერასა და ლექსიკის დარგობრივად შესწავლას ენიჭება.

ამ მხრივ საინტერესოა მებაღეობა-მეხილეობასთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლა ლაზურში. მებაღეობის ამსახველ ლექსიკაში შემონახული მრავალი სიტყვა დღესაც იხმარება ლაზთა მეტყველებაში (**მერწი** – ყუნწი; **კობა** – დაუმწიფებელი მარცვალი ყურძნისა; **ხოხოლონი** – ხშირტოტიანი ხე; **ჭობა** – ნახევრად სიმწიფეში შესული ნაყოფი; **ხანჭელი** – გაფუჭებული ხეხილის ნაყოფი და სხვ.).

ლაზურში ხეხილის ნაირსახეობა და ნაირსახელოდებებია ცნობილი, რომელთა უმეტესობასაც სამეცნიერო ლიტერატურა არ იცნობს. განსაკუთრებით, ეს ეხება *მსხლის* ნაირსახეობებს იმიტომ, რომ ზოგიერთი ჯიშის მსხლები უკვე აღარ ხარობს არც სარფში და არც თურქეთის ლაზურ სოფლებშიც (**ხუტატელა**, **მცხულკვანცა**, **მცხულ-კაიში**, **მცხულ-კვინჩა**, **მცხულ-ორქო**, **მცხულ-კრომი**, **მცხულ-მეტაქსა...**).

ბევრი იდიომური ერთეულებიც, რაც დაკავშირებულია ამ დარგთან ჯერ კიდევ გამოუვლენელია და უცნობია სამეცნიერო ლიტერატურისათვის.

მერაზ ნაჭყებია

ზანიზმები ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ტერმინოლოგიაში (საწყაოს // ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში)

1. საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, სადაც უხსოვარი დროიდან მაღალ დონეზე იყო განვითარებული სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა დარგი: მიწათმოქმედება, ხელოსნური წარმოება, საცხოვრისის ტიპები, მუსიკალური თუ კვების კულტურა, ხალხური მედიცინა და სხვ.

სამეურნეო ცხოვრების მრავალფეროვნებას თან ახლდა ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება, რაც აუცილებელი იყო აღსანიშნის აღსანიშნავად სამეურნეო ყოფა-ცხოვრების ნებისმიერ დარგში. ამ მხრივ ქართული ეთნოკულტურა, რაც ქართველი ხალხის, მისი ყოველი კუთხის მკვიდრთა ერთობლივი შემოქმედებაა, მეტად მრავალფეროვან პალიტრას წარმოგვიდგენს. დარგობრივი ტერმინოლოგიის აღნუსხვა, გამომზეურება, მივიწყებულ სიტყვა-ტერმინთა გააქტიურება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ამას გვკარნახობს თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე დონე, მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარება ბოლო საუკუნეებში, დადებითთან ერთად შეიცავს უარყოფით მხარესაც. უპირველესად, იგი საფრთხეს უქმნის ტრადიციული დარგების გაქრობას, რასაც მოსდევს დარგობრივი ლექსიკის ნიველირება-მივიწყება. ასეულობით ლექსიკური ერთეული, რომელიც ასე აქტიური იყო ჩვენი წინაპრების ყოველდღიურ ცხოვრებაში, დღეს მხოლოდ ლექსიკონებსა და ძველ ტექსტებში თუ შემოგვრჩა.

ამავე დროს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა, ენისგან მოითხოვს ახალი ლექსიკური ერთეულებით შევსებას. ენა იძულებულია მიმართოს სესხებას, რაც რიგ შემთხვევაში მისაღებია, მაგრამ თუ ენას გააჩნია შინაგანი პოტენცია, უმჯობესია ეს დანაკლისი შიდა რესურსებით (მონათესავე ენებიდან, დიალექტებიდან, არქაული ლექსიკის გაცოცხლებით...) შეივსოს.

2. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ის ზანური (resp. მეგრულ-ლაზური) სიტყვები, რომელიც შესულია და დამკვიდრებულია ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ტერმინოლოგიაში. წარმოჩენილია და გაანალიზებულია დარგობრივი ლექსიკის ერთი მხარე: საწყაოსთან (// ჭურჭელთან) დაკავშირებული ზანური წარმოშობის ლექსემები; გამოკვლეულია ამ ლექსემათა გავრცელებულობის არეალი ძველ და ახალ სამწიგნობრო ენასა და მის დიალექტებში.

თ ა მ ა რ ნ ი ნ ი ძ ე

სახელური ევფემიზმები ქართული ენის დიალექტებში

ევფემიზმები ენის ლექსიკური ფონდის საინტერესო ნაწილია. დროთა განმავლობაში ენაში ჩნდება ახალი ევფემიზმები, ზოგი კი ენის ისტორიის კუთვნილებად რჩება. ევფემიზმების გამოყენების მხრივ მრავალფეროვნებით გამოირჩევა დიალექტები. მოხსენებაში განხილულია ზოგიერთი სახელური ევფემიზმი სხვადასხვა დიალექტური მონაცემების მიხედვით, მაგალითად, **გამფრინვალე** (იმერ. „ქალი, დაოსტატებული სამიჯნურო საქმეებში“, ლ. უკლება); **მიწამტვერაჲ** (ტაოური, იმერხ.: გარდაცვლილი); **ზინა** (ზემოიმერ. სასაფლაო, ქ. ძოწენიძე); **კოლოფი** (ზემოიმერ. მიცვალებულის მოსათავსებელი სასახლე, ქ. ძოწენიძე); **უხსენებელი** (გველი, ჩვენებურ., შ. ფუტკარაძე; ასევე ზემოაჭარ., ქვემოჯურ.); **ზობოლი** (გველი, ჩვენებურ., შ. ფუტკარაძე)...

მოხსენებაში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა მოხმობილია როგორც გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტების კორპუსებიდან და ლექსიკონებიდან, ასევე დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ექსპედიციებზე ჩაწერილი გამოუქვეყნებელი ტექსტებიდან.

ნ ა ნ უ ლ ი ნ ო დ ა ი დ ე ლ ი

ზანიზმებისათვის აჭარულ დიალექტში

ქართული ენის დასავლური კილოების კვლევისას ყურადღებას იპყრობს ზანური ენის კუთვნილი ლექსიკური ერთეულების არსებობა ამ დიალექტებში. საკითხმა დიდი ხანია მიიქცია ენათმეცნიერ-მკვლევართა ყურადღება. ზანურის გავლენის თვალსაზრისით საინტერესოდ წარმოჩნდა აჭარული დიალექტიც. ზანური სუბსტრატის გამოვლენას აჭარულში განსაკუთრებით შეუწყო ხელი ლექსი-

კის დარგობრივად შესწავლამ. წლების მანძილზე აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შეკრებამ საშუალება მოგვცა, დაგვეფიქსირებინა მრავალი ზანური ტერმინი, რომელთაგანაც განვიხილავთ რამდენიმეს: **ნერი, პერი, ტაკვი, ფარფა, ლეკა, ხინვა.**

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

კონცეპტ „ქერის“ ენობრივი ობიექტივაცია და დიალექტურ დისკურსში

უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა *ქერი* ოდითგანვე გამორჩეულ ადგილს იკავებდა მიწათმოქმედ ქართველთა ყოფაში. ჩვენმა წინაპრებმა ამ მცენარის არაერთი სიკეთე დაინახეს, მისი მრავალმხრივი გამოყენება კი ზედმიწევნით აისახა ჩვენს ენაში, რის ნათელყოფასაც ამჯერად დიალექტური მასალის საფუძველზე შევეცდებით.

მრავალრიცხოვანია *ქერის* სახელმდებელ ლექსემათა ჯგუფი. მათგან ორი – **ქრთილი** და **ქერი** – უძველეს ქართულ წერილობითს ძეგლებში დასტურდება (მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ ენათმეცნიერთა განსხვავებულ თვალსაზრისებზე ამ ერთეულების წარმოშობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით). ძველ ტექსტებში პირველის გამოყენება ჭარბობს, ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში კი საპირისპირო სურათია – ქართულ დიალექტურ კორპუსში არცერთი შემთხვევა არ იძებნება „ქრთილის“ გამოყენებისა, დიალექტთა ლექსიკონებშიც იგივე ვითარებაა, იგი მხოლოდ „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე) გვხვდება და იქ დამოწმებული კონტექსტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ აღნიშნული ერთეული „ძველი ლექსიკის“ კუთვნილებად ქცეულა: „ქერი ორნაირია, საშემოდგომოთ რომელიც ითესება, აქა **ქრთილს** ეძახდენ“.

ქერის აღმნიშვნელთა სიმრავლე შემდეგი ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული: ქერი ითესებოდა მთელ საქართველოში – მთაშიც და ბარშიც („**მთური ქერი**“ – „**ბარული ქე-**

რი“); ქერი ითესებოდა ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე, შესაბამისად, არსებობს მისი საგაზაფხულო და საშემოდგომო ფორმები („ახალთესლი“ – „ძველთესლი“), რომლებიც, თავის მხრივ, სხვაობენ მორფოლოგიური ნიშნებით, სწორედ ეს ნიშნები გამხდარა უმეტესად ატრიბუტული სახელდების საფუძველი, რის შედეგადაც გაჩენილა მოტივირებულ მსაზღვრელთა ისეთი ოპოზიციური წყვილები, როგორცაა: „**ორმწკრივა**“ („ორრიგიანი“, „ორრიგა“, „მარტივი“) – „**მრავალმწკრივა**“ („მრავალმწკრივიანი“, „მრავალმწკრივა“, „ოთხმწკრივა“, „ჩარადი“ / „ჩარათი“, „ექვსრიგა“); „**ბრტყელი**“ („ფტყელი“; „ფიცარ[ა]ქერი“) – „**გირგული**“ [მრგვალი]. ქერის სხვადასხვა ჯიშის სახელები უმეტესად მსაზღვრელ-საზღვრულით შექმნილი ერთ-ან ორკომპონენტისანი ლექსემებია, რომლებიც დიალექტურ დისკურსში ხან სრულად გამოიყენება, ხან საზღვრული („ქერი“) გაუჩინარებულია და გასუბსტანტივებულ ატრიბუტივს ეკისრება სახელდების ფუნქცია: „ძველათ ვიცოდით **კობერი ქერი**. მსხვილი მარცვალი ქონდა და კარგი საჭმელი იყო“ (ლეჩხუმური); „მთაში ქერი ითესებოდა სამნაირი: ორკუთხა ქერი და **ჩარათები**“ (ფშაური). საბოლოოდ გასუბსტანტივებული ჩანს „ახალთესლი“ და „ძველთესლი“, რომლებთანაც საზღვრული „ქერი“ აღარ დასტურდება, თუ იმავე კონტექსტში ხორბალი არ არის ნახსენები, რომელსაც ასევე ესადაგება აღნიშნული მსაზღვრელები: „**ახალთესლსა** გურგლივ შამსდევს მარცოლი და ფხიანია, ფხა ყინჩადა აქვ შამომდგარი, **ძველთესლსა** კი ორ პირობათ შამსდევს მარცოლი“ (ქართლური).

ქერის მრავალმხრივმა გამოყენებამ სასოფლო-სამეურნეო, კვებისა თუ სამედიცინო სფეროებში გაზარდა „ქერის“ მონაწილეობით წარმოქმნილ სახელთა რიცხვი. მოხსენებაში, *ქერის* დერივატებთან ერთად, განვიხილავთ იმ დიალექტურ კონტექსტებს, რომლებშიც ქერის სიმბოლურ-ეტალონური და რიტუალური მნიშვნელობები გამოვლენილი.

ნიონორუხაძე

რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკა უდიურ ენაში

რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკის გავრცელება უდიურ ენაში განპირობებულია ამ ეთნოსის ძველისძველი ქრისტიანული ისტორიით. ჩვენი მოხსენების მიზანია რელიგიურ, ძირითადად, ქრისტიანულ აღმსარებლობასთან დაკავშირებული ტერმინების ანალიზი. ეს საკითხი საინტერესოა იმითაც, რომ უდიური ალბანური ენის უმუალო შთამომავალი ენაა. კავკასიის ალბანელები კი ანტიკურ წყაროებში ჯერ კიდევ ქრისტემობამდე II საუკუნეში მოიხსენიებიან.

რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი საანალიზო ლექსიკა შვეიცარეთ უდიურ-ქართულ ლექსიკონში (ნ. რუხაძე, ა. ბასილაშვილი, 2018 წ. პოლონეთი, ქ. ვოინოვრიცე).

ზოგიერთი ლექსემა საზიაროა ძვ. ქართული, ალბანური და უდიური ენებისთვის: **ახციმა** (უდ. „აღდგომა“) – **აჭწიხაი** – (კავკ. ალბანური – „აღდგომა“) – **აღვსეხაი** – (ძვ. ქართული).

წიმერი – (უდ. „სალოცავი ადგილი“), **წიმერი** – (წიმარო „წიმაროსი“ – კუთხ. ფშაური „წმინდა, სუფთა“)...

რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკის ნაწილი უდიურ ენაში ნასესხებია აზერბაიჯანული ენიდან:

ყურბან – უდ. „მსხვერპლი“ – აზერ. qurban, **ნამაზ** – უდ. „ეკლესია“ – აზერ. namaz, **მეიდ** – უდ. „გვამი, მიცვალებული“ – აზერ. meyit, **ჰალ** – უდ. „სული“ – აზერ. hal, **ქწვთარ-ქუსტი** – უდ. „სულთამხუთავი“ – აზერ. kaftar küstü.

რელიგიურ ცნებათა საკმაო ნაწილი უდიურ ენაში სომხურიდან ჩანს ნასესხები: **ტირაცუ** – უდ. „დიაკვანი“ – „ტირაცუ“ – տիրացու (TIRACU), **ფელუმ** – უდ. „ანაფორა“ – „ფილონ“ – փիլոն (PILON), **პარიკენტან** – უდ. „ყველიერი“ – სომხ. „ბარეკენტან“ – բարեկենդան (BAREKENDAN), **ვართიფარ** – უდ. „ფერისცვალება, მარიამობა“ – სომხ. „ვარდავარ ქაჟიქაქაო (VARDAVAR), **პატარაგ** – უდ. ღვთისმსახურება, ლოცვა – სომხ. „პატარაგ“ – պատարագ (PATARAG), **ფუსაკ** – უდ. ჯვრისწერა – სომხ. „პსაკ“ – պսակ (PSAK), **ხაჩ** – უდ. ჯვარი – სომხ. խաչ (KHACH), **ფარიშტა** – უდ. ანგელოზი –

სომხ. „პრეშტაკ“ – ხრეշთასკ (HRESHTAK), **ხაჩაკირ** – უდ. „ჯვარცმა“ – სომხ. „ჯვრის მატარებელი ჯვაროსანი“ – „ხაჩაკირ“ ქახაკიჰ (KHACHAKIR), **ქავთარ-ქუსტი** – უდ. „ავი ბებერი, სულთამხუთავი“ – სომხ. „ქავთარ“ – ქავქარ (QAVTAR შდრ. აზერ. kaftar küstü „id“), **ზარზარდარ** – უდ. „ბზობა“ – „წარზარდარ“ ბარჯარდარ, ბარჯარდარ (CARZARDAR, CAXKAZARD), **გარზარ** – უდ. „საფლავი“ სომხ. ზარჯარსან გერეზმან). არსებობს სესხების სხვა გზებიც: სპარსული, ბერძნული, არაბული ენებიდან ...

მოხსენებაში მსჯელობა იქნება სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე კავკასიის ძველ ალბანურსა და უდიურში რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკის ისტორია-ეტიმოლოგიის შესახებ.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ჰიბრიდულ ტოპონიმთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზისათვის სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში

სვანური ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის პროცესში მკაფიოდ იკვეთება როგორც საერთოქართველური ლექსიკური ფონდი, ისე ქართულ-ზანური ენებიდან შედარებით გვიან შეთვისებული ლექსიკური მასალა. ამავე დროს დიდია ხვედრითი წილი დასავლური თუ აღმოსავლური ენებიდან (**ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილოკავკასიური, რუსული** და სხვ.) ნასესხები ლექსიკისა, რომელიც სვანურში, ძირითადად, ქართულ-მეგრულის გზით არის მოხვედრილი. მეორე მხრივ კი, სვანური ენა ერთგვარად შუამავლის როლში წარმოგვიდგება როგორც **ქართველურსა** და **კავკასიურ** (კერძოდ – **აფხაზურ-ადიღურ**), ისე – **ქართველურსა** და **ირანულ (ოსურ-ალანურ)** ენებს შორის. აღსანიშნავია, რომ ნასესხები ლექსიკის დიდი ნაწილი სვანურში ცნობილ მიზეზთა გამო ძლიერ არის როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად სახეცვლილი. ყოველივე ეს კი მეტისმეტად ართულებს სვანური ლექსიკის ცალკეული ნიმუშების ეტიმოლოგიურ კვლევას.

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სვანური მრავალფეროვანი ჰიბრიდული ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს.

მრავალფეროვანი სვანური ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სვანურია (ანუ პოზიერია სვანურში), ნაწილი კი – შემოსულია ან სხვა ქართველური ენებიდან, ან რომელიმე უცხო ენიდან (მაგ., რუსულიდან, თურქულიდან, ბერძნულიდან, ოსურიდან...) ქართულ-მეგრულის, ან ყარაჩაულ-ბალყარულის... გზით, დავაჯგუფეთ შემდეგ ნაწილებად:

1) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (შუალობით თუ უშუალოდ) ნასესხები ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საკუთრივ სვანური: ბამბა სტიკუტ** (ლნტ.) „ქედი (ზედმიწ. – ბამბ-ის) ბორცვი“ <- ქართ. ბამბა <- სპარს. **pamba** და სვან. **სტიკუტ** „ბორცვი, გორა“; **ბულონიშ ლიც** (ლხმ.) „ღელე (ზედმიწ. – ბალ-ნ-არ-ის) წყალი“ <- მეგრ. ბულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ბალი (ხე) დგას“ და სვან. **ლიც** „წყალი“; **კესაშ სარანგ** (ბქ.) „წყარო (ზედმიწ. – კეისრ-ის) წყარო“ <- ქართ. კეისარ-ი <- ბერძნ. **keisar** და სვან. **სარანგ** „წყარო“...

2) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (შუალობით თუ უშუალოდ) ნასესხები ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საერთოქართველური: დედუფალი დაბ** (ქს.) „ყანა (ზედმიწ. – დედოფლ-ის) ყანა“ <- ქართ. დედოფალ-ი და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-); **რამშ ნასკინ** (ბზ.) „გზა (ზედმიწ. – რამ-ის) ნახტომი“ <- ქართ. რამ-ი < სპარს. **raz** და სვან. **ნასკინ** „[გადა] ნახტომი (შდრ. ს.-ქართვ. *სკინ-); **ჰყონაშ ლაჰმოლ** (ლხმ.) „სათიბი (ზედმიწ. – მუხნარის სათიბები)“ <- მეგრ. **ჰყონ** „მუხა“ და სვან. **ლაჰმა** „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. *წამ-/*წემ-)“...

3) **ზოგჯერ სინტაგმის ორივე კომპონენტი ნასესხებია ქართულ-მეგრულიდან (შუალობით თუ უშუალოდ): თეფიშ ნაფაშ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. **თოფ**-ის) ნა-ფას-ი“ <- ქართ. თოფ-ი და ქართ. ფას-ი <- ძვ. ალან. ***fæs** (**fās**) „ცხვარი“; **წყურგინიშ ლაკრატი** (ლხმ.) „ნაკარვალის (ზედმიწ. **წყარო**-ს სა-კარავ-ე)“ <- მეგრ. წყურგინ „წყარო“ და ქართ. კარავ-ი; **ჯოჯოხეთი ღელა** (ლნტ.) „ღელე (ზედმიწ. – **ჯოჯოხეთ**-ის) ღელე“ <- ქართ. ჯოჯოხეთ-ი <- ფალ. **džax, duža** და ქართ. ღელე...

4) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია, მეორე კი საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეული: ასლანბეგი მოლრდარ** (ზზ.) „სათიბი, ტყე (ზედმიწ. **ასლან-ბეგ-ი**[ს] ახოები)“ <- ქართ. ასლანბეგ-ი <- ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი...“ + **beg** (/bej) „ბატონი“ და სვან. **მოლ** „ახო“; **აქსენტი მურყუამ** (ზზ.) „კომპი (ზედმიწ. **ავექსენტ-ი**[ს] კომპი)“ <- ქართ. ავექსენტ-ი (< ბერძ.) „ზრდადი“ და სვან. **მურყუამ** „კომპი“; **იორდანე მოლ** (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – **იორდანე-ი**[ს] ახო)“ < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης** < სვან. **მოლ** „ახო“...

5) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია, მეორე კი საერთოქართველური ლექსიკური ერთეული: თემრზიშ დაბგლდ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. **თეიმურაზ-ის** ყანუკა)“ <- ქართ. თეიმურაზ-ი (<- ირან.) „სხეულით ძლიერი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. ***დაბ-**)“; **მგრზილწ ტუბ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – **მირზა-ს** ხევი)“ <- ქართ. მირზა <- არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ტუბ** „ხეობა; ღელე (შდრ. ს.-ქართვ. ***ტაბ-**)“; **აესეიშ დაბარ** (ბქ.) „უბანი (ზედმიწ. **იოსებ-ის** ყანები)“ <- ქართ. იოსებ-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება, მატება“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. ***დაბ-**)“...

6) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია, მეორე კი, ასევე, ქართულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): ონოფრეშ ნაკუეთ** (ლხმ.) „ტყე (ზედმიწ. **ონოფრე-ს** ნაკუეთი)“ <- ქართ. ონოფრე (< ეგვიპ.) „წმინდა ხარი“ და ქართ. ნაკუეთ-ი; **რადიმხანიშ ღარ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **რადიმხან-ი**[ს] **ღარ-ი**)“ < თურქ. **radim** + უძველესი თურქული ტიტული **xan** და სვან. **ღარ** < ქართ. ღარ-ი; **სერგარ ხარაჩოალ** (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **სერგ-ი**[ს] **ხარაჩო-ებ-ი**)“ < ქართ. სერგ-ი/სერგო (< ლათ.) „მაღალი“, „ღირსეული“, „მგზნებარე“ და ქართ. ხარაჩო <- სპარს. **xarāci**...

7) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საკუთრივ სვანური (არარელიგი-**

ური ლექსიკური ერთეული): ბაპშა მურყტამ (ბზ.) „კოშკი (ზედმიწ. – პაპ-ი[ს]-ან-თ კოშკი)“ <- მეგრ.-ლაზ. პაპ-უ <- ლათ. **papa** <- ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **მურყტამ** „კოშკი“; **ბარბალ ზაგარ** (ლნტ.) „ყანა; ქედი (ზედმიწ. – წმ. **ბარბარე**-[ს] ზეგანი)“ <- ქართ. წმ. ბარბარე <- ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **ზაგარ** „ქედი, უღელტეხილი“; **ქრისდე იფრიშ** (ლხმ.) „ეკლესია (ზედმიწ. **ქრისტე** იფარის)“ <- ქართ. ქრისტე <- ბერძ. **χριστός** და სვან. **იფარი** „სოფელი“...

8) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საერთოქართველური (არარელიგიური ლექსიკური ერთეული): ნაცემიშ ლაჯტმი** (ბქ.) „ნასაყდრალი (ზედმიწ. **ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ის** სალოცავი)“ < ქართ. [იოანე] ნათლისმცემელ-ი და სვან. **ლაჯტმი** „ეკლესია, სალოცავი (შდრ. ს.-ქართვე. *ჯტამ-)“; **იანი ლაშდღუერ** (ბზ.) „სასაფლაოები (ზედმიწ. – **იონა**-[ს] სასაფლაო)“ < ქართ. იონა [წინასწარმეტყველი] (<- ძვ. ებრ.) „მტრედი“ და სვან. **ლაშდღუერ** „სასაფლაო (შდრ. ს.-ქართვე. *(ს₁)თხარ-/ს₁თხრ-)“; **ელიაშ ნალჯტამ** (ბქ.) „ნაეკლესიარი (ზედმიწ. – **ელია**-ს ნაეკლესიარი)“ <- ქართ. [წმინდა] ელია (<- ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. **ლაჯტმი** „ეკლესია, სალოცავი (შდრ. ს.-ქართვე. *ჯტამ-)“...

9) **ზოგჯერ სინტაგმის ორივე წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინია: ქრისდე მაცხოვარ** (ბზ.) „ეკლესია (ზედმიწ. **ქრისტე მაცხოვარ-ი**)“ <- ქართ. ქრისტე <- ბერძ. **χριστός** და სვან. **მაცხოვარ** <- ქართ. მაცხოვარ-ი; **ტან/ოტან მახრობელი** (ბზ.) „ეკლესია (ზედმიწ. **იოანე მახრობელი-ი**)“ <- ქართ. ივანე <- ძვ. ქართ. იოვანე <- ძვ. ებრ. **ioxanan/iehoxanan** „ღვთის წყალობა“ და ქართ. მახრობელი...

10. **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი ქართულიდან (ასევე, უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები არარელიგიური ლექსიკური ერთეული: ბაპან კალტ** (ბზ.) „ეზო (ზედმიწ. **პაპ-ი[ს] კალო**)“ <- მეგრ.-ლაზ. პაპ-უ <- ლათ. **papa** <- ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **კალტ** „ეზო“ <- ქართ. კალო; **ბარბლ მიდამ** (უშგ.) „ეკლესიის მიდამო (ზედმიწ. წმ. **ბარბარე**-[ს] მიდამო)“ <- ქართ. წმ. ბარბარე <- ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **მიდამ** <- ქართ. მიდამო; **ქრისდეშ ლასფლატარ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. **ქრისტე**-ს სა-სა-ფლ-ა-ო)“ <- ქართ. ქრისტე <- ბერძ. **χριστός**

და სვან. **ლასფლაჟწრ[ი]** < ქართ. სასაფლაო...

სვანურში საკმაოდ ხშირია ისეთი ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ნასესხები საკუთარი სახელებისაგან ნაწარმოები შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელია, მეორე კომპონენტი კი შეიძლება იყოს ან საკუთრივ სვანური საზოგადო სახელი, ან საერთოქართველური ლექსიკური ერთეული, ან ქართულიდან ნასესხები საზოგადო არსებითი სახელი და ა. შ.: **ბეგიშე ნამხტირ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. **ბეგ**-ის-ებ-ის ნანგრევი)“ <- ქართ. ბეგ-ი < თურქ. **beg** (/bej) „ბატონი“ და სვან. **ნამხტირ** „ნანგრევი“; **მგრძლტუშ დაბზრ** (ჩოლ.) „ყანები (ზედმიწ. – **მირზა**-ან-ის ყანები)“ <- ქართ. მირზა <- არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **დაბ** „ყანა“ (შდრ. ს.-ქართვ. ***დაბ**-)“...

ვინაიდან უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით), აქედან გამომდინარე ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს, როგორც უკვე ითქვა, ჰიბრიდულ ტოპონიმებში მონაწილე ნასესხებ ტოპონიმთა შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის, ასევე სესხებისას მიმდინარე ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციის წესების გარკვევა წარმოადგენს. ცხადია, ყველა ეს საკითხი მოხსენებაში დაწვრილებით იქნება განხილული.

ე ლ ზ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

დიალექტიზმები ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში

გამორჩეული, ღრმა და თემატურად მრავალფეროვანია ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება. ერთგან შემოქმედი წერდა: „ლიტერატურა იმიტომაა უსაზღვრო თავისუფლება და უმაღლესი ბედნიერება, რომ თვით სინამდვილის აღწერისასაც, საკუთარი ფანტაზიის უნარით მიკვლევულ გარემოში რადგან მუშაობ, თითქოს მთელი სამყარო შენს ნებას ემორჩილება“. სწორედ, სიტყვის ძალითაა, რომ „მთელ სამყაროს იმორჩილებს“ პოეტი. ფრიდონ ხალვაში მისივე პოეზიის, პროზის, ეტიუდების, მინიატურებისა თუ მემუარული ჩანა-

წერების ტევადი თემატიკის გაცნობას, სინამდვილისა და პერსონაჟთა ბუნების წარმოსახვას, სხვადასხვა საშუალებებით ახერხებს, მაგრამ მთავარი საშუალება მწერლის სიტყვა, მისი ლექსიკაა.

ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის სიტყვიერი ფონდის გამდიდრების წყარო ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველება, დიალექტები, კილოკავებია. ბევრი ლექსიკური დიალექტიზმი თუ გამოთქმა მწერლობის, ფოლკლორის, ხალხური ტექსტების გზითაა შეტანილი ენის ლექსიკურ ფონდში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება. მის შემოქმედებაში, არა მარტო პერსონაჟთა, არამედ ავტორისეულ მეტყველებაშიც, ბევრი დიალექტური სიტყვა - გამოთქმა გვხვდება. ეს ლექსიკური ერთეულები ბუნებრივად, თვითნაბადად, ძალდაუტანებლადაა მოხმობილი მწერლის ენაში და თან უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ამით იქმნება ისეთი ემოციურ-ესთეტიკური ფონი, რომ მკითხველი გრძნობს სიტყვის ძალას, ღრმად იხედება სიტყვის სულში. აღნიშნულის ნათელსაყოფად უამრავი ლექსიკური ერთეულის დამოწმება შეიძლება: ამოკოკრა, ახაჭუნება, ჩაფუნჩხება, აფლიკვინება, დადიჯმაჯული, წაპინკვა, მობაქსუნება....

მოხსენებაში აღნიშნული ტიპის ლექსიკურ ერთეულებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ლექსიკური დიალექტიზმების ოსტატური გამოყენება სტილიზაციის ერთ-ერთი ხერხია პოეტისათვის. მართალია, მწერალი უხვად, ხვავრიელად იყენებს აჭარული დიალექტის ფორმებს, მაგრამ ეს არ ქმნის უხერხულობას, არ „ყვირის“ ფორმა. უფრო მეტიც, ეს დიალექტური ფორმები უკეთ წარმოაჩენს გარემოს, ყოფას, პერსონაჟს, მათ ფსიქოლოგიას; ალამაზებენ და ბუნებრივს ხდიან მათ მეტყველებას. შესაბამისად, ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება სახასიათოა ლექსიკურ-დიალექტოლოგიური კუთხითაც.

ტარიელ ფუტკარაძე, საიდ მულიანი

ფერეიდნული მეტყველების სახესხვაობებისათვის

არაოფიციალური მონაცემებით, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა 100 000 აღწევს, თუმცა ქართულენოვანი იდენტობა შემონახული აქვს სავარაუდოდ 50 000 კაცს, ამათგან დაახლოებით 30 000 კომპაქტურად ცხოვრობს ფერეიდანში.

ფერეიდანი ირანის ოთხ გუბერნიას – დარანს, ბოინ-თორელს (მიანდაშოს), ფერეიდუნშაჰრსა და ჩადიგანს – მოიცავს. ფერეიდანში 200-მდე სოფელია, სადაც დაახლოებით 100 000 ადამიანი ცხოვრობს; მათი მხოლოდ მცირე ნაწილი არის ეთნიკურად ქართველი. ქართული სოფლები გაფანტულია თურქების, სპარსების, ბახტიარების („ქურთების“) და სომხების სოფელთა შორის. ქართველები მხოლოდ ბოინ-თორელისა და ფერეიდუნშაჰრის 9 სოფელში შემორჩნენ. ქართველთა დასახლებების ცენტრია ქალაქი ფერეიდუნშაჰრი ანუ მარტყოფი (აქაური ქართველები „მარტყოფს“ შინაურულად „სოფელს“ უწოდებენ). მარტყოფს 15-35 კილომეტრითაა დაშორებული სხვა ქართულენოვანი სოფლები: ჩულრუთი, სიბაქი (ვამლოვანი), ჯაყყაყი, ხუნგი; ახჩა, ბოინ-თორელი (მიანდაშოთი), დაშკასანი, აფუსი.

ადრე ითვლებოდა, რომ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველება ყველაზე ახლოს დგას ინგილოურთან, რომელიც „წარმოშობით ქიზიყურის ღვიძლი ძმა უნდა იყოს“ (არნ. ჩიქობავა, 1926; იხ., იქვე, ფერეიდნული – „კახურ-ქიზიყურ-ინგილოურის ნაგლეჯი“), რამდენადაც შაჰ-აბასმა სწორედ კახეთ-ჰერეთიდან გაასახლა ქართველები. შდრ, ასევე: თ. უთურგაძის, დ. ჩხუბიანიშვილისა და ჯ. გიუნაშვილის სტატიის სათაური: „დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში (ქართული ენის კახური დიალექტის ფერეიდნული კილოკავის მასალაზე) /ქართული ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981/. მეტ ფაქტობრივ მასალას ემყარება, შესაბამისად, უფრო ლოგიკურია ახალი თაობის მკვლევართა დასკვნა, კერძოდ, ლ. ბაკურაძისა და მ. ბერიძის აზრით, რამდენადაც „ირანში ქართველთა გადასახლება ხდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონიდან (საინგილო – ისტორიული ჰერეთი, ქართლი, თიანეთი,

მესხეთი, თბილისი...)... ფერეიდნული დიალექტი განსხვავებულ დიალექტურ შრეებს მოიცავს. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე მოხდა შიდადიალექტური გათანაბრება „დიალექტური კუნძულისათვის“ დამახასიათებელი გაწონასწორების კანონის შესაბამისად (ვ. ჟირმუნსკი), რაც საბოლოოდ გახდა ფერეიდნულის, როგორც ცალკე დიალექტის, ჩამოყალიბების საფუძველი“.

თანამედროვე დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით შეუძლებელია ფერეიდნული ჩაითვალოს ერთი რომელიმე ცოცხალი ქართული (ქართველური) კილოს „ძმად“, ნაწილად ან კილოთა ნარევიად. დღეს, ფერეიდნულს, როგორც ერთ-ერთ ქართველურ ქვესისტემას, ქმნის 400 წლის წინანდელი არქაული აღმოსავლურქართული ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური დაკონსერვებული სიტყვა-ფორმები, „დიალექტური კუნძულისათვის“ დამახასიათებელი ახალგანვითარებული იმანენტური თავისებურებანი და უცხო ენების (სპარსულის, თურქულის...) გავლენით გაჩენილი სხვადასხვა სახის ლექსიკური, ფონეტიკური თუ სინტაქსური ხასიათის მახასიათებლები.

ძირითადი ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით **ფერეიდნულ ქართველთა სოფლები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაავიყოს:**

- თორელ-ბოინი, დაშქსანი, ახჩა (ცენტრი: თორელი);
- მარტყოფი, ჩულრუთი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყჯაყი, ხუნგი (ცენტრი: მარტყოფი).

ამ ორი ჯგუფის შესაბამისად, სპეციალურ ლიტერატურაში ფერეიდნული ქართული მეტყველება ორ ძირითად კილოკავადაა გაყოფილი: ზემო და ქვემო ფერეიდნული (დ. ჩხუბიანიშვილი 1999 და სხვ.). ვფიქრობთ, უფრო გამართლებული იქნება, ფერეიდნული მეტყველების სახესხვაობის სახელებში აისახოს გეოგრაფიული სახელწოდებები; შესაბამისად, ფერეიდნული მეტყველების დასახელებულ ორ ვარიანტს წარმოვადგენთ სახელწოდებებით: **თორელური და მარტყოფური**. ჯაყჯაყის ქართული მეტყველება მარტყოფლისაგან მეტ-ნაკლებად სხვაობს: განსხვავებულობას აპირობებს ბაზტიარული ენის მეტი გავლენა.

ფერეიდნული ქართულის სახესხვაობების წარმოსაჩენად ქვემოთ პარალელურად წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულსა და ენობრივ მოვლენას:

ფერეინელ ქართველებში "ცუდის" აღსანიშნავად სამი სიტყვაა გამოყენებული: თორელურში – **გონჯი**; მარტყოფულში – **ყრალი** (გონჯი/ყრალი და მოხსენებაში განხილულ სხვა ლექსიკურ ერთეულთა ნაწილი დადასტურებულია არნ ჩიქობავას, მ. თოდუასა და მ. მაჭავარიანის, დ. ჩხუბიანიშვილის, ლ. ბაკურაძისა და მ. ბერიძის უკვე გამოქვეყნებულ ფერეიდნულ სალექსიკონო მასალებში); საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ფერეიდანის ყველა ქართული სოფლის მეტყველებაში „ცუდის“ ნაცვლად გამოიყენება „ვაგლახიც“.

შდრ., ასევე:

ბიგოლა – თორელი: **მამუა** (ბაიტა მამუა; შუალა მამუა); მარტყოფი: **ზანამუ** (სპარს.);

მაწონი – თორელი: **წ(ვ)ელა**; მარტყოფი: **ყათული** (თურქ.);

წყევლის ფორმულა – თორელი: **სიყმემკვდარი**; მარტყოფი:

შავწელმოსული;

არ გესმის – თორელი: **არ შოგოსმების**; მარტყოფი: **არ გესმის**;

საქათმე – თორელი: **საქარმო**; მარტყოფი: **საქათმო**;

ჩრდილი – თორელი: **ჩირდილი**; მარტყოფი: ქოლგა;

დავიღალე – თორელი: **დაგშერ**; მარტყოფი: **დაიღალე**;

კიტრი – თორელი: **კიტრა ხილა**; მარტყოფი: **კიტრი**;

უსაქმური – თორელი: **ცუდი**; მარტყოფი: **ბეგარი**;

საზამთრო – ახჩა: **ზამთრული**;

ნესვი – თორელი: **ნესი**; მარტყოფი: **ყარფუზა**;

ნიგოზი – თორელი: **ხატრუკი**; მარტყოფი: **კაკალი**;

შდრ.: თორელი, მარტყოფი: **ჭერემი**; ახჩა: **წირანა...**

აღსანიშნავია, რომ თორელურში დადასტურებულია სიტყვების ნაწილი (მერე, ნესვი, ჩრდილი, კარაზანა, (და)ტევა...) მარტყოფულში აღარ ახსოვთ. თორელურში თვალშისაცემია უფრო სპარსული ნასესხობები, მარტყოფულში კი – თურქულიც.

თორელურ და მარტყოფულს ყველაზე თვალსაჩინოდ განასხვავებს კავშირების გამოყენება: მარტყოფულში გამოიყენება „რო“ (<- რომ) კავშირი, თორელურში კი – ნაესხები **ქე/ქი**.

თორელურ მეტყველებაში ყურადღებას იქცევს, ასევე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ორმაგი წარმოება (მაგ., „ბიჭმამ ატირდა“) და ქართველურისათვის ნაკლებად დამახასიათებელი კუმშვა; შდრ.: მარტყოფული „ცხორები“ – თორელური „ცხრები“; მარტყოფული „ყორები“ – თორელური „ყრები“...

ფერეიდნული მეტყველების სახესხვაობების წარმოსაჩენად თუ დასახასიათებლად მოხსენებაში სოფლების მითითებით სისტემატიზებულია სხვა სიტყვა-ფორმებიც.

შ უ შ ა ნ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

ქართული სამწიგნობრო ენისათვის ტაო-კლარჯული კილოებში შემონახული ლექსიკის მნიშვნელობის თაობაზე

როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ოთხას წელზე მეტია, რაც ტაო-კლარჯული მეტყველება მოკლებულია სამწიგნობრო ენასთან კავშირს, მის დამაქვემდებარებელ კონტროლს, მოქცეულია უცხო ენობრივ გარემოში, ყოველდღიურად განიცდის თურქული ენის გავლენას. ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, ქართულმა ენამ ისტორიული ტაო-კლარჯეთის უმეტეს ნაწილში შეინარჩუნა თავისთავადობა.

ტაო-კლარჯეთის მკვიდრთა ქართული მეტყველება ამ კუთხის რთული ისტორიის წიაღშია აღმოცენებული. მასში ისმის ამ მიწაზე დატრიალებული ავბედითი ქარტეხილების გამოძახილი. ტაო-კლარჯული ქართულის თავისებურებანი, ენის შინაგანი შესაძლებლობების გამოვლენასთან ერთად, შეაპირობა ბერძნულ, სომხურ, არაბულ, თურქულ, ზანურ ენათა გარემოცვამ, მესხურ-აჭარულ დიალექტებთან ისტორიულად არსებულმა მეზობლობამ. ტაო-კლარჯულ ქართულს, როგორც პოლიტიკურად და კულტურულად მოწინავე მხარის მეტყველებას, საუკუნეთა განმავლობაში ძველი ქართული სამწერლობო ენის ჩამოყალიბებასა და გამდიდრება-განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ამ მხარის მეტყველება, მესხურთან ერთად იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყარო. ტაო-კლარჯეთის დღევანდელი ქართულის საფუძვლიანი შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ბევრ ფურცელს მოჰფენს ნათელს.

აქაურთა მეტყველებაში დაცულია ქართული ენის არქაული ვითარება. ამდენად, ჩვენ მიერ მოპოვებული ცოცხალი მეტყველების ნიმუშები ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართული ენის განვითარების ისტორიის უძველესი საფეხურების გასათვალისწინებლად.

ფონეტიკურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებათა გარდა, ტაო-კლარჯულ დიალექტებში დაცულია საინტერესო ლექსიკური მასალა. არქაული ლექსიკური ფენის გამოყოფა კი დიალექტური ლექსიკიდან დიალექტის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. აქაურთა მეტყველებაზე ხანგძლივი დაკვირვება ფასეულ მასალას იძლევა ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში დაუნჯებული არქაიზმების შესწავლისთვის.

წარმოდგენილ ნაშრომში ტაო-კლარჯულ დიალექტებში მოძიებულ არქაიზმთაგან ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულზე გავამახვილებთ ყურადღებას: **ბაბილო, ბორჯღალი, დაგლა, მოზღალვა, მორბედი, ნამსხმანი, პილწი, სამარტვილე, ტეზი, ფახაცი, ფეშუმი, ღრეკა, ცხრო, ხევისი,** და სხვ.

დავსძენთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა „ზღვაში წვეთის“ ტოლია. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არის ისეთი ხეობები, სადაც ქართველ მეცნიერს ჯერ კიდევ ვერ შეუღწევია. მათ შორის მეტად აღსანიშნავია არჯევანის ხეობა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ლექსიკური ერთეული ელოდება მკვლევარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამქვეყნიდან მიდიან იქაურ მკვიდრთა უხუცესი წარმომადგენლები და თან მიაქვთ ამ ხალხის ისტორიის ქარცეცხლში მახვილივით ალესილი ქართული სიტყვებიც. ამიტომ საშური, გადაუდებელი საქმეა, ტაო-კლარჯული ცოცხალი ქართული მეტყველების ნიმუშების დროულად შეგროვება, მისი მეცნიერული შესწავლა, რათა არ დაიკარგოს ქართული ენის ლექსიკის ძვირფასი საუნჯე.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

გრამატიკული „ომონიმიის“ ერთი შემთხვევა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და ზანურში

1. სახელთა ბრუნებისას ფრიად პრინციპულია **თავისთავადი** სახელისა და **მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების გამიჯვნა** (თავის-თავადია სახელი, რომელიც სხვა სახელთან (resp. ბრუნებად სიტყვასთან) არ არის სინტაქსურად დაკავშირებული).

თავისთავადი სახელების გრამატიკულ სტატუსთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური ხასიათისაა თედო უთურგაიძის დებულება: „**თავისთავადი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უთუოდ თანდებულიანია, მსგავსად პირის ნაცვალსახელებისა**“ (უთურგაიძე, 1986, 52).

უნდა დავამატოთ, რომ აღნიშნული ვრცელდება თანდებულის მნიშვნელობის მქონე ზმნისართებზეც, როგორცაა: წინ, უკან, ქვეშ, ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ), წინათ, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო, ახლოს, აქეთ, იქით, გაღმა, გამოღმა და სხვ.

2. **ფუძე + -ის/-ს** ნათესაობითი ბრუნვის ყალიბია. ეს, ასე ვთქვათ, „კანონიკური“ **ნათესაობითი ბრუნვის მოდელი** გამოიყენება **მხოლოდ მაშინ**, როცა ასე გაფორმებულ სახელს ახლავს სხვა **სახელი** (resp. ბრუნებადი სიტყვა): **ხის** სახლი, წყაროს წყალი, წიგნის კითხვა...

სხვა შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმად სახელდებული მონაცემი პრაქტიკულად იმავე სტატუსისაა, რაც აქვს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს სათანადო კონტექსტში: *ჩემ-, *შენ-, *ჩვენ-, *თქვენ-. ეს ფორმები ცალკე არ იხმარება, არამედ სხვა სიტყვასთან დაკავშირებით, მაგ., **ჩემ-**თვის, **შენ-**გან, **ჩვენ** მიერ, **თქვენ-**თვის (აკაკი შანიძე). ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი (თანდებულთან ან თანდებულის ფუნქციის მქონე ზმნისართთან ერთად) მხოლოდ ზმნა-შემასმენელს უკავშირდება: ბავშვის-თვის აკეთებს, სახლ-ის წინ გააჩერა...

4. ყოველივე ამის მერე **არააქტუალური ჩანს** ცნობილი და საყოველთაოდ მიღებულ-გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ,

რომ ფუძეუკვეციელი სახელების მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები **ერთმანეთს ემთხვევა**.

თავისთავად სახელებში არანაირი გრამატიკული ომონიმია არა გვაქვს; სხვაგვარად: **ფორმათა დამთხვევა გამორიცხულია, თუკი სახელი არც მსაზღვრელია და არც საზღვრული**.

მართული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ყველა ბრუნვაში გვაქვს „დამთხვევა“ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **ყველა შემთხვევაში მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია!**

ესე იგი, მიცემითისა და ნათესაობითის დამთხვევის საკითხი ამ კონტექსტშიც უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

და საერთოდ: ერთ პარადიგმაში არანაირი დამთხვევა არ შეიძლება გვექნოდეს! არსად!

სხვადასხვა პარადიგმის წევრია „წყაროს“ ამ კონტექსტებში: „წყაროს ეძებს“ და „წყაროს წყალი“.

4. ზანურში ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი საერთოდ არ იკვეცება, ანუ, ყველა ხმოვანფუძიანი სახელი ფუძეუკვეციელია, მაგრამ მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები, თუნდაც სხვადასხვა პარადიგმის მიხედვით, არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სათანადო ფორმანტები მასალობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან: მიცემითში გვაქვს **-ს**, ხოლო ნათესაობითში – **-იშ/-შ**.

ლაზურში დასტურდება ერთი საინტერესო შემთხვევა, როდესაც თითქოს შეიძლება დადგეს ფორმათა „დამთხვევის“ საკითხი: ზოგჯერ აქ ნათესაობითის ნიშნად **-ს** ვლინდება, ამდენად, ხმოვანფუძიანი სახელების მიცემითისა და ნათესაობითის ნიშნები იდენტური ჩანს (რ. ერკერტი ნათესაობითის ნიშნად ლაზურში **შ**-სთან ერთად **-ს**-ს მიიჩნევს და მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა: **ბინები-ს** ლობერი „ვენახის ლობე“, **ბაბა-ს** ონტულე (ორტულე) „მამის ბოსტანი“, **ბაბა-ს** ჯუმა „მამის ძმა“, **ჯუმა-ს** და „ძმის და“, **ბაბა-ს** ცხენი „მამის ცხენი“ და სხვ. ამას ახსნას ვერ უძებნის ნ. მარი, გაუგებრობად ან „გაქართველებული“ ლაზებისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს).

ამ შემთხვევაშიც ფორმათა კვალიფიკაციისთვის გადაამწყვეტია კონტექსტი: **სახელი + სახელი** კომბინაცია ნათესაობითის და არა მიცემითი ბრუნვის რეალიზაციის პირობაა.

ზანურში **თავისთავადი** სახელი მხოლოდ ზმნისართებთან დასტურდება. ეს არის მისი პრაქტიკული რეალიზაციის სექტორი.

საინტერესოა, რომ ქართული თანდებულისანი ვარიანტების ნაცვლად და შესაბამისად აქ გვაქვს ნანათესაობითარი, მეორეული ბრუნვები: დანიშნულებითი (კოჩიშო = ქართ. კაცის-თვის), დაშორებითი (კოჩიშე = ქართ. კაცისგან) და მიმართულებითი (კოჩიშა = ქართ. კაცისკენ).

რ ა მ ა ზ ქ უ რ დ ა ძ ე

ერთი ნასესხები სიტყვის შესახებ დიალექტებსა და თანამედროვე ქართულ პოეზიაში

დიალექტი ზოგჯერ ისეთ ნასესხებ სიტყვებს ან სიტყვათა ფორმებს ინახავს, როგორებიც დღეისათვის სალიტერატურო ენაში არ, ანდა აღარ გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ნასესხები სიტყვაა *მარმარი/მარმარა*, რომელსაც ქართლურ დიალექტში ზმნური და სახელური ვარიანტებით ვადასტურებთ: **ამარმარებს** – ასუფთავებს, აწვრიანებს; **მარმარი გააქ** – ძალიან სუფთაა, კარგად მოვლილია. *მარმარი/მარმარა* მარმარილოს აღნიშნავდა, თუმცა ქართლურში ეს სიტყვა ერთგვარად მნიშვნელობის გადაწევით გვხვდება.

მოხსენებაში წარმოდგენილია მსჯელობა ამ სიტყვის წარმომავლობაზე, მის ვარიანტებზე ძველ, საშუალო ქართულსა და ქართულ დიალექტებში. განხილულია მისი მიმართება *მარმარილო/მარმარინო* ფორმებთან და მოცემულია საგანგებო მსჯელობა ამ სიტყვის გამოყენების შესახებ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. კერძოდ, წარმოდგენილია ნიმუშები ქართლიდან, ახალგორის ხეობიდან, გამოსული პოეტის – მანანა ჩიტიშვილის ლექსებიდან, რომლებშიც *მარმარი/მარმარა-ს* არც კი ემჩნევა დიალექტური ელფერი და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ჩვეულ ლექსემად წარმოგვიდგება.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

წარ „წესი, რიგი“ ლექსემისათვის ქართულ დიალექტებში

ქართული ენის დიალექტებში ყურადღებას იპყრობს ლექსემა წარ-ის („რიგი, წესი“) მრჩობლად აღბეჭდილი ანტონიმური ლექსი-კურ-სემანტიკური ბუდე:

[I] დადებითი კონოტაციის მქონე – საკუთრივ წარი და მისგან წარმოებულნი, მაგ.:

ფშ. წარ-ი „რიგი, წესი“, ფშ. ხევს. წარზე(დ) „კარგად, რიგა-ნად; რიგზე; წესიერად, წესზე“ (შდრ. ქეგლ-ში: წარზედ „(ფშ.ხევს.) ზმნს. როგორც წესი და რიგია, წესზე, რიგზე || დინჯად“), ხევს. წარ-ზე შაყერის „მოაწესრიგებს; გამოუჯანმრთელებს“; ფშ. წარიწურას (ვულგ.) რიგრიგობით, წარამარა; ხან ის, ხან ეს“, ხევს. წარიწურით „ერთმანეთის მიყოლებით და სწრაფად (სვლა); მისვლა-მოსვლით“, ხევს., ფშ. ზენწარ-ი „წესრიგი; აზრი, გონება“, ხევს. ზენწარზე „წეს-რიგზე, წესიერად“, (ხევს. მიიზენწრებს „მიალაგებს, მოაწესრიგებს, წესრიგში მოიყვანს“);

[II] უარყოფითი კონოტაციის მქონე ოდენ წარმოებულნი, მაგ.: ხევს. უზენწრო „უწესრიგო, უთავბოლო, უშნო“; ფშ., ქიხიყ., თიან. წარწა, წარწ-ი „ძალიან თხელი მატერია, ჩითი, ძალიან გრილი, ცუდი ხარისხისა; გაცვეთილი“, ქართლ. წარეული „უწმინდური, ბილწი (ჭურჭელი)“, ხევს., ფშ., მთიულ. წარაუგონთ(ა) „წარამარა; ტუტუცურად, უგუნურად; უაზროდ, უთავბოლოდ; წარამარად“, ქართლ. წარაუგონო „დაუფიქრებელი, უთავბოლო ფშ., ხევს. გონწარი „გონი, ჭკუა. ითქმის უფრო გონიდან გადასვლაზე: „დიდ ყანწით გადამასმიეს, გადამერია“ და ხევს. გონწართგადავარდნილ-ი „გზა-კვალარეული; გონებარეული“, (შდრ. ხევს., ფშ. ზენწარ-ი „წესრიგი; აზრი, გონება: „წმინდა გიორგივ, მიშველე, ნუ ამირიე ზენწარი“); ასევე: მესხ. წარაწურა „სუსტი და მიკნავებული, უუნარო, დასუსტებული ადამიანი“, ხევს., ფშ., ქართლ. წარამარა/წარემარე „ტუტუცური; უჭკუო და სხვა.

წარ- ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის მრჩობლი (პოზიტიურ-ნეგატიური) კონოტაციის სემანტიკური არჩევანის მოტივის (მიზეზის) ამოსაცნობად, ვფიქრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, ერთი

მხრივ, **წარ-**ის აღნიშნული ანტონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება: [I] „აზრი, გონება; წესზე, რიგზე; წესრიგი...“ -> [II -ოდენ წარმოებულნი] „გონებაარეული, უგუნურად; უაზრო(დ), უთავბოლო(დ); დაუფიქრებელი...“, მეორე მხრივ კი – ბუდისგარე ტიპოლოგიური ენობრივი მონაცემები (ქართ. **წამდაუწუმ, წამდაწამ** „ზმნს. ყოველ წამს, ხშირ-ხშირად, წარამარა“, გულ. **წამ-უწამოთ** „განურჩევლად, უდროო დროს, წამდაუწუმ, მუდამ“...), რითაც დგინდება კიდევ ერთი სამოტივაციო სემანტიკური სეგმენტი: [I] „თავის დროზე, დროულად“ -> [II] „წარამარა; უდროოდ“.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

პირის ნიშანთა გამოყენების თავისებური შემთხვევები დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში

მე-19 საუკუნეში დაიწყო მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების გამოყენება მიზნობრივად, სტილისტური დანიშნულებით, ძირითადად პერსონაჟის მეტყველებაში. ამგვარი ფორმები ვლინდება დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში, რომლის მოთხრობებშიც თავს იჩენს კახური (ქიზიყური) მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამგვარი ფორმების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად კახური დიალექტის შესწავლისათვის, თუ რა ცვლილებები მოხდა ორი საუკუნის მანძილზე და როგორია ამ ცვლილებათა დინამიკა.

დიალექტისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება არ გამოიყენება მაჩხანელის შემოქმედებაში. თვალში საცემია პირის ნიშანთა დიალექტური ვარიანტები.

პირის ნიშნების მიხედვით, ზოგადად ქიზიყური სხვა დიალექტებისაგან განსხვავდება. მისი გამოყენება მრავალფეროვანია. მწერლის შემოქმედებაში ძირითადად **ქონა, ყოლა** ტიპის ზმნებთანაც შეინიშნება მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა დაკარგვა:

„მიწა შემჭამს, არა, სადარდებელი **მაქ**“ (მაჩხანელი, 1974: 79);

„ნეტავი შენ, ციკო, რომ არაფრის დარდი არა **გაქვ**“ (მაჩხანელი, 1974: 79);

„როცა ხალხს არც სწავლა **აქვ**, თავის ეკლესია-სარწმუნოება დაუვიწყნია“ (მაჩხანელი, 1974: 132).

მსგავსი პირის ნიშნის მოკვეცილი ფორმები ამჟამადაც დასტურდება ქიზიყურში. განსხვავებულია მესამე პირის ფორმა **ქონა** ზმნასთან იმით, რომ ხშირად გვხვდება ზმნა **ააქ** (ჩამოკვეცილია **ვ** ბგერა და ორი **ა** ხმოვანი იყრის ერთად თავს), თუმცა იშვიათად **აქვ** ფორმაც დასტურდება.

-ამ და **-ავ** თემისნიშნიან ზმნებთან მესამე სერიის პირველ თურმეობითში შეინიშნება **ს** სუბიექტური პირის ნიშანთა კლება:

„დედაკაცი რატო **შეგიბამ** გუთანში?!“ (მაჩხანელი, 1974: 318);

„იტყვი კაცი ცის რისხვა **გადაუყლაპავ**“ (მაჩხანელი, 1974: 123);

მოთხრობებში **-ამ** და **-ავ** თემისნიშნიან ზმნათა მესამე სერიაში მესამე სუბიექტური პირის ნიშნის მოკვეცა ახლანდელი ქიზიყურის მსგავსია.

იმ პერიოდშივე კარგად არის ასახული **დევ-/დვ-** ზმნასთან მესამე სუბიექტური პირის **ო** ნიშნის ნაცვლად **ვა-**ს გამოყენება. გვხვდება ამგვარი ფორმები: **დაიდვა, ამოიდვა** და ასე შემდეგ:

„მარცხენა ილიაში ქალი **ამოიდვა**“ (მაჩხანელი, 1974: 144);

„შავ ქვას მოგიტან, რო გულზე **დაიდვა**“ (მაჩხანელი, 1974: 80);

დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში **ჰ-**, **ს-** პრეფიქსები გვხვდება ერთპირიან ზმნებთან მეორე სუბიექტური პირის ნიშნად:

„შენ ვინა **ჰგდიხარო**, რომ მე შენ შაგირთაო“ (მაჩხანელი, 1974: 155).

პირდაპირი და ირიბი ობიექტის აღსანიშნავად **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები გამოიყენება როგორც პერსონაჟის მეტყველებაში, ასევე მწერლის ენაშიც. დილექტს აქვს გავლენა მწერლის ენაზე:

ჰ- და **ს-** პრეფიქსები გვხვდება **პირდაპირი ობიექტის აღსანიშნად**:

„რას არ **ჰნახავს** ადამიანი სიკვდილამდინ“ (მაჩხანელი, 1974: 118);

„შემდეგი ლექსი **დასწერა** იქვე ყარანდამით“ (მაჩხანელი, 1974: 55).

ირიბი ობიექტის აღსანიშნად:

„ამ დღეთ სუ მარგალიტის ცრემლები **ჩამაჰდის** ი დახატული თვალებიდან“ (მაჩხანელი, 1974: 45).

პირის ნიშნათა გამოყენების ეს მოვლენები თანამედროვე ქიზიყურისთვის მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვლინდება. ქიზიყურში **ჰ-** და **ს-** პრეფიქსის ნაცვლად დიალექტური ნორმაა **ღ-** მაწარმოებ-

ლის გამოყენება: **მხნამს, ჩამაიდის**. მაჩხანელის შემოქმედებაში არ დასტურდება **ჰ** პრეფიქსი პირის ნიშნად, თუმცა ცოცხალ მეტყველებაში უნდა ფიქსირდებოდეს ამ პერიოდის ქიზიყურ კილოკავშიც და კახურ დიალექტშიც. იშვიათად შესაძლოა შეგვხდეს მეორე სუბიექტური პირის ნიშნად **ს-**, **ჰ-** პრეფიქსები: **სდგევხარ**, ანდა ობიექტური პირის აღსანიშნად: **ჰკითხულობ**, თუმცა მხოლოდ სალიტერატურო ქართულთან დაახლოების მცდელობის გამო.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები სვანურში

სხვა ქართველური ენების მსგავსად სვანურიც მდიდარია კომპოზიტი გეოგრაფიული სახელებით, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ნაწილი გენეტიურმსაზღვრელიანია.

მართულმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელი შეიძლება შეგვხვდეს ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ნიშნებით: **-იშ**, **-წშ**, **-ეშ**, **-ემიშ** (შტო-გვარის სახელთაგან წარმოებულ ტოპონიმებში კი ნათესაობითი წარმოებულება **-შა**, **-შერ** ფორმანტებით), მსაზღვრელი წარმოდგენილია ხან ბრუნვის ნიშნის სრული დაცვით, ხან ნაწილობრივ და უცვლელად უკავშირდება საზღვრულს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში.

გუმბშიშ სგიმილდ – „გუმბშიშის ვეძუკა“, მჟავეწყალი (მესტია, კეცნანი, ლახამულა), საძოვარგუმბშიშ-თან

ბაბწშ ნაქორ – „ბაბუს ნასახლარი“, ნასახლარი (მესტია, ზ. მარდი, ჭუბერი)

აფხზარე ნენზილდარ – „აფხაზების სოჭუნები“, საძოვარი (მესტია, ნაკრა)

თხერემი ლიცილდ – „მგლის წყალუკა“, წყარო (ლენტეხი, ლასკადარი)

არაჩიანშა ნალზიგუ – „არაჩიანთ ნაცხოვრები“, ნასახლარი (ლენტეხი, ჭველიერი)

სორეხშერ დარ – „სორეხანთ ხეობა“ სათიბი (მესტია)...

გენეტიურმსაზღვრელიან ტოპონიმებში არცთუ იშვიათად ორწევრიანი მსაზღვრელიც დასტურდება, ასეთ შემთხვევაში მსა-

ზღვრელად ან კომპოზიტი გვევლინება, ან კომპოზიტური შესი-
ტყვება:

ოჯ-მეხტრად ტუბა – „კლდე-მორღვეულის ტბა“ ტბა (ლენ-
ტეხი, მახაში)

ცხეკ-ჯოდი იდაბ – „ტყე-გრძელის ყანა“, ყანა (ლენტეხი, ლექ-
სირი)

ბერტიშ თანლიშ კარც – „ბეროს უღელტეხის პირი“ კლდეკარი
(მესტია, ბერო), გზა-გადასასვლელიბეროს უღელტეხილიდან ჩრდ.
კავკასიაში.

გგბიშ ქტანშ გორაგ – „ფიჭვის ჭიუხვის გორა“, გორა (მესტია,
ხაიში), კლდიანიგორა...

მიუხედავად იმისა, რომ ჭარბობს ერთწევრიანი საზღვრულე-
ბი, დასტურდება აგრეთვე, ტოპონიმთა ნაწილი, სადაც გენეტიურ
მსაზღვრელსორწევრიანი საზღვრული ახლავს:

გიორგი ნაყაჰ ღარ – „გიორგის ნაზვავარი ღარი“,ღელე, სამო-
ვარი (მესტია, კალა)

ზაგარი ლალგან შუკუ – „ზეგანის სახნავი გზა“ გზა (ლენტეხი,
გულიდა)...

მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება მსაზღვრელ-სა-
ზღვრულის პოზიციისა (ინვერსიული წყობის) და რიცხვის (მსა-
ზღვრელი მრ. რიცხვში, საზღვრული მხოლობითში; საზღვრული
მრ. რიცხვში მსაზღვრელი მხოლობითში; მსაზღვრელ-საზღვრული
ორივე მრ. რიცხვში) მიხედვით დაჯგუფებული გეოგრაფიული სა-
ხელები.

ნ ი ნ ო შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე

მოდალობის კატეგორია, ნაწილაკ-მორფემოიდები

და მათი სემანტიკური ფუნქციები

ქართული ენის დიალექტებში

ნაწილაკთა სისტემა ქართულ ენაში საკმაოდ მდიდარი და
ფუნქციურად დატვირთულია. ზოგჯერ ნაწილაკი გვევლინება სხვა-
დასხვა გრამატიკული კატეგორიის წარმოების დამატებით საშუა-
ლებად, ზოგჯერ კი მისი ფუნქცია გარკვეული სემანტიკური კატე-

გორიის გამოხატვას ემსახურება. ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართული ენის მონაცემების ახლებურად გაანალიზებას მოითხოვს. ამის მაგალითად გამოდგება მოდალობის კატეგორიის ანალიზი, რომლის გამოხატვის ერთ მთავარ საშუალებას, კილოსთან ერთად, სწორედ ნაწილაკი წამოადგენს. ნაწილაკთა სისტემის შესწავლა უკავშირდება არა მხოლოდ თავისთავად ნაწილაკთა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს, არამედ გულისხმობს გარკვეული სემანტიკური კატეგორიების გამოვლენას ენაში და მათ ფუნქციურ-პრაგმატულ ანალიზსაც. ქართული ენის დიალექტების კორპუსი ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა: <http://corpora.co/#/>

დიალექტებში ნაწილაკთა სისტემა, რა თქმა უნდა, იმეორებს საერთო ქართული ენის სისტემას, მაგრამ როგორც დამოუკიდებლად არსებული ენობრივი ქვესისტემები, ისინი ასევე მოიცავენ ისეთ ნაწილაკ-მორფემოიდებსა და ელემენტებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ არსებობს. ამდენად, დიალექტთა მონაცემები ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციებისათვის მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელი მასალაა.

ნაწილაკ-მორფემოიდთა ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მხარეა მათი სემანტიკური ფუნქციის შესახებ მსჯელობა. დიალექტთა მონაცემების მრავალფეროვან მასალაში რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი. ეს სემანტიკური ჯგუფები და მათი შემადგენელი ნაწილაკები შეიცავენ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება მთქმელის მიერ ფაქტთა და მოვლენათა მისეულ აღქმასა და შეფასებას; ეს კი შესაძლებლობას იძლევა ისინი მოდალობის კატეგორიის გამომხატველ ენობრივ საშუალებებად მივიჩნიოთ. მათი ანალიზი ორმხრივი შედეგების მომცემია: ერთი მხრივ, იკვეთება ცალკეულ დიალექტებში გამოვლენილი ნაწილაკები და მათი სემანტიკური ფუნქციები, ხოლო მეორე მხრივ, აღიწერება მოდალობის კატეგორიის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქვესისტემებში, ანუ დიალექტებში. საბოლოოდ კი, ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ მოდალობის კატეგორიის გამომხატველი ზოგადი სისტემის შესახებ ქართულ ენაში. (კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“).

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში

საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა ფართოდ არის წარმოდგენილი მეგრულში. საკვლევად გამოყენებულია ოთარ ქაჯაიას *მეგრულ-ქართულ* და ალიო ქობალიას *მეგრულ* ლექსიკონებში დადასტურებული, აგრეთვე, ჩვენ მიერ სამეგრელოში მოპოვებული მასალა.

გამოიყოფა საუბრის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები:

რაგად-ი || **რაგადუა** 1. „ლაპარაკი“ (რაგადანს „ლაპარაკობს“), 2. „სიტყვა“. მომავალში იტყ-უ ან თქუან-ს ენაცვლება. შდრ. ლეჩხ. **რაგად-ი**; **ჩიება** „საუბარი, მბობა, ლაპარაკი, მოყოლა“ (იჩიებუ „ლაპარაკობს“). ესეც ფუძემონაცვლეა. მასაც იგივე სიტყვები ენაცვლება, რაც **რაგად-ი** || **რაგადუა-ს**; **თქუალა** || **თქუმალა** (თქუანს „ამბობს, იტყვის“).

გარდა ზოგადი სახელებისა, გვაქვს ისეთი ერთეულები, რომლებიც გადმოსცემენ საუბრის ნიუანსს. შესაბამისად, მასალა შეიძლება დაჯგუფდეს იმის მიხედვით, თუ ვინ საუბრობს ან როგორ საუბრობს:

რაქვალ-ი || **რაქვალუა** „რახრახი, მონოტონურად ლაპარაკი, ლაქლაქი, ლაყბობა“ (რაქვალან-ს „რახრახებს, მონოტონურად ლაპარაკობს, ლაყბობს“).

ფუ(რ)ცქინ-ი || **ფუ(რ)ცქინუა** „ჩურჩული, ჭორაობა, ბუტბუტი“. (ფუ(რ)ცქინენს „ჩურჩულებს, ჭორაობს, ბუტბუტებს“) . შდრ. ლაზ. **ფურჩოლი** „ჩურჩული“.

ზოჯუა „ბრძანება, ბრძანებულება“ (ზოჯ(უ)ნს „ბრძანებს“).

მოქმედების ნიუანსს, ზოგ შემთხვევაში, ბგერწერა განსაზღვრავს (ტ. გუდავა): **ჯგარ(რ)ჯგალი** „ხმამაღლა, მოურიდებელი ლაპარაკი – ჯაჯლანი, ჭაჭყანი, რომევა“ (ჯგაჯგალანს „ხმამაღლა, მოურიდებლად ლაპარაკობს“).

გვხვდება ისეთი ერთეულები, რომლებსაც მხოლოდ მრავლობითის ფორმა გააჩნიათ: **ღარღალ-ი** || **ღარღალუა** - მომაბეზრებელი, უაზრო ლაპარაკი, ყბედობა, ხორხოცი, ხმაური(იღარღალენა „მომაბეზრებლად, უაზროდ ლაპარაკობენ, ყბედობენ, ხორხოცებენ, ხმაურობენ“). შდრ. ლაზ. **ღარღალ-**: **ოღარღალუ** „ლაპარაკი, საუბარი“, იმერ. **ღარღალი** „ლაპარაკი, თქმა, ძახილი“; **ღაღად-ი** „ღაღადი“ (ღა-

დადენა „მხიარულად საუბრობენ, ილხენენ“). შდრ. ქართ. **დადადება** „ხმამალა თქმული მოწოდება“, გურ. **დადადურ-ი** „ხმამალა და ტკბილი გალობა“. || გადატ. „გალობის მსგავსი მოთქმა“.

საუბრის შინაარსი, გარდა ცალკეული სიტყვებისა, გადმოიცემა მეგრული **ნინა** „ენა“ ან სხვა სიტყვების შემცველი იდიომებით. მაგალითად: **ნინაში ეკოზინდუა** „ძალით ალაპარაკება (ენის ამოდგემა)“, ზედმიწ. „ენის ამოზიდვა (ამოთრევა)“; **შურიში ქალუა** 1. „ხმის ამოდება“; 2. სუნთქვის შეჩერება.

მოქმედების შინაარსი ზოგჯერ აღწერთად არის გადმოცემული: **გოკვათილი რაგადი** „პირდაპირი, მიუკიბ(ავ)-მოუკიბავი ლაპარაკი“, ზედმიწ. „გაჭრილი ლაპარაკი“.

რ ე ვ ა ზ შ ე რ ო ზ ი ა

სალიტერატურო და დიალექტურ ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

1. ენობრივი სისტემის სარეალიზაციო ზეპირ და წერით ფორმათა ურთიერთმიმართების შესახებ აკად. არნ. ჩიქობავას აღნიშნული აქვს, რომ „სამწერლო ენა სათანადო ხალხის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე იქმნებოდა (უპირატესად ერთი დიალექტის საფუძველზე)“.

წერთი მეტყველების ჩამოყალიბების შემდეგ ყველანაირი ზეპირი მეტყველება მასთან მიმართებით დიალექტურ ფორმას წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანი მათ „მდაბიურს“, გლეხურს უწოდებს („ავენანთა“, „მსოფლიოთა“ მეტყველება). მაგრამ, თანამედროვე ვითარების ამსახველი კვალიფიკაციები ყოველთვის გამოსადევია თუ არა სულხან-საბას დროინდელი ან „ვეფხისტყაოსნამდელი“ მონაცემებისათვის? „ვეფხისტყაოსნის“ **ხვალმე** („**პირველ-ხვალმე**“) და სულხან-საბასეული **ხვარზალი** მხოლოდ თანამედროვე ნორმებით არის დიალექტური.

2. დღევანდელი მეგრულ-ლაზური მეტყველების არაერთი ძირ-ფუძე სათანადო სალიტერატურო ფორმასთან მიმართებით შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

უძველეს ტექსტებში დადასტურებული **მირულება** (მითვლემა, მიძინება), **მირულებული**, **რულილი**, **კუმინვა** (კვნესა, გმინვა), **მოწილვა** (მოკრეფა), **ღუმინვა** (ღულუნი), **განლიგება** (გაშტერება, განცვიფრება), **კამბეში** (**კამბეჩი**), **წიდა** (ჭუჭყი), **ზორკილი** და სხვა ლექსიკური ერთეულები შესაბამისი სემანტიკური დატვირთვით მოიხმარება მეგრულში. ძველ სამწერლო და, სავარაუდოდ, ზეპირ მეტყველებასთან მიმართებით ისინი საერთოქართველური, არადიალექტური სიტყვა-ფორმებია. საინტერესოა, რომ სულხან-საბა მათ „მდაბიურს“ არ უწოდებს. თანამედროვე სალიტერატურო ენის პოზიციიდან კი ეს ერთეულები არქაიზმებად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, ლექსემათა ამ ჯგუფში ვერ შევა **ზორკილი**, **ქარიშხალი**, **შური**, **ჩინებული** ტიპის მასალა, რადგან ისინი უცვლელად მკვიდრობენ ძველსა და ახალ მწერლობაში.

ა ს მ ა თ შ ო ნ ი ა

სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართული ენის დიალექტებსა და მეგრულ მეტყველებაში (დანაშნულების სახელები)

ქართული ენის დიალექტებსა და მეგრულ მეტყველებაში ძირითადად ისეთივე სახელები იწარმოება, როგორც სალიტერატურო ქართულში. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ის ფონეტიკური თავისებურებები, რომელიც გამოვავლინეთ სიტყვაწარმოებით აფიქსთა შედარებისას.

თანამედროვე ქართულში დანაშნულების სახელთა ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი **სა-თ**. იგი დაერთვის ნებისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ერთ-, ორ-, სამ- და მეტმარცვლიან ფუძეს – ქართულსაც და უცხო წარმომავლობისადაც, ძირეულ ფორმასაც და ნაწარმოებსაც. მეგრულ მეტყველებაში დანაშნულების სახელები წარმოდგენილია **თ-** და **სა-** პრეფიქსებით, პრეფიქსთან ერთად სიტყვას ჩვეულებრივ სუფიქსებიც ახლავს. სახე-

ლისგან ნაწარმოებ სახელებში მეგრული **ო-**, **ნო-** პრეფიქსებს იყენებს, პირველი ქართულ **სა-**ს უდრის, მეორე **ნა-**ს.

დასკვნები გაკეთებული იქნება ცალკეულ დიალექტთა მასალის შეპირისპირებით.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ზმნურ ფორმათა აქტივაცია და იდიოსტილის საინტერესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოეზიიდან

ზმნურ ფორმათა აქტივაცია მრავალმხრივ საინტერესო მოვლენაა ენის მოდელირების სფეროდან დაწყებული ჩვეულებრივ საუბრულ რეგისტრამდე. ენა, როგორც შემოქმედება და ენა, როგორც შემოქმედების პროდუქტი ქართული ზმნის მარადიული სიცოცხლისუნარიანობისა და ახალ-ახალი ესთეტიკური სამყაროს გაჩვეულებრივების გზაზე უპირველესად პოეზიის სფეროშია ხელშესახები (ბევრ სხვა რამესთან ერთად, უთუოდ, ამასაც გულისხმობს გენიალური ფრაზა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“).

მოხსენება ეხება თანამედროვე და უაღრესად საინტერესო ქართველი პოეტის – ქეთევან დოლიძის ლირიკას: მხატვრული სტილის საერთო ფონზე განხილულია ინდივიდუალიზმად მიჩნეული ენობრივი და პოეტური ფაქტები, სახელდობრ **ზმნური ფორმები** პოეტის შემოქმედებაში. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამგვარ „პოეტურ ზმნურ ფორმებს“ მისი შემოქმედებიდან (2016 წელს გამოცემული პოეტური კრებულის – „ზეცის სარკეში“ – მიხედვით): *ვიჭირთ, მოიჟამსკნელებს, მოინარეკლებს, ჩამოგირითმოს, გამოგვაქარვებს, ჩამოკემსო, ეტოლფასება, აქსარავენე, აედარბაზე, ვილეღვო, შემოგობანო, ჩავიკრიფე, აეგორგალე, ვესანთლე, მიფქვილა, ვიკმიე, მათოვლა, მასეტყვა, მაქარა, მამზევა, გამოიციოცხლებს, გადავიურვებთ, გამომასვენეს, მივაცრიცო, ჩამოეთოფა, ავეფურცლები, გაფურცლავს, ჩამოგისეტყვავ, მოვუდაფნო, მოგიურვო, მიქვითვირებს, გვაფარნე, ვიფონო, ავებადაგე, გამოვფურცლე, გამოვიზლაპრე, ამოვიხაპე, შემოვეთელე, გაეთენება, შემოეცელა, შემომიციოტა, ამამ-*

თვარიეს, მოგინანიებს, ჩამოიწვიმებს, ჩამოიმძივებს, ვიჟოზეფინებს, აუჩაუქდა, მათოვდი, აგეზლაპრე, აგელანდე, მომინისლე, ჩამოგადნები, ამორძალეზა, მიგნაცრავენ, ჩავინაწნავე, გადავიძლაშე, ავემლერები, ვიხალიბე, ამოვეზელო, ამაწანწალო, აგექვითინე, ამომითილე, აგემოცხარო, ავედენთები, ჩავენაცარე, ავეწანწალე, ვიდიეზებ, ვიმაჟორებ, აგემთვარიელე, ჩამაზიარე, ავაქარვასლებ, ამომელიტრა, ვიძარმარე, ვინალე, მთბილობდა, თივობდა, ავეზარდახში, გაასაამო, გავილამპარო, ვენენები, ვიტრუნავ, გვარტომობს, მეთევა, გებრდღვი-ალეზა, მოგვიღვარცოფებს, მიგათოვე, დამეკოცნება, მცრემლავეს, ავეჩხრიკები, ავეცეტები, ვიცხვარო, ავეყავილდე, ვიწყარო, მპენტა, გავიკვირტები, ჩამოიცინა, მომინამქეროს, გიმშობლეს, ვრითმე, გადამახიდე, ჩამოვესანთლე, დამიმძივე, გამოითოვა.

ჩამოთვლილი „პოეტური ზმნური ფორმები“ მოხსენებაში გაანალიზებულია კონტექსტთა თანახმად იდიოსტილის, სიტყვათქმნადობისა (მოდელორების) და შესაძლო ლექსიკოგრაფიული სტატუსის თვალსაზრისით.

მ ე რ ა ზ ჩ უ ხ უ ა

ქართველური თობელ-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

ქართულ სამეცნიერო სივრცეში მჭედლობის მფარველად აღიარებული **თობელ-** ფუძე შეიძლება ასევე ბიბლიიდან ცნობილი **თაბალ-**ის ზანური შესატყვისი იყოს (შდრ. ბერათშესატყვისობა ქართ. ა : ზან. ო; ქართ. ა : ზან. ე (< *ო)). თუმცა, ამავდროულად, უცნობია მოხმობილ ალომორფთა ამოსავალი მნიშვნელობა.

თაბალ-/თუბალ-ის ეტიმოლოგიის გარკვევაში გვეხმარება ჰურიტული tab-iri „მეტალის მწრთობელი“, ზმნური tab- „მეტალის წრთობა“ სიტყვები. ჰურიტული tabiri მიჩნეულია შუმერული TIBIRA „მეტალის მუშა/მკეთებელი“ სიტყვის წყაროდ, აქვე მოიხმობენ უგარიტულ TBL „მჭედელი“ ფორმას (გ. რუბიო), რომელიც ისევ ჰურიტულიდან მომდინარედ მიიჩნევა (დიტრიხი, ლორენცი).

ჩვენი თვალსაზრისი განსხვავებულია, ვინაიდან ზემოთაღწერილი **ლ-**ვარიანტიანი ფორმების ჰურიტულიდან გამოყვანა ფონე-

ტიკურად დაუსაბუთებლად გვესახება, ისინი უფრო ქართველურისკენ იხრება, ანუ გამსესხებლად აქ ქართველურის მიჩნევა უფრო რეალური ჩანს. ამგვარ ხედვას ამყარებს ბასკური ენის ვითარება, რომლის tupiki/topinki „სპილენძი“ ალომორფები -ალ/-ელ, -ირი, -ირა სუფიქსებთან ერთად ბასკურისთვის -იქი/-ინქი დაბოლოებებს გამოგვაყოფინებს.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი სპეციალურ ლიტერატურაში არსებული სხვა თვალსაზრისებიც, რომლებიც ავსებენ ჩვენს ცოდნას პროტოკავკასიელთა წვლილის თაობაზე ევრაზიული მეტალურგიის განვითარების საქმეში.

მ ე რ ა ზ ჩ უ ხ უ ა

-არა სუფიქსიანი წარმოებისათვის მეგრულში

დღევანდელი გადასახედიდან მხოლოდ ისტორიული არსებობის კვალზე შეიძლება ვისაუბროთ, როცა განვიხილავთ -არა დაბოლოების ფუნქციონირების პრობლემას მეგრულ-ლაზურში. ჩვენი დაკვირვებით, უფრო ცხადად მისი ნაკვალევი სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში გამოიკვეთება; საზოგადოდ, ტოპოფორმანტად -არა სუფიქსის გამოყენება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იგი ცოცხალ სიტყვათწარმოებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ისტორიულად.

მასალობრივად ზოგჯერ მას ჩაენაცვლება -ალა ალომორფი, რაც მეორეული რ -> ლ ფონეტიკური პროცესის შედეგი ჩანს მეგრულში. ასეთი შესაძლებლობა მკაფიოდ გამოჩნდება ისეთ მასალაში, როცა ლაზური ამოსავალ რ-აფიქსიან წარმოებას ადასტურებს, ხოლო მეგრულში შეიმჩნევა რ/ლ სუბსტიტუცია, შდრ. ლაზ. დო-ხუნ-ერ-ი : მეგრ. დო-ხუნ-ელ-ი // დო-ხუნ-ერ-ი „დამჯდარი“... აქვე მოგვაქვს -არა/-ალა დერივაციის ნიმუშები:

წისქვილ-არა „მდ. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი“

ხუბერ-ალა „ენგურის მარცხ. შენაკადი“

ჭყონ-ალა „მუხნარი“, „ადგილის სახელი წალენჯიხაში“

ჯალ-არა „ღელე-ხეობა“...

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ისტორიული დერივაციის ნიმუშები იძლევიან შესაძლებლობას სხვაგვარად დავსვათ ტოპონიმ **ხვანჭკარა**-წარმომავლობის საკითხიც. კერძოდ, რეალურად გვესახება აქაც **-არა** სუფიქსის გამოყოფა, ხოლო ძირად გამოყოფილი ხვანჭკ- ადვილად დაუკავშირდებოდა ზანურ **ხვანჭკ**-ი „მკლე, მწირი მიწა/ნიადაგი“ სიტყვას, ანუ, როგორც ირკვევა, *ხვანჭკარა* აღნიშნავდა *მწირობს, ქვიშიანს*, რაც ბუნებრივი საფუძველი ჩანს ადგილის მოტივაციისათვის, შდრ. მეგრ. **ხვანჭკ-ირ**-ი“ უნაყოფო ნიადაგი“.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

საქართველოს საქმისწარმოებისა და სასაუბროენები 1926-1927 წლებში (ერთი საარქივო დოკუმენტისა და მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით)

საქართველოს ეროვნული არქივში დაცულია დოკუმენტი [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 597:98-108], რომელშიც აღწერილია 1926-1927 წლების საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები საქმისწარმოებისა და მასობრივად სასაუბრო ენების მიხედვით (დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი). აღნიშნულ საარქივო მასალაში საქართველოს სსრ დაყოფილია 26 მაზრად და 519 ადმინისტრაციულ ერთეულად. საანალიზო მასალაში საქართველოში საქმისწარმოების ენებად დასახელებულია: **ქართული, რუსული, სომხური** და **თურქული**. მიუხედავად იმისა, რომ 1926 წლის კონსტიტუციით აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებად დასახელებული იყო ქართული, აფხაზური და რუსული, ამ საბუთში აფხაზეთის ტერიტორიაზე სრულებით არ არის მითითებული აფხაზური ოფიციალურ ენად.

საკვლევი საბუთის მიხედვით, საქართველოს სსრ-ში 1926-27 წლებში საქმისწარმოების ენად ქართული გამოიყენებოდა 395 ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსული 92-ში, სომხური 8-ში და თურქული 6-ში.

დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია მასობრივად სასაუბრო ენების მაჩვენებლები მთელი საქართველოს მასშტაბით. აქ ამ კატე-

გორიის სასაუბრო ენებად დასახელებულია: **ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული** (იგულისხმება **თათრულიცა და საკუთრივ თურქულიც**), **აფხაზური, ოსური და გერმანული**. სულ 418 ერთენოვანი თემია აღწერილი, მათ შორის ქართული – 367, აფხაზური – 18, თურქული – 11, სომხური – 9, ოსური – 6, რუსული – 6 და ბერძნული – 1¹.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ასევე 1926 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს, რომელშიც ასახულია მოსახლეობის სტატისტიკა ეროვნების, დედაენის და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით. აღნიშნულ მასალაში ენობრივი მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: **„დედაენად სთვლის თავისი ეროვნების ენას და დედაენად სთვლის არა თავისი ეროვნების ენას“** (მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, ა.კ.ს.ფ.ს.რ სტატ. ცენტრ. სამმართველოს გამოცემა. ტფილისი, 1929). აღნიშნულ ორ მთავარ კატეგორიაში დასახელებულია **ქართული, რუსული** და სხვა დანარჩენი ენები. ასევე მითითებულია წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, მათ შორის, თავისი ეროვნების ენაზე. ნაშრომში გაანალიზებულია აფხაზეთის სსრ-ს, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებთა ეთნიკური და ენობრივი განაწილება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის მიუხედავად, 1926-1927 წლებში ქართველების 99% დედაენად მიიჩნევდა თავის მშობლიურ ქართულ ენას და ამით, ერთგვარად, ეთნიკური იდენტობის მარკირებასაც ახდენდა. საგანმანათლებლო სისტემასა და სახელმწიფო სტრუქტურებში რუსული ენის აქტიურად გამოყენებას, როგორც ჩანს, ამ პერიოდისთვის დიდი გავლენა ვერ მოუხდენია ქართველთა ენობრივ კომპეტენციასა და ენობრივ თვითკუთვნილებაზე. ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ნომერ პირველი ენა ქართული იყო.

¹ სასაუბრო ენათა ჩამონათვალი სრული არ არის. მასში არ ჩანან საქართველოს სოფლებში მეტ-ნაკლებად გავრცელებული **წოვათუშური, ქისტური, უდიური, ხუნძური, ქურთული ენები**, რომელთაგან მხოლოდ ქურთული არ დასტურდებოდა სასოფლო თემების მასობრივად სასაუბრო ენად.

ფიქრია ჭანტურია

თხილთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში

თხილი ერთ-ერთი გავრცელებული კულტურაა სამეგრელო-ში. შესაბამისად, მრავალფეროვანია თხილთან დაკავშირებული ლექსიკა. საინტერესოა თხილის სახეობების, ფიზიკური მახასიათებლების, მოვლა-მოშენების აღმნიშვნელი ტერმინები.

თხილის ჯიშები განსხვავდება ნაყოფის ფორმის, წარმომავლობის, მსხმოიარობის... მიხედვით: **ხოჯ(ა)** თხირი (“ხარვიით” დიდი), **სქ/კვერ** თხირი (წვრილი), **ფუთქურამ** თხირი (ხავსიანი), **ნემსა** (წაწვეტებული), **დედოფალა**, **ყვამ** თხირი („დიდი, უმწო“), **ტყარ** თხირ (“ტყის”, “ველური“), **ჩქინობ(უ)რა** თხირი (“ჩვენებური“), **ანაკ-ლიურ** თხირ (ანაკლიის), **მეწანე** (“მეწლე“)...

თხილის ნაყოფის ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვები ძირითადად **-ია**, **-ამ** სუფიქსებით არის ნაწარმოები: გვეზერ-**ია** “მსხვილი“, დურხუ(ლ)-**ია** “მსხვილი“, კაჭალ-**ია** “დაკროლილი“, ფოკვ-**ამ-ი** “ობიანი“, ფუთქურ-**ამ-ი** “ხავსიანი“, ფურჩ-**ამ-ი** “ჩენჩოიანი“, ქუჩურ-**ია** “ქუჩუჩიანი, ქოჩრიანი“, წურქუ-**ია** “წაწვეტებული“, ჭირკუ-**ია** “პატარა, ჩია“...

ადგილს, სადაც **თხირი** (თხილი) არის გაშენებული, **ოთხირე** („სათხილე, თხილნარი“) ჰქვია.

თხილის მოსავლის აღების პერიოდს თხირ-**ალა** „თხილ-ობა“ ეწოდება. მეგრ. **-ალა** აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი **-ობა** სუფიქსის ფარდია.

თხილის შეგროვება სამ ეტაპად მიმდინარეობს: **პირველ კოროზუა** (პირველი შეგროვება), **მაჟია კოროზუა** (მეორედ შეგროვება), **ნაკვე/ირუა** „ნარჩენი თხილის შეგროვება“.

შეგროვებულ თხილს ათავსებენ სხვადასხვა სათავსში / ჭურჭელში: **ბარდანი** “დიდი ტომარა“, **ფო/უხალი** “თხიის ჭურჭელი“, **ბაკვატია** “მცირე ზომის ტომარა“, **ბანბამ მეშოკი** “ჯვალოს ტომარა“, **ჩახვია** “მცირე ზომის ჩანთა“.

ჩავიწერეთ საინტერესო ფრაზები:

ტკურტკინ-ტკურტკინით გუთმოცენს „ერთიანად ცვივა“, **დგუმოი-დგუმოით** გუთმოცენს „ხმაურით ცვივა“, გურიშ **გოპეტილ**

თხირ რე „სავსე გულის თხილია“, **გეითოქვამაკუ** ოთხირე „სწრაფად მოასუფთავა თხილნარი“.

მომიებული მასალა ძირითადად საერთოქართულია, ნაწილი კი საკუთრივ მეგრულისთვისაა დამახასიათებელი. ზოგი სიტყვა-ფორმა გამოქვეყნებულ მეგრულ ლექსიკონებში არ დასტურდება.

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ თხილთან დაკავშირებულ ლექსიკას ჩვენ მიერ ზუგდიდურ მეტყველებაში ჩაწერილი მასალის მიხედვით.

ნ ი ნ ე ლ ი კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

„კატის [Felis]“ და „კნუტის“ აღმნიშვნელი სინონიმური სიტყვები ქართულ ენაში

I. **კატა** [Felis] ზოოლ. მტაცებელი პატარა ცხოველი (კატების ოჯახისა); არის გარეული და შინაური. შინაური ნადირობს თავგებსა და ვირთაგვებზე – ქეგლ.

კატა სიტყვის კნინ.-მოფერ. ფორმებია **კატუნი**, **კატუნა**, **კატუნია** – ქეგლ .იხ. აგრეთვე: ქიზიყური, ხევსურული.

მიჩნეულია, რომ **კატა** ნასესხები სიტყვაა – საბა, დ. ჩუბინაშვილი, არნ. ჩიქობავა.

გარეული კატის მნიშვნელობით დასტურდება ა) **კატუნი** – ქეგლ; იხ. აგრეთვე: ზემო იმერული.

ბ) **ღადუნი**, **ღადული** (ფშ. ერწ.) გარეული კატა – ქეგლ. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში სახელდებისათვის ამოსავალი უნდა იყოს „სალ-კლდიანი ციცაბო მთის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ღადო**.

კატა სიტყვის სინონიმებია:

1. **ფისო**, **ფისუნია** კნინ.-მოფერ. კატა – ქეგლ.

ამ სიტყვის თურქულ წარმომავლობას მიუთითებს საბა.შდრ. თურქული დიალექტ. ფიშეკ.

2. ქართულ სამწერლო ენასა და მის დიალექტებში კატის მნიშვნელობით დასტურდება **ციცა**. დიალექტებში კი ამავე მნიშვნელობისაა **ციცა**, **ციცო**, **ციცუა**, **ციცურა**, **ციცურიკა**, **ციცურუა**...

ეს უკანასკნელი უნდა იყოს ჩვენი ენებისათვის დამახასიათე-

ბელი სახელი კატისა, კატ- ფუძე კი შეთვისებული იყოს (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938). აღდგენილია ს.-ქართვ. *ციც-ა „კატა (სახეობა)“ (მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017).

3. **ხატაურა** ჭრელი (თეთრ-შავ-ყვითელი) კატა. შდრ. ხატაური ძვ. ხატაეთისა, ჩრდილოეთ ჩინეთისა – ქეგლ.

II. „კატის ნაშიერის“ მნიშვნელობით გამოყენებულია **1. კნოტი, კნუტი**- დ. ჩუბ; ქეგლ. შდრ. აგრეთვე: **კინტულა** (მთიულური), **კინთა** (ხევსურული); **კოტნაყი** (თუშური) (ა. შანიძე).

არნ. ჩიქობავა სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით აღნიშნული სიტყვებისათვის გამოყოფს **კ**-ძირს (არნ. ჩიქობავა, იხ. ზემო დასახ. შრ.).

2. **ცინდალი**// **ცინტალი** – ქეგლ; იხ. აგრეთვე: გურული, ჯავახური, რაჭული... აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი ციდ- -> ცინდ-//ცინტ- (არნ. ჩიქობავა, იხ. ზემო დასახ. შრ.).

3. **ციცმართი** // **ციცმარტი** (მესხური). კომპოზიტი **ციცმართის** შემადგენელი ნაწილებია: ზემო დასახელებული **ციცა** და **მართი** // **მარტი** <- **მართვე**. „მართვე“-სთვის კი აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი **მართ**- (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990).

4. **ცინცულა** (მთიულური), **ცუნცულა**//**ცუნცუნა**//**ცუნცუნა**. შდრ. ცუნცულა,

ცუნცუნა//ციცუნა.

5. **ციბულიე** (მოფერებით) (საჩინოური ქართული). **ციბა-იე**//**ციფუნია** (იმერული). შდრ ციბა.

III. **კატის მოსახმობი და გასაგდები შემახილება**:

1. მოსახმობი: – **ფისო-ფისო**, შდრ. ფისო.

ციფ. ციფ! **ციფი, ციფი, ციფო, ციფო!** შდრ. ციფუნია

ცუც-ცუც-ცუცა! შდრ. ციცა (რაჭული).

გასაგდები: –**ცაცა!** (გარეკახური); **ციც, ციცცა!** (იმერული, მესხური).

შდრ. „მეგრ. **ცხიცხ!** კატას რომ შესძახებენ, უნდა იყოს მიღებული ამავე **ციც**-ისაგან“ (არნ. ჩიქობავა).

ჰაცხა, აცხა, ჰაფსა დ. ჩუბ. **ფისა** (გარეკახური).

ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი

კნინობითი სახელების წარმოების თავისებურებანი რაჭულ დიალექტში

კნინობითი სახელები ქართულში ისევე, როგორც სხვა ენებში, გამორჩეულ და მეტად თავისებურ სახელთა ჯგუფს წარმოადგენს. ამ ჯგუფის სახელებში მაწარმოებელი სიტყვას მნიშვნელობას კი არ უცვლის, არამედ სემანტიკურად აზუსტებს (მის სიმცირეზე მიუთითებს) და ემოციურ-გამომსახველობით შეფერილობას ანიჭებს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სხვა ენებთან (რუსულთან, გერმანულთან...) შედარებით კნინობითები ნაკლებად გვხვდება. სამაგიეროდ, აქტიურად გამოიყენება ისინი ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში და განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული დიალექტებში, რომლებშიც მათი გამოყენების მხრივ განსხვავებული ტენდენციები შეინიშნება. თავისებურებებით ყველაზე მეტად გამოირჩევა რაჭული.

რაჭულში კნინობითი მაწარმოებლები ისეთ სახელებსაც დაერთვის, რომელთა კნინობითობა თითქოს მოულოდნელია, რომელთა სემანტიკა სიმცირეს, ალერსს ან დაცინვას გამორიცხავს (**ღამ-უკა, ბობ-უკა, თუმნ-იკა, კვეს-უნა, კაჟ-უკა...**).

კნინობითი მაწარმოებელი დაერთვის თითქმის ყველა სახელს, ზედსართავსაც, რიცხვით სახელსაც და ზმნისართსაც: **პატარ-უკა** (პატარა), **ცოტ-უნა** (ცოტა), **თვით-ონა** (თითო), **ორ-უნა** (ორი), **ამხელ-უკა** (ამხელა).

კნინობითობის მაწარმოებელთა დართვით რაჭულში თითქოს გამოიხატება არა მხოლოდ მოფერება-ალერსი კნინობითსუფიქსიანი სახელით გადმოცემული ობიექტისადმი, არამედ მთქმელის შინაურული, ახლობლური, დამოკიდებულება, კეთილგანწყობა მოსაუბრისადმი.

ლ უ ი ზ ა ხ ა ჭ ა კ უ რ ი ძ ე , თ ე ო ნ ა ხ უ ფ ე ნ ი ა

ევფემიზმთა ევფემიზაცია ქუთაისურ და ზუგდიდურ მეტყველებაში

ევფემიზაცია ანუ კეთილსიტყვაობა საზოგადოდ დამახასიათებელია კულტურული, მწიგნობრული საზოგადოებისათვის. ამგვარ გამოთქმებში ჭარბობს არა ობიექტური კანონზომიერება, არამედ საზოგადოების გარკვეულ წრეთა ინდივიდუალური გემოვნება. ევფემიზმი მსმენელთან მიმართებისას ენის ფაქტის შინაარსის ერთგვარი შემსუბუქებაა, რათა სიტყვის პირდაპირმა მნიშვნელობამ უხერხულობა არ გამოიწვიოს.

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ მასალაში ხშირია ევფემიზმები **წყევლის**, **ლანძღვა-გინების** ფორმულების ნაცვლად. ისინი ძირითადად ინდივიდის თავისუფალი შემოქმედების ნაყოფია. მაგ.: **წყევლა** (ქუთაისური): „შემოგველო ყვავილები ზალაში“, „შენ შემოგიარე“, „დაამშვენებს ზალას“... **ლანძღვა-გინება** (ქუთაისური): „სხვენში არაფერი გაქვს“, „გასტროლებზე დადის“, „ულვაშებს გაგპარსავ“, „გაგისწორებ გალსტუკს“, კეთილებმინგრეული /მოხნული“/... (ზუგდიდური): მხვამ დიარაშ მაჯინე „სხვისი ლხინის შემყურე“, სი დიდაგოტყაბარელი „შე დედაგატყავებულო“... დასტურდება აგრეთვე **ანეკდოტებიდან** და **ბიბლიიდან მომდინარე ფრაზები**. (ქუთაისური): „ღომი არ გიჭამია“, „ლოცვა-კურთხევა შეუთვალა“... (ზუგდიდური): „ხვამა-წირუას ვამარკენს „ლოცვა-წირვას არ მაკლებს“, ზიარებას ვამოიჭიშუა “ზიარებას არ მოგასწრებ“...

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

კონტრადიქტორული ხასიათის ცნებათა როლის გამლიერებისათვის სალიტერატურო ენაში

კონტრარული და კონტრადიქტორული ცნებები ფილოსოფიიდან, კერძოდ, ფორმალური ლოგიკიდან მომდინარეობს, რომლის ფუძემდებლადაც არისტოტელე ითვლება. პირველად არისტოტელემ იხმარა დასახელებული ტერმინები თავის „მეტაფიზიკაში“.

უარყოფა, როგორც ენობრივი ფენომენი და ლინგვისტური კვლევის საგანი – კონტარულ (დაპირისპირებულ) და კონტრადიქტორულ (ურთიერთგამომრიცხავ) ცნებათა დაპირისპირება გახდა ფსიქოლონგვისტიკური კვლევის მთავარი თემა. უარყოფა უნივერსალური ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, თუმცა სხვადასხვა ენას მისი გამოხატვის განსხვავებული საშუალება აქვს: ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური)...

როგორც ბუნებრივ მეტყველებაში, ასევე მწიგნობრულ ენაში მუდმივად მიმდინარეობს ანტონიმურ წყვილთა წარმოქმნა, უფრო ზუსტად კი, რომელიმე „თვისებრივი“ ცნებისთვის საპირისპირო, კონტრასტული შინაარსის ცნების გაჩენა. ამავე დროს, სალიტერატურო ენაში, მით უფრო – მისი ფუნქციონირების ოფიციალურ-საქმიანსა და სამეცნიერო სფეროში ეს პროცესი ბევრად უფრო ინტენსიურია, რაც სხვადასხვა ფაქტორებით არის გამოწვეული.

ენაში ანტონიმურ ცნებათა წარმოქმნისა და დამკვიდრების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: ლექსიკური, აფიქსური და ნაწილაკიანი. ანტონიმურ წყვილთა ნამდვილ ენობრივ მწკრივებს ქმნიან საპირისპირო შინაარსის დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები (*თეთრი – შავი, კეთილი – ბოროტი...*). ეს არის კონტარული ხასიათის დაპირისპირება, როდესაც ანტონიმები წარმოადგენენ ერთი რიგის ნიშან-თვისებათა მწკრივის კიდურა წევრებს.

განსხვავებულია კონტრადიქტორული ხასიათის დაპირისპირება, როდესაც ანტონიმური ცნება წარმოიქმნება იმ ნიშან-თვისების პირდაპირი უარყოფის გზით, რომელიც ამოსავალ ცნებაში არის ფიქსირებული (ბ. ფოჩხუა). ასეთი ანტონიმური წყვილები წარმოიქმნება აფიქსებისა და უარყოფითი ნაწილაკების გამოყენებით: *გულიანი – უგულო, სრული – უსრული... ახალი – არახალი, ბუნებრივი – არაბუნებრივი...*

ამგვარი წარმონაქმნების დამკვიდრების პროცესი ენაში, ცხადია, ერთგვაროვანი არ არის. მათი ნაწილი სტაბილურ ადგილს იმკვიდრებს ანტონიმურ ცნებით სისტემაში (*ურცხვი, უქმი, არაკაცი...*), ხშირ შემთხვევაში კი უარყოფის სიტუაციური („ერთჯერადი“) გამოყენების ნიმუშად გვევლინება (*არგაშვებული, არაცნობილი, ვერგაქცეული, ვერგანცდა, ვერგანკურნებული...*). ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ განსხვავება ცნებათა კონტარულსა და კონტრადიქტო-

რულ დაპირისპირებას შორის მნიშვნელოვან სტილისტიკურ დატვირთვას ატარებს. ზოგჯერ კი ანტონიმური ცნებები განსხვავებულ უარყოფით წყვილისცალებს იმკვიდრებს (შდრ.: *სრული* და *უსრული* [ასპექტი], მაგრამ – *სრული* და *არასრული* [საშუალო განათლება]) და მისთ. (შდრ. : „ანტონიმიაზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც გარკვეულ სიტყვათა დაპირისპირება ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში რეგულარული ხდება“ (ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974: 37).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია კონტრადიქტორულ ცნებათა წარმოქმნისაკენ მისწრაფება და ამგვარ წარმონაქმნთა ხვედრითი წილი მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო იზრდება სალიტერატურო ენაში ოფიციალურ-საქმიანი სტილის გავლენა. კერძოდ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის სამუშაოები ხელშესახებად წარმოაჩენს კონტრადიქტორულ წარმონაქმნთა უკიდურესად გაძლიერების ტენდენციას, რაც შესაბამის ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

რომელი მცენარის სახელი უნდა ყოფილიყო *ჭყორი*? (ახალი დიალექტური მასალის მიხედვით)

ფიტონიმი **ჭყორი** ალ. მაყაშვილის ლექსიკონში მოხმობილია მცენარე **ბაძგის** (*Ilex colchica*) ერთ-ერთ თავსიტყვად, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს მართებულია. როგორც ჩანს, ალ. მაყაშვილი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ბოტანიკოს ზ. ყანჩაველის გადაწყვეტილებას (ყანჩაველი 1927), ვინაიდან სხვა ენობრივი მასალა ამის საფუძველს არ იძლევა, კერძოდ: **ა.** ძველ ქართულში არ ჩანს სახელი **ჭყორი**, არამედ – **ბაძგი**; **ბ.** ძველ ლექსიკონებში წარმოდგენილი განმარტებები ბუნდოვანია და დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელ მცენარეს აღნიშნავს **ჭყორი** (ს.ს. ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი. ი. ბაგრატიონი, რ. ერისთავი); **გ.** არც დიალექტური მონაცემების მი-

ხედვითაა მკაფიო, რომელ მცენარეს აღნიშნავს **ჰყორი** – ის არ არის მხოლოდ *Ilex colchica*-ს სახელი და დასტურდება სხვა მსგავს – მარადმწვანე ტყავისებრ ხეშეში ფოთლის მქონე – მცენარეთა სინონიმურ სახელებადაც, შდრ.: *იმერ. (ს. ხანი) ჰყორი, ჰყორის* ყურძენი (= **წყავი**) (მოკ. მასალა); *ზმ.-რაჭ. (ღები, ჭიორა) ჰყორი (= დეკა)* (მოკ. მასალა); *იმერ., ზმ.-რაჭ. ზმ. ქართლ. ჰყორი (= შქერი, დეკა)* (ქართული დიალექტური კორპუსი, [www. corpora.co](http://www.corpora.co)); **დ.** ორკომპონენტთან ფიტონიმებში დადასტურებული **ჰყორი** სწორედ იმას მიანიშნებს, რომ ეს სახელი რომელიღაც სხვა მცენარეს გულისხმობს და მოცემული მცენარე მხოლოდ შედარებულია მასთან, შდრ.: **ჰყორი ეკლიანი, ეკლიანი ჰყორი** (=დეკა; ბამგარი) (საბა, ერ.); **ეკლიანი ჰყორი** (=დეკა) (დ. ჩუბ.); *იმერ. კბენია-ჰყორი* (=ბამგარა) (ერ.; მოკ. მასალა); *იმერ. სარაგვაი ჰყორი* (=შქერი) (დ. ჩუბ., ერ.). (საინტერესო გურ. **წყაბაბა** (=ბამგი) (მოკ. მასალა), რომლის წარმომავლობა (**წყაბაბა < *წყავბამგა**) წარმოაჩენს **ბამგის** მოტივაციას – ის **წყავის** მსგავსი, მხოლოდ ეკლიანი მცენარეა); **ე.** საზოგადოდ, ქართველურ ენა-კილოებში ხელშესახებია აღნიშნული რიგის მცენარეთა (როგორცაა: **შქერი** – *Rhododendron ponticu*; **დეკა** – *Rhododendron caucasicum*, **ბამგი** – *Ilex colchica*, **წყავი** – *Laurocerasus officinalis*, **მელიქაური** – *Daphne pontica*) კილოური სახელების აღრევა-განურჩევლობა, რასაც ახსნა მოეძებნება ამ მცენარეთა მსგავსებისა და მათი გავრცელების თავისებურების გამო.

რომელი მცენარის სახელი უნდა ყოფილიყო **ჰყორი** და სად არის მისი ადგილი „ბოტანიკურ ლექსიკონში“?

ჩნდება ვარაუდი, რომ **ჰყორი** ფიტონიმ **წყავის** ზანური ფორმაა და ამ მიმართულებით საკითხის შემდგომი კვლევა საინტერესოდ გვესახება. გასათვალისწინებელია: 1. გარეენობრივი ფაქტორი – **წყავი** მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ენდემური მცენარეა (ლაზეთი, აჭარა, გურია, ქვემო იმერეთი, სამეგრელო, ქვემო რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი), შესაბამისად, მისი უძველესი სახელებიც სწორედ ამ ენობრივი არეალის კუთვნილება უნდა იყოს. 2. საზოგადოდ, ამ რიგის (მარადმწვანე ტყავისებრფოთლიანი) მცენარეთა სახელებში დადასტურებული განურჩევლობა, აღრევა, სემანტიკური გადაწევები, ფიტონიმთა განზოგადება და არაერთი სახელის გაფორმების თავისებურება (შედარება **ჰყორთან, წყავთან**); 3. სახელ **ჰყორის** აგებულება, მისი ფონეტიკური იერი.

ამის მიხედვით, წყავის ეტიმოლოგია სხვაგვარად შეიძლება დავინახოთ, ვიდრე ის არის წარმოდგენილი სპეც. ლიტერატურაში.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

პრესის ენისა და სასაუბრო მეტყველების ურთიერთგავლენის შესახებ თანამედროვე ქართულში

თანამედროვე პრესის ენა საქართველოში სულ უფრო და უფრო უახლოვდება სასაუბრო მეტყველებას; მასში უკვე უხვად აღირიცხება ამ სტილისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, გრამატიკული პროცესები თუ სტილისტიკური ნიუანსები.

აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა მხოლოდ თანამედროვე ქართული სინამდვილისთვის არ არის დამახასიათებელი. იდენტური ვითარება (და თან, დიდი ხანია) გვაქვს ევროპულ რეალობაშიც. მაგალითად, ინგლისური ენის შემთხვევაში (როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებით) ეს პროცესი დიდი ხანია დაწყებულია და ზოგჯერ (იქნება ეს ცალკეული ავტორი/სტატია, თუ მთლიანად პერიოდული გამოცემა) საერთოდ წაშლილია ზღვარი სასაუბრო მეტყველებასა და პრესის ენას შორის.

აღნიშნული პროცესის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს ის ფაქტი, რომ ზოგადად მედიის, კონკრეტულად და განსაკუთრებით კი, პრესის ენა, ყველაზე ახლოს სწორედ სასაუბრო მეტყველებასთან დგას; მეორე ფაქტორი ინტერნეტის დამკვიდრებას (პრესის ენა ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად უკვე ელექტრონულ პლატფორმებსაც მოიცავს), მესამე კი – ყველანაირი სახის ცენზურის მოშლას უკავშირდება.

საბოლოო ჯამში, როგორც ქართულ, ისე უცხოურ რეალობაშიც იმლება ზღვარი პრესის ენასა და სასაუბრო მეტყველებას შორის, რაც შეუქცევად პროცესებს იწვევს ენაშიც და აზროვნებაშიც...

მ ა რ ი ნ ა ჯ ღ ა რ კ ა ვ ა

ნურდოდან დემირ აბაშიშის „ლაზური გამოთქმები (ანდაზები, იდიომები, მეტაფორები)“

დიდია ნურდოდან დემირ აბაშიშის როლი თურქი და ლაზი მშრომელების უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვის, ლაზეთში ლაზურის შენარჩუნების, პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში. ამიტომაც უწოდეს მას სიყვარულით „ლაზების ბაბუ“. მისი მთავარი გატაცება იყო თეატრი, მუსიკა, ლაზური პოეზია და ხალხური შემოქმედება.

თავისი ცხოვრების განმავლობაში [1944 წ. დეკემბერი – 2008 წ. აპრილი, ვიწე (ვინდიკლი) – რიზეს პროვინცია] ნურდოდან აბაშიშმა შეაგროვა უამრავი ლაზური ზღაპარი, იგავი, ლექსი, სიმღერა. ის თვითონაც წერდა ლექსებსა და მოთხრობებს ლაზურად. გარდა ამისა, იგი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ეპყრობოდა ყოველ ლაზურ სიტყვას, ხატოვან გამოთქმას, ფრაზას.

ნურდოდან დემირ აბაშიშის წიგნში „ლაზური გამოთქმები (ანდაზები, იდიომები, მეტაფორები)“ [Lazca deyimler (atasözleri – deyimler ve mecazlar)], რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა 2010 წელს, შეგროვილია საკმაოდ საინტერესო ლექსიკური მასალა: იდიომები, ანდაზები, ფრაზები, მეტაფორები, დალოცვები, წყევლა, გამოცანები, ხუმრობები (შაირები) და სხვ. მათ ერთვის წინადადებები საილუსტრაციოდ და თარგმანი თურქულად. მაგ.:

ჭეკოზდალუ (მეტაფორა) „მოწევა“, უკან გაქაჩვა, შეჩერება. # კოჩი ბელაზ ქოდოლოტოჩუ დო ჰიმ ჭეკიზდუ. „კაცს გაუჭირდა და უკან დაიხია“.

დიშქასთერი კოჩი (იდიომი) ხესავით კაცი, ცივი კაცი. # არ სიჯას ქონასტერი / ქომადგინ დიშქასთერი. „ერთი სიმეს ეთამაშე / დაყუდებულა ხესავით“.

დადი უმკიაფერი ვა ივენ (ანდაზა) „ტყე ტურის გარეშე არ იქნება“.

ენა ნდლა დო წანა ოკოგადვასენ (დაწყევლა) „ეს დღე და წელი ამოგეწვას“.

დუღუნი ოხორი ჭიჭიკვარი, ჩქვა მჭკუდი, ჩქვა პოსვარი (ხუმ-რობა) „ქორწილის სახლის მარილიანი კვერი, სხვა მჭადი, სხვა პოსვარი (საჭმელი)“ = ცარიელი, არაფრისმთქმელი ლაპარაკი...

კუდელ ხირხიტი, თი მანგანა? (გამოცანა) კუდი მოღუწული, თავი ნამგალივით? „მისი კუდი ნამგალივითაა, თავით ქვემოთ – სახელური“ (თარგმანი თურქულად ავტორისა).

ნურდოდან აბაშიშის შეგროვილი ლექსიკური ერთეულები, გამოთქმები და სხვ. უდავოდ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მას დაფიქსირებული აქვს ხალხური სიტყვიერების ბევრი ნიმუში, რომელთაც დაკარგვის საშიშროება ემუქრება, ამასთანავე ვეცნობით ლაზთა ყოფას, ურთიერთობებს, წარმოდგენებს. გვეძლევა საშუალება შევადაროთ ვიწერი მეტყველება ლაზურის სხვა კილოებთან. ეს ფასდაუდებელი მასალაა ქართველური ენობრივი ვითარების შესასწავლად სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში.